ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა 46 დღე

№ 145 (12 521) 23 ივნისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

**ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს იწყება, ჭიათურა კი უმაღლესში არ ჩარიცხეს**

ქართული ფეხბურთი »»» 2-4



**ვან ბასტენი და ვან დერ სარი ნაკრებიდან მიდიან**

ჰოლანდია »»» 9

EURO2008 Austria-Switzerland

| ნახევარფინალი | |
|---|---|
| 25 ივნისი | |
| ბაზელი | |
| გერმანია-თურქეთი | 22:45 |
| 26 ივნისი | |
| ვენა | |
| ესპანეთი-რუსეთი | 22:45 |

# კორიდა გრძელდება

## ესპანეთმა იტალია შინ გაუშვა, იტალიამ დონადონი?

მეოთხედფინალი »»» 5



## სკოლარი: ყველაფერი ჩემი ბრალია



»»» 8

**თვითმხილველი.** პეტარ სეგრტი ვენიდან

## პენალტები ბედის საქმეა. ჩემპიონი? გერმანია

»»» 2





# ჯადოსნობის საიდუმლო

## როგორ აქცია გუს ჰიდინკმა რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტად

»»» 9

ევრო 2008. ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# ეს ჩემპიონატი ძველებს სჯობს



ავსტრია/შვეიცარიის სტადიონებზე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატს პეტარ სეგრტი ესწრება. ის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო კანდიდატთა შორის ერთ-ერთია. საინტერესოა, როგორ აფასებს სეგრტი ევროპის ჩემპიონატს? ამ თემაზე სასაუბროდ, ხორვატ მწვრთნელს ნაკრები გუნდების მენეჯერ თამაზ ბოკერიას დახმარებით ვესაუბრეთ. პირველი საუბარი ესპანეთი-იტალიის მეოთხედფინალამდე შედგა. ამის შემდეგ სეგრტს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით...

**- როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება ევრო 2008 წინა ჩემპიონატებისგან?**

- ჩემი აზრით, ეს ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესოა იმათგან, რაც კი ბოლო წლებში მინახავს. კონტინენტის ამ და წინა პირველობებს შორის აშკარა სხვაობაა ტემპში, ტაქტიკა-სტრატეგიაში, ფიზიკური მომზადების მხრივ. თვალშისაცემია ერთი მომენტიც: ნაკრებები, რომლებიც ტრადიციულ საფეხბურთო ქვეყნებს არ წარმოადგენენ, ჩინებულად თამაშობენ. ამის დასტურად, თამამად შეგვიძლია რუმინეთის, თურქეთისა და რუსეთის ნაკრებთა გამოსვლა მოვიყვანოთ. მდიდარი საფეხბურთო წარსულის მქონე ნაკრებებიდან კარგად გამოიყურება გერმანია...

**- რომელ მატჩებს დაესწარით?**

- ექვს შეხვედრას დავესწარი. გერმანიისა და იტალიის ნაკრებთა სამ-სამი თამაში ვნახე. დღეს ვენაში მივემგზავრები, იტალიისა და ესპანეთის მეოთხედფინალურ მატჩსაც დავესწრები. აქვე, ერთსაც ვიტყოდი: აშკარად თვალშისაცემია, რომ იტალია და გერმანია მატჩიდან მატჩამდე უმატებენ და ბუნებრივია, ჩემპიონატის მოსაგებად ბოლომდე იბრძოლებენ. თუმცა ფინალამდე ორივე ამ გუნდს რთული გამოცდების ჩაბარება მოუწევს.

**- თქვენთვის მშობლიურ ხორვატიის ნაკრებზე რას იტყოდით?**

- ხორვატიამ გერმანიასთან ჩინებულად ითამაშა და მოიგო კიდეც. მეოთხედფინალში მისი გასვლა არ გამკვირვებია, მაგრამ ძალიან დამწყდა გული, რომ სლავენ ბილიჩის გუნდი ნახევარფინალში ვერ გავიდა. ერთი წუთი რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, მაგრამ ყურადღება მოადუნეს და დაისაჯნენ კიდეც. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ბოლომდე სრული კონცენტრაციაა საჭირო, თორემ ხომ ხედავთ, ერთი შეცდომა ყველაფერს წყალში ყრის.

**- ლუქსემბურგში ადგილობრივ "ეტცელასა" და თბილისის "ლოკომოტივს" შორის გამართულ ინტერტოტოს მატჩსაც დასწრებიხართ...**

- დიახ, ეს თამაშიც ვნახე. ინტერტოტოს მატჩები მაღალი დონით არ გამოირჩევა, კლასი დაბალია, მაგრამ ფეხბურთელებზე დაკვირვება და მათი სხვა ჭრილში დანახვა მაინც შეიძლება. მეც დავაკვირდი ჩემთვის საინტერესო ფეხბურთელებს.

**- როგორ ფიქრობთ, ამ უგოლო ფრის შემდეგ, მომდევნო ეტაპზე გასვლის რა შანსი აქვს "ლოკომოტივს"?**

- ფეხბურთელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ შვებულებიდან ახალი დაბრუნებულები არიან. მათ მძიმე სეზონი გადაიტანეს და ხეირიანად დასვენებაც ვერ მოასწრეს. არც მასპინძლები იყვნენ სათანადოდ მომზადებულები. გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ვერც ერთმა შანსი ვერ გამოიყენა და თამაში უგოლოდ დასრულდა. ნათლად ჩანდა, რომ ჩვენი გუნდი "ეტცელაზე" მაღალი კლასისაა. "ლოკომოტივს" წარმატებას ვუსურვებ და მჯერა, ამ ბარიერს გადალახავს. მომდევნო ეტაპზე თბილისელებს "სატურნი" ეყოლებათ მეტოქედ. ასე რომ, კიდევ ერთხელ მოგველის ქართულ-რუსული დაპირისპირება. აქ მხოლოდ იმიტომ არ ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატს მივადევნო თვალი. სხვა საინტერესო ჩანაფიქრიც მაქვს...

**- მაინც რა ჩანაფიქრი გაქვთ? იქნებ, დაგვიკონკრეტოთ...**

- სიამოვნებით. ვენაში ესპანეთ-იტალიის მატჩს დავესწრები. მინდა, 23 ივნისს ვოლფსბურგში ჩავიდე. იქ გერმანიის თასის ფინალია ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ამ ფინალში ჩვენი დავით თარგამაძე მიიღებს მონაწილეობას და მისი თამაში უნდა ვნახო. ამასთან, ვენის მახლობად, მოსკოვის "ლოკომოტივია" დაბინავებული. იმედი მაქვს, დროში ჩავეტევი და ასათიანსა და მუჯირსაც გავესაუბრები. მხოლოდ გადმოცემით ან სატელეფონო საუბრიდან მიღებული ინფორმაციით არ მინდა დავკმაყოფილდე, მსურს, პირადად ვნახო ნაკრები გუნდების ფეხბურთელები. იტალიას თითქოს შესწავლა არ უნდა, მაგრამ ვთვლი, რომ მაინც საჭიროა მისი თამაშის ნახვა.

**- რობერტო დონადონის გუნდზე რას იტყოდით?**

- უკვე გითხარით, რომ ეს გუნდი მატჩიდან მატჩამდე პროგრესირებს. ჯგუფში იტალიელთა სამივე მატჩი ვნახე. მათ თამაშში ბევრი კარგი რამ დავინახე, ბევრი ჩავინიშნე... რა თქმა უნდა, შეცდომებიც ბევრი აქვთ და ეს საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ.

*როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეგრტს ესპანეთი-იტალიის მატჩის შემდეგაც დავუკავშირდით. აი, რა შეფასება გააკეთა ხორვატმა სპეციალისტმა:*

- მეტოქეებმა ტაქტიკას დიდი ყურადღება დაუთმეს. თვალშისაცემი იყო ის, რომ ორივე გუნდი ნაკლებად რისკავდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს პენალტებამდე მიჰყავდათ საქმე. საერთო ჯამში კი, ესპანელები უფრო მეტად ცდილობდნენ სასურველი შედეგის მიღწევას, ვიდრე იტალიელები. რაც შეეხება პენალტების სერიას, ეს დიდწილად ბედის საქმეა... ჰო, როგორც გავიგე, ბოლო 80 წლის განმავლობაში ესპანეთმა იტალიას პირველად მოუგო ოფიციალური მატჩი. ისე, საინტერესო ნახევარფინალები გველის. ჩემთვის ფავორიტი გერმანიაა. რუსეთსა და ესპანეთზე კი ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომელი გავა ფინალში. ჩემპიონი? გერმანია.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები. სამწვრთნელო საკითხი

# კანდიდატებს 1 ივლისს იტყვიან

საქართველოს ნაკრები კვლავაც უმწვრთნელოდაა. მაისის ამხანაგური მატჩებისთვის ნაკრები 21-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა **პეტარ სეგრტმა** მოამზადა. სეგრტი ერთ-ერთ კანდიდატად რჩება. მას თავადაც უნდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ კი განაცხადა - ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე არ ვჩქარობთ, ივლისში ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლებაო.

შეგახსენებთ, რომ ბოლო მონაცემებით, სეგრტის გარდა, საქართველოს ნაკრების ცხელ სკამზე **ფოლკერ ფინკესა** და **მორტენ ოლსენის** კანდიდატურები განიხილებოდა. ისიც ითქვა, რომ შეიძლებოდა, ეროვნულის მომავალი მწვრთნელი დასახელებული ტრიოდან სულაც არ ყოფილიყო. ამ თემით კიდევ ერთხელ დავინტერესდით და გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძეს** დავუკავშირდით.


გოგი ქავთარაძე

*"ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხზე მუშაობა გრძელდება. კანდიდატები გვყავს, მაგრამ შეთანხმება გვაქვს ერთმანეთთან და 1 ივლისამდე მათ ვინაობას არ დავაკონკრეტებთ. 1 ივლისს კი რამდენიმე მწვრთნელის ვინაობას საჯაროს გავხდით და არჩევანსაც მათ შორის გავაკეთებთ. მანამდე კი, ამ საკითხზე მეტის თქმა არ შემიძლია"*, - თქვა ქავთარაძემ "ლელოსთან" საუბარში.

**დავით ცაბაძე**

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი. პირველი მატჩი

# საიმედო ფრე ლუქსემბურგში

## ზაზა ზამთარაძე: ეტცელას გადავლახავთ

**ეტცელა (ლუქს.)-ლოკომოტივი 0:0**

21 ივნისი. ეტელბრუკი. დეიჩი.
1 500 მაყურებელი

ლოკომოტივი: **ბათიაშვილი, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, სარალიძე, ზ. ჩხეტიანი, სამხარაძე (70. ბარბაქაძე), ჩირიკაშვილი, გულორდავა (55. დ. ჩაგელიშვილი), დარასელია, ალექსიძე.**

არბიტრი: **გ. მაჟეიკასი (ლიტვა)**

ინტერტოტოს ბოლო გათამაშებაში საქართველოდან თბილისის "ლოკომოტივი" მონაწილეობს. **გიორგი კიკნაძის** გუნდის მეტოქე ლუქსემბურგის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი "ეტცელა" გახლდათ. მთელი მატჩის განმავლობაში თბილისელები დომინირებდნენ. ჩვენს გუნდს გამოცდილი **ლევან ცქიტიშვილი** აკლდა. შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილი "ლოკომოტივის" განაცხადშია, მაგრამ გუნდს ბენილუქსში არ გაჰყოლია...

მატჩი ადგილობრივი დროით 17 საათზე დაიწყო. ტრიბუნაზე შეკრებილ მცირერიცხოვან გულშემატკივარს შორის ათიოდე ქართველიც იყო. ისინი ეტელბრუკში ჰოლანდიიდან და ბელგიიდან ჩავიდნენ და "ლოკომოტივს" ქართული დროშებით ქომაგობდნენ.

თამაში მაღალი სიცხისა და ხვატის ფონზე მიმდინარეობდა. მოედანზე სუნთქვა ჭირდა და ეს მატჩის ხასიათსაც დაეტყო. შეხვედრა დაბალ ტემპში, დუნედ დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ეტელბრუკელებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ: როგორმე გოლი არ გაეშვათ და ფრე გაეხერხებინათ. სწორედ ამიტომ, ლუქსემბურგელები თითქმის 90 წუთის განმავლობაში მთელი გუნდით იცავდნენ თავს. თუმც კონტრშეტევებზეც არ ამბობდნენ უარს...

როგორც ვთქვით, მატჩი "ლოკომოტივის" უპირატესობით წარიმართა. მასპინძლები თავს იცავდნენ. მაგრამ აი, 65-ე წუთზე, საჯარიმო დარტყმით, თბილისელთა კარის ძელი შეაზანზარეს. ცხადია, საგოლე მომენტები ქართველებსაც ჰქონდათ, და ამ შემთხვევაშიც სტანდარტულებით. სამწუხაროდ, კიკნაძის ბიჭებმა გოლის გატანის სამი-ოთხი მეტ-ნაკლებად რეალური შანსი ვერ გამოიყენეს. ერთ-ერთი იყო **ვიტალი დარასელია**, რომელმაც ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ ლუქსემბურგელთა მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა.

მატჩის ბოლო წუთებზე თბილისელებმა მასპინძლებს გადამწყვეტი შტურმი მოუწყვეს, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. "ეტცელამ" კარი ბოლომდე მშრალად შეინახა.

*"გასული სეზონის მთელი მეორე წრე ჩვენთვის დაძაბული იყო. გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ამ მიზანს მივაღწიეთ, მაგრამ გუნდი გადაიღალა. ინტერტოტოზე ასპარეზობის გამო, ნაადრევად დავიწყეთ მზადება და ისე გამოვიდა, რომ ხეირიანად დასვენებაც ვერ მოვასწარით. ესეც არ იყოს, თამაშის დროს ძალიან ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა და ეს თამაშსაც დაეტყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი ჩვენი ფეხბურთელისთვის ეს მატჩი დებიუტი იყო ევროტურნირებზე. მიუხედავად ამისა, ლუქსემბურგში კარგად ვითამაშეთ. თამაშს სრულიად ვაკონტროლებდით, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ. თუმცა ფრეც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. "ეტცელას" თბილისში დავამარცხებთ და მომდევნო ეტაპზე გავალთ"*, - გვითხრა გუშინ, ლუქსემბურგში დაკავშირებისას, "ლოკომოტივის" მწვრთნელმა **ზაზა ზამთარაძემ**.

"ეტცელასთან" საპასუხო შეხვედრა 28 ივნისს, თბილისში გაიმართება. მატჩს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. დასაწყისი 19 საათზე. თუ "ლოკომოტივმა" ეს ბარიერი გადალახა, მომდევნო რაუნდში რუსულ "სატურნს" დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ქართველები ინტერტოტოზე

ინტერტოტოს თასზე ქართული კლუბი ჩაება, თუმცა ტურნირის პირველ ეტაპზე "ლოკომოტივის" გარდა სხვა ქართველებმაც ითამაშეს - სხვადასხვა კლუბში გაბნეულმა ჩვენმა ლეგიონერებმა. ერევანში ადგილობრივი "მიკა" და მოლდოვური "ტირასპოლი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. "მიკას" სასტარტოში ყოფილი ვიტჯორჯიელი **ზაზა სახოკია** იყო. პირველი ტაიმი სომხებმა 2:0 მოიგეს, სახოკიამ იაქტიურა, თუმცა გოლი არ გაუტანია. მეორე ტაიმში სტუმრებმა გათანაბრება შეძლეს და საპასუხო მატჩის წინ ფავორიტობა დაიბევეს.

ბაქოში 5 ათასი გულშემატკივარი დაესწრო "ნეფთჩის" და სლოვაკური "ნიტრას" მატჩს, ქომაგებს არც უნანიათ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა 2:0 მოუგო სლოვაკეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს. ორივე გუნდში ითამაშეს ქართველებმა. "ნეფთჩის" რიგებში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ჭელიძეს**, რომელიც 63-ე წუთზე **ალიევით** შეცვალეს. სრულად ითამაშა **გიორგი ადამიამ**. ზუსტად 63-ე წუთზე "ნიტრას" რიგებში გამოჩნდა **ირაკლი ლილუაშვილი**. სტუმართა ქართველმა ფორვარდმა ყვითელი ბარათი მიიღო. "ნეფთჩი" უკვე მე-9 წუთზე 2:0-ს იგებდა და არ გასჭირვებია ამ ანგარიშის შენარჩუნება. *"ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გავანიავეთ. მართალია, კარგი შედეგი ვაჩვენეთ, მაგრამ ჯერ ვერ ჩამომიყალიბდა შთაბეჭდილება თუ როგორი გუნდია "ნიტრა"*, - განაცხადა გიორგი ადამიამ, რომელსაც ერთი-ორი საგოლე მომენტი შეექმნა.

### ლიდერობა დაკარგა

გუშინ ყაზახეთის პრემიერლიგაში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა. **ლაშა ჭელიძის** „კაისარმა" ნელ-ნელა დათმო მოწინავე პოზიცია, ყიზილორდის კლუბი კარგა ხანს ლიდერობდა ჩემპიონატში, თუმცა ახლა „კაისარი" 27 ქულით მხოლოდ მეოთხეა. გუშინ „კაისარმა" „ასტანას" უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა. ლაშა ჭელიძემ, რომელიც „ნეფთჩიში" გადასული **გიორგის** უფროსი ძმაა, 90 წუთი ითამაშა. ყარაღანდის „შახტიორის" რიგებში კვლავ გამოჩნდა, გუნდში დარჩენილი ერთადერთი ქართველი (გოლკიპერი **დავით ლორია** ყაზახეთის მოქალაქეა და ამ ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავს) **ლაშა ნოზაძე**. „შახტიორი" „ორდაბასის" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ლაშამ მატჩის მიწურულს საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ძმები **ჯელაძეების** „ვოსტოკმა" სტუმრად 2:1 იმარჯვა „ენერგეტიკ-2-თან" დაპირისპირებაში. „შახტიორი" 20 ქულით ცხრილში მეშვიდეა, „ვოსტოკს" 17 ქულა აქვს და მე-12 პოზიცია უკავია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**განცხადება**

"ლელოს" რედაქციამ გამოიცვალა ოფისი. იმის გამო, რომ ვერ მოესწრო ტექნიკური საკითხების მოგვარება, ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერი არ გამოსულა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველს.

"ლელოს" ახალი მისამართია: თბილისი, იოსებიძის, 49.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს იწყება, ჭიათურა კი უმაღლესში არ დაუშვეს

## გაგრას ლიცენზიამ და სტადიონმა უშველა



დიმიტრი რამიშვილი

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობა 21 ივნისს შეიკრიბა და გადაწყდა: რადგან ჭიათურის "მალაროელმა" ლიცენზირების კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა და ლიცენზია ვერ მიიღო, 2008-09 წლების ჩემპიონატში არ დაუშვეს. "მალაროელის" ადგილას ბათუმის "დინამოსა" და "გაგრის" კანდიდატურები განიხილეს და საბოლოოდ, გადაწყვეტილება "გაგრის" სასარგებლოდ მიიღეს. მართალია, ლიცენზია ორივე კლუბმა მოიპოვა, მაგრამ სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე, უპირატესობა "გაგრას" მიენიჭა. ცნობილი გახდა ისიც, რომ ქუთაისის "ტორპედოს" საფუძველზე, "ტორპედო 2008" ჩამოყალიბდა და პირველ ლიგაში დაუშვეს. თავად I ლიგა კი, ძველებურად დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად დაიყო. თითოეულში 12-12 გუნდი ითამაშებს. ლიგის გამგეობის სხდომას თბილისის "დინამოს" წარმომადგენელი არ ესწრებოდა, მაგრამ ესწრებოდა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. გადაწყვეტილებებზე პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს ვესაუბრეთ.

**- ბატონო დიმიტრი, ჭიათურის "მაღაროელი" ლიგაში რომ არ ითამაშებდა, მისი მთავარი მწვრთნელიც ეჭვობდა და უმაღლესის ადგილის გაყიდვაზე ისაუბრა. ეს ხომ არ გახდა თქვენი გადაწყვეტილების საფუძველი?**

- მთავარი ის იყო, რომ გუნდმა ლიცენზია ვერ აიღო. ამის საშიშროებაზე "მაღაროელს" წინასწარ ვაფრთხილებდით, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი უღონიათ.

სხვათა შორის, "ჭიათურის" გარდა, არიან სხვა კლუბებიც რომლებმაც ლიცენზია ვერ მიიღეს, მაგრამ გადაწყვეტილების გადახედვა მოითხოვეს, კიდევ ერთი განხილვის შემდეგ კი ლიცენზია მიიღეს.

**- რომელმა კლუბებმა?**

- ბათუმის "დინამომ" და "ბორჯომმა".

**- ახლა იტყვიან, რომ ჭიათურის გუნდს უმაღლესში თამაშის საშუალება არ მიეცით და საქართველოს ჩემპიონატი თბილისის პირველობას დაემსგავსა - "გაგრაც" ხომ თბილისში ითამაშებს.**

- ყველას ვთხოვ, რომ გაითვალისწინონ, ჩვენ რისკენ მივდივართ. პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიზანია, საქართველოს ჩემპიონატი ხალხისთვის მიმზიდველი გავხადოთ. მოუწესრიგებელი სტადიონით, არარსებული ბიუჯეტითა და მოთამაშეთა დავალიანებით კლუბი ლიგას ვერაფერს შესძენს. ასეთი რამ ჩვენთვისაც მიუღებელია - ხარისხიანი პროდუქტის მიღება მხოლოდ ღონიერი კლუბებით არის შესაძლებელი.

**- სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა სპორტული პრინციპით არჩიეთ "გაგრა" ბათუმის "დინამოს"?**

- ბათუმის "დინამო" უმაღლესიდან გავარდნილი იყო, "გაგრა" კი გადათამაშებაში მოხვდა. ის "ამერზე" ითამაშებს და სტადიონის პრობლემაც მოგვარებული აქვს. "გაგრას" მონაწილეობა სხვა კრიტერიუმიდან გამომდინარეც მისაღები იყო: გარდა უეფას მოთხოვნებისა, ჩვენი საკუთარი კრიტერიუმებიც გაგვაჩნია, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის პოპულარიზაციას ემსახურება. გარდა იმისა, რომ სტადიონები ვიზუალურად მისაღები უნდა იყოს, გუნდებს "კოლხიდას" პროექტის ხელისშეწყობაც ევალებათ. ამ კუთხით "ამერის" სტადიონი, სადაც "გაგრა" ითამაშებს, მოთხოვნებს ბათუმის სტადიონზე მეტად პასუხობს.

**- ქუთაისის "ტორპედოს" სახელის გადარქმევა ხომ არ ნიშნავს, რომ კლუბს ეშველა?**

- ალბათ, ასეც იქნება. "ტორპედო 2008-ს" მმართველობაში გადაეცა სტადიონი და ბაზა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

**- ისე ჩანს, რომ წელს თამაშებს მხოლოდ რამდენიმე სტადიონი უმასპინძლებს.**

- ასეა, რადგან ყველა სტადიონი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მაგალითად, "ამერზე" "ამერი" და "გაგრა" ითამაშებენ, გორის ცენტრალურზე – პირველი ლიგის "დილა" და ცხინვალის "სპარტაკი", "მიხეილ მესხზე" "ლოკომოტივი" და "ვიტ ჯორჯია", ბორჯომში კი "ბორჯომი" და "მესხეთი".

**- უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობის კიდევ შემცირება გამორიცხულია?**

- წელს რაოდენობა აღარ შემცირდება. ასეთი გადაწყვეტილება ლიგის გამგეობის წინა სხდომაზე მივიღეთ. "მალაროელის" ადგილი "გაგრით" შევავსეთ.

**- მართალია, თითქოს, სეზონი მოგვიანებით იწყება?**

- სეზონი 2 აგვისტოს დაიწყება თასის მატჩებით, ჩემპიონატი კი სტარტს მოგვიანებით აიღებს.

**- უფრო კონკრეტულად, როდის?**

- ალბათ, აგვისტოს ბოლოს.

**- ზუსტ თარიღს როდის დაასახელებთ?**

- საკითხი ორშაბათს საბოლოოდ გადაწყდება.

**- ადრე პირველობა ივლისის ბოლო კვირას იწყებოდა, და ამდენად, 2 აგვისტოც დაგვიანებული თარიღია. ასეთი ცვლილება რამ განაპირობა?**

- აგვისტოში ოლიმპიადა იქნება და მაყურებელი უფრო მას უყურებს. "კოლხიდას" პროექტი კი იმიტომ განხორციელდა, საქართველოს ჩემპიონატი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს, რაც ოლიმპიადის დროს შეუძლებელი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ელიავა ამქარში ისინჯება



ზაალ ელიავა

რუსული გაზეთი "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, პრემიერლიგის "ამკარში" გასინჯვაზე **ზაალ ელიავა** მიიწვიეს. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და რიგის "სკონტოს" 23 წლის მცველი პერმის გუნდში ჯერ კიდევ ზამთარში ისინჯებოდა, მაგრამ მაშინ ლატვიაში დაბრუნდა.

რუსეთის პრემიერლიგის მეორე წრისთვის "ამკარი" შეკრებას პოლონეთში ატარებს და ელიავას საკონტროლო შეხვედრებში დააკვირდებიან.

ელიავამ რუსულ კლუბში უკვე ითამაშა პოზნანის "ლეხთან" ჩატარებული თამაშის მეორე ტაიმში. შეხვედრა რუსებმა 2:1 მოიგეს. ზაალი მოედანზე ასევე მეორე ტაიმში გამოჩნდა "გროცლინის" წინააღდეგაც, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა.

სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ზაალ ელიავას "სკონტოში" აღარ ათამაშებდნენ. მიზეზი მისი გადაწყვეტილება იყო. ქართველი მცველი "სკონტოსთან" კონტრაქტს აღარ აგრძელებდა და ძირითად შემადგენლობაში აღარ აყენებდნენ.

ეტყობა, ზამთარში გადაწყდა, რომ ელიავას "ამკარში" დატოვებდნენ. ოღონდ, ლატვიელებთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

**მერაბ მამულაშვილი**

# გაგრა ქართველებით გაძლიერდება

## ბესო ჩიხრაძე: ქართველებისთვის ომობენ და მე ჩამოვიყვანო უცხოელი?

"გაგრას" სამწლიანი წვალება დაუფასდა. მართალია, უმაღლეს ლიგაში გადმოსასვლელი სამი მატჩი წააგო, მაგრამ წელს საგზურს მაინც დაეუფლა: პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობამ ლიცენზირებულ "გაგრას" უმაღლეს ლიგაში არალიცენზირებული "მაღაროელის" ადგილი გადაუფორმა. ჭიათურელი გულშემატკივრებისთვის რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, გადაწყვეტილება სამართლიანია. მსგავსი პრეცედენტები ევროპის მრავალ ქვეყანაში მომხდარა. ორი წლის წინ ლიცენზია ვერ მიიღო და შვეიცარიის უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა "სერვეტი". იმ დროს "სერვეტი" მეორე ადგილზე იმყოფებოდა. ასევე შეემთხვა ავსტრიის ჩემპიონ "ტიროლს" და უნგრეთში უპოპულარულეს "ფერენცვაროშს". მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება. მთავარია, რომ სიმკაცრე ჩვეულებრივი ნორმაა და არ უნდა გაგვიკვირდეს. "გაგრის" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან საუბრისას, გუნდის მომზადებასა და საუმაღლესო პერსპექტივას შევეხეთ.

**- ბატონო ბესო, როგორი იყო თქვენი რეაქცია, როდესაც ლიგის გამგეობის გადაწყვეტილება შეიტყვეთ?**

- ნორმალური რეაქცია მქონდა, რადგან ჩვენი განვლილი გზით, უმაღლესში თამაშს ვიმსახურებთ და ამის ღირსი ვართ. რა თქმა უნდა, შეცდომებიც დაგვიშვია, მაგრამ ღირსებისთვის არ გვიღალატია.

ამის შანსი შარშანაც გვქონდა, გვკითხეს კიდეც, ზოგიერთი მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და თუ ითამაშებთო. მაშინ უარი ვუთხარით. წელს კი ჩავთვალეთ, რომ უნდა გვეთამაშა.

**- უმაღლესი ლიგის ზოგიერთმა გუნდმა დაკომპლექტება უკვე დაამთავრა, თქვენ კი ისევ პირველი ლიგისთვის ემზადებოდით და ახლა გაძლიერება დაჩქარებული ტემპით დაგჭირდებათ. თქვენი აზრით, გუნდი უმაღლესისთვის მზადაა?**

- არაა პრობლემა. "გაგრა" აუცილებლად გაძლიერდება და მჯერა, რომ ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გავხდებით.

რამდენიმე ხნის წინ "ლემანის" პრეზიდენტს ვესაუბრე, რომელიც საქართველოშია ნამყოფი. კაცი გაოცებულია, საფეხბურთო ქვეყანა ხართ, საოცრად ნიჭიერი ბავშვები გეზრდებათო. იმის თქმა მსურს, რომ ასეთ ქვეყანაში, აფრიკელი თუ ბრაზილიელი მოთამაშეების აყვანას, ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტება და ქართველი ტალანტების გაზრდა მირჩევნია.

**- ანუ მხოლოდ ქართველებს დაეყრდნობით?**

- რა თქმა უნდა. აქ უნიჭიერესი ბავშვები იზრდებიან. თუკი "ლაციოს", "აიაქსს", "ლემანს", "ემპოლისა" და "ბენფიკას" ქართველი ბიჭები აჰყავთ, ჩვენ ტალანტები უცხოეთში რატომ უნდა ვეძებოთ? ერთი ბავშვია, ახლა იმის გულისთვის მოსკოვის "სპარტაკი" და ლისაბონის "ბენფიკა" ომობენ! მოკლედ, რომ გითხრათ, მე მჯერა ქართული ფეხბურთის პოტენციალის.

**- ჯერ "ამერზე" კი ითამაშებთ, მაგრამ საკუთარ სტადიონს როდის ააშენებთ?**

- ჯერ "ამერის" პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიასა და გენერალურ მენეჯერ ვახტანგ ბზიკაძეს მადლობას გადავუხადი იმისთვის, რომ "ამერზე" თამაში თავად შემოგვთავაზეს და ეს არ იყო კომერციული შეთავაზება. ფაქტობრივად, სტადიონს მეგობრულად გვითმობენ.

რაც შეეხება საკუთარ სტადიონს - მე მართლა მჯერა, რომ აფხაზეთში დავბრუნდებით და სტადიონს არა აქ, არამედ გაგრაში ავაშენებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბრაზილიელები ვერ ჩამოვიდნენ

საქართველოში, 20 ივნისს, ბრაზილიურ კლუბ "სენტრალს" ელოდებოდნენ, რომელიც ქართულ კლუბებთან რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვას აპირებდა.

"სენტრალის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ქართველი სპეციალისტი **გოჩა ალადაშვილია**. ბრაზილიური კლუბის ქართული ტურნეს ორგანიზატორიც სწორედ ის გახლდათ. როგორც შევიტყვეთ, "სენტრალის" ხელმძღვანელობამ წინასწარ თადარიგი ვერ დაიჭირა, თბილისამდე ჩამოსაფრენი ბილეთები ვერ დაჯავშნა და ტურნე დროებით გადაიდო. შეიძლება, ერთი კვირის შემდეგ პრობლემა მოიხსნას, მაგრამ მზადების გრაფიკი ქართულ გუნდებსაც წინასწარ ჰქონდათ შედგენილი და ბრაზილიელებსაც. ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი თავდაყირა დგება. თუმცა "სენტრალის" ჩამოსვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**მერაბ მამულაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიონი ზეგ გამოაცხადებს

ბოლნისურ კლუბში კრება ჩატარდა, მაგრამ ახალი ბევრი არაფერი გარკვეულა. "სიონის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** ჯერჯერობით, თავს იკავებს გუნდიდან წასული ფეხბურთელების დასახელებისგან. ყველაფერი 25 ივნისს გაირკვევა. ამ დღეს წამსვლელთა გარდა, ბოლნისელთა ახალწვეულების ვინაობაც გაირკვევა, თუმცა გუნდის დაკომპლექტება ამით არ დასრულდება.

სავარაუდოდ, იმავე დღეს "სიონის" წევრები ბოლნისელ გულშემატკივრებს შეხვდებიან, შემდეგ კი საკონტროლო მატჩებს დაიწყებენ. 29-ში "სიონი" ბრაზილიურ "სენტრალს" ამხანაგურად უნდა გასჯიბრებოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელები საქართველოში ვეღარ ჩამოდიან.

# ჯორჯიელთა პირველი ტესტი

"ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადება 12 ივნისს დაიწყო. **ნესტორ მუმლაძემ** შეგირდები 16 ივნისამდე კუს ტბაზე არბენინა, 16-დან კი ვეტერინარები მცხეთაში ვარჯიშობენ. გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი უკვე ჩაატარა - თბილისის "სპარტაკს" 3:0 მოუგო.

ჯერჯერობით უცნობია, სად გაემგზავრება "ჯორჯია" შეკრებაზე, თუმცა ის კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ მუმლაძის გუნდი მოახლოებული ბატალიებისთვის აუცილებლად საზღვარგარეთ მოემზადება. შეგახსენებთ, "ვიტ ჯორჯია" უეფას თასზე იასპარეზებს, სადაც მისი პირველი მეტოქე 1 ივლისს გაირკვევა.

"ვიტ ჯორჯია" მომავალ სეზონშიც საკუთარი სკოლის აღზრდილებს დაეყრდნობა. ძირითადი შემადგენლობის წევრთაგან გუნდი მხოლოდ **ზაზა სახოკიამ** დატოვა, რომელიც კარიერას სომხურ "მიკაში" აგრძელებს. კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა **პავლე დათუნაიშვილს**, მაგრამ თუ სასურველი ვარიანტი ვერ იპოვა, შეიძლება არ წავიდეს. "ვიტ ჯორჯიაში" რჩება მისი კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე**.



ალექსანდრე კვახაძე

# ხიზანეიშვილი ლიგაში დასარჩენად



"აუგსბურგის" მთავარ მწვრთნელ **ჰოლგერ ფახს ოთარ ხიზანეიშვილის** დიდი იმედი აქვს. გუნდმა წინა სეზონში რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა ადგილი მეორე ბუნდესლიგაში და გაისადაც იგივე მიზანი ექნება. *"დაცვაში სერიოზული პრობლემები გვქონდა და ამ რგოლის გაძლიერებას სერიოზულად მივყავით ხელი. ოთარ ხიზანეიშვილი გამოცდილი მცველია, რომელიც მჯერა, ჩვენს გუნდში საკუთარ პოტენციალს იოლად გამოავლენს"*, - ამბობს ფახი.

შეგახსენებთ, ხიზანეიშვილმა "აუგსბურგთან" კონტრაქტი რამდენიმე კვირის წინათ გააფორმა, ბოლო წლები კი "ფრაიბურგის" შემადგენლობაში გაატარა. თავის დროზე იგი ამ გუნდისთვის დიდი ძალა იყო, გასულ სეზონში კი ქართველ მცველს სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად, არ ჰქონია.

# სალუქვაძემ კვირკველია შეცვალა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფი "რუბინი" ამხანაგურად ინსბრუკის "ვაკერს" დაუპირისპირდა. შეხვედრა ყაზანელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. "რუბინის" თავკაცმა **ყურბან ბერდიევმა** პირველი ტაიმის შემდეგ მთელი შემადგენლობა შეცვალა. **დავით კვირკველია** ძირითადში იყო, **ლაშა სალუქვაძე** კი თამაშში მის ნაცვლად ჩაერთო.

შეგახსენებთ, ყველასთვის მოულოდნელად, "რუბინი" რუსულ პრემიერლიგას ერთპიროვნულად ლიდერობს. ქართველთა გუნდს 25 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ "სპარტაკს" 5 ქულით უსწრებს.

# ავსტრიაში ქართველთა გარეშე

დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრა. გუნდთან ერთად მისი ქართველი წევრები არ არიან. **ჯაბა კანკავასა** და **სანდრო კობახიძეს** შეკრება იმიტომ უცდებათ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ მხარის სახსარზე ოპერაციები გაიკეთეს და სარეაბილიტაციო პროცესს გადიან. შეგახსენებთ, კანკავა "დნეპრის" ძირითადი შემადგენლობის განუყრელი წევრია, კობახიძე კი ჯერჯერობით, დუბლშემადგენლობაშია და დნეპროპეტროვსკელთა სასტარტოში მოხვედრას მომავალი სეზონისთვის იმედოვნებს. ორივე ქართველი მწყობრში მალე დაბრუნდება.

# გაჯიევი ლოკომოტივს ვარაუდობს

*"ნამდვილად არ ვიცი, რა გუნდია თბილისის "ლოკომოტივი", მაგრამ მასთან შეხვედრებს ნამდვილად სიამოვნებით ველი. არ ვიცი, შეძლებენ თუ არა თბილისელები ლუქსემბურგელთა ძლევას, მაგრამ მაინც მგონია, რომ ბრძოლა ქართულ კლუბთან მოგვიწევს"*, - ამბობს რამენსკოეს "სატურნის" მთავარი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი.

"ლოკომოტივმა" ინტერტოტოს თასზე გამოსვლა შაბათს დაიწყო ლუქსემბურგულ "ეტცელასთან" გასვლით მატჩში და ფრედ, 0:0 ითამაშა. "სატურნთან" თამაშის უფლებას კი **გიორგი კიკნაძის** გუნდი ამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მოიპოვებს.

# თარგამაძე ძირითადში იქნება

დღეს, გერმანიის ჭაბუკთა თასის ფინალია. ამ პრესტიჟული ჯილდოსთვის "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდი იბრძოლებს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ნახევარფინალში "კიოლნს" სძლია. ფინალში ბრაისგაუელთა მეტოქე "ვოლფსბურგი" იქნება. გადამწყვეტი მატჩი ვოლფსბურგში გაიმართება.

"ფრაიბურგის" ჭაბუკებში მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად და შედეგიანად ასპარეზობდა **დავით თარგამაძე**, რომელიც ხან ნახევარმცველის, ხან კი თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობდა. მან ერთი გოლი "კიოლნსაც" გაუტანა. გერმანულ ვებ-გვერდებზე უკვე გამოქვეყნდა ჭაბუკთა თასის ფინალის სავარაუდო შემადგენლობები. თარგამაძე ამჯერადაც ძირითადში მოიაზრება. მან "ვოლფსბურგთან" წესით, უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე უნდა ითამაშოს.

*"სეზონი ჩვენთვის ნებისმიერ შემთხვევაში წარმატებული იქნება, მაგრამ თუკი ტიტულს მოვიპოვებთ, ეს მოვლენა "ფრაიბურგის" ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენად დარჩება. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება, ფინალში ჩვენს სიძლიერეს აუცილებლად დავამტკიცებთ"*, - ამბობს "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა თავკაცი **კრისტიან შტრაიხი**. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თარგამაძის გუნდმა ჭაბუკთა ბუნდესლიგის სამხრეთ-დასავლეთ ზონაში მეორე ადგილი დაიკავა, სადაც "ბაიერნს" გაუსწრო და მხოლოდ "შტუტგარტს" ჩამორჩა.



დავით თარგამაძე

მასალები მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**

## ინტერტოტოს თასი

### I რაუნდი. I მატჩები

| | |
|---|---|
| ნუმანსია-ეხიდო | 2:2 |
| ხიმნასტიკი-სალამანკა | 1:2 |
| სევილია A-გრანადა | 4:2 |
| ალბასეტე-ლას პალმასი | 3:1 |
| სელტა-ალავესი | 2:3 |
| ერკულესი-კადისი | 1:1 |
| მალაგა-ტენერიფე | 2:1 |
| ფეროლი-კასტელონი | 1:0 |
| სოსიედადი-კორდობა | 1:1 |
| სპორტინგი-ეიბარი | 2:0 |
| ხერესი-ელჩე | 1:0 |
| სოსიედადი-კორდობა | 1:1 |
| სპორტინგი-ეიბარი | 2:0 |
| ხერესი-ელჩე | 1:0 |

*განმეორებითი მატჩები 28-29 ივნისს გაიმართება*

## მუნდიალი 2010

### აზია

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ჩინეთი | 0:1 |
| ერაყი-კატარი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-3 | 10 |
| 2. კატარი | 6 | 3 | 1 | 2 | 5-6 | 10 |
| 3. ერაყი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 4. ჩინეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| იაპონია-ბაჰრეინი | 1:0 |
| ომანი-ტაილანდი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-3 | 13 |
| 2. ბაჰრეინი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 3. ომანი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| 4. ტაილანდი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-14 | 1 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ს. კორეა-ჩრ. კორეა | 0:0 |
| იორდანია-თურქმენეთი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| 2. ჩრ. კორეა | 6 | 3 | 3 | 0 | 4-0 | 12 |
| 3. იორდანია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| 4. თურქმენეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-12 | 1 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიბანი-სინგაპური | 1:2 |
| ს. არაბეთი-უზბეკეთი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. არაბეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-5 | 15 |
| 2. უზბეკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 15-7 | 15 |
| 3. სინგაპური | 6 | 2 | 0 | 4 | 7-13 | 6 |
| 4. ლიბანი | 6 | 0 | 0 | 6 | 3-14 | 0 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ირანი-ქუვეითი | 2:0 |
| საემიროები-სირია | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირანი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 2. საემიროები | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 3. სირია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 4. ქუვეითი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-12 | 4 |

## მუნდიალი 2010

### კონკაკაფი

II ეტაპი. II მატჩები

| | |
|---|---|
| ბაჰამები-იამაიკა | 0:6 (0:7) |
| კანადა-სტ. ვინსენტი | 4:1 (3:0) |
| კოსტა რიკა-გრენადა | 3:0 (2:2) |
| მექსიკა-ბელიზი | 7:0 (2:0) |
| სტ. ლუსია-გვატემალა | 1:3 (0:6) |
| ბარბადოსი-აშშ | 0:1 (0:8) |
| გაიანა-სურინამი | გვ. დასრულდა (0:1) |

## ირლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| შემროკი-გალვეი | 3:1 |
| სტ. პატსი-ბრეი | 1:1 |
| დროგედა-დერი | 0:1 |
| კორკი-კობ რამბლერსი | 5:0 |
| სლიგო-უნივერსიტი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოჰემიანსი | 14 | 10 | 3 | 1 | 20-7 | 33 |
| 2. სტ. პატსი | 15 | 9 | 4 | 2 | 23-11 | 31 |
| 3. დერი | 15 | 8 | 5 | 2 | 20-10 | 29 |
| 4. კორკი | 15 | 7 | 5 | 3 | 25-13 | 26 |
| 5. დროგედა | 15 | 6 | 4 | 5 | 18-11 | 22 |
| 6. ბრეი | 15 | 6 | 4 | 5 | 12-19 | 22 |
| 7. სლიგო | 15 | 5 | 5 | 5 | 17-15 | 20 |
| 8. შემროკი | 15 | 4 | 6 | 5 | 15-14 | 18 |
| 9. უნივერსიტი | 15 | 2 | 7 | 6 | 11-17 | 13 |
| 10. ფინ ჰარპსი | 14 | 3 | 2 | 9 | 10-22 | 11 |
| 11. კ. რამბლერსი | 15 | 2 | 3 | 10 | 7-25 | 9 |
| 12. გალვეი | 15 | 1 | 4 | 10 | 11-25 | 7 |

## არგენტინა

### კლაუსურა

XIX ტური

| | |
|---|---|
| არგ. ხუნიორსი-როსარიო | 2:1 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ლანუსი | 1:2 |
| ურაკანი-ველესი | 1:2 |
| ნიუელსი-სან მარტინი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-არსენალი | 1:1 |
| ბანფილდი-რივერი | 2:3 |
| კოლონი-რასინგი | 1:0 |
| ხიმნასია (ხ)-სან ლორენსო | 2:2 |
| ოლიმპო-ესტუდიანტესი | 1:2 |

## მუნდიალი 2010

### აფრიკა

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| კამერუნი-ტანზანია | 2:1 |
| კაბო ვერდე-მავრიკიუსი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 2. კაბო ვერდე | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 3. ტანზანია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 4. მავრიკიუსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ზიმბაბვე-კენია | 0:0 |
| გვინეა-ნამიბია | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გვინეა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 2. კენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 3. ზიმბაბვე | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 4. ნამიბია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბენინი-ნიგერი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენინი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 2. ანგოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 3. უგანდა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 4. ნიგერი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-სიერა ლეონე | 0:0 |
| ნიგერია-ეკ. გვინეა | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგერია | 4 | 4 | 0 | 0 | 6-0 | 12 |
| 2. ს. აფრიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 3. ეკ. გვინეა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. სიერა ლეონე | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიბია-ლესოტო | 4:0 |
| განა-გაბონი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 2. ლიბია | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 3. გაბონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. ლესოტო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

VI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ალჟირი-გამბია | 1:0 |
| სენეგალი-ლიბერია | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სენეგალი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 2. ალჟირი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| 3. გამბია | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 4. ლიბერია | 4 | 0 | 2 | 2 | 4-9 | 2 |

VII ჯგუფი

| | |
|---|---|
| მოზამბიკი-მადაგასკარი | 3:0 |
| კოტ დ'ივუარი-ბოტსვანა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 2. ბოტსვანა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 3. მოზამბიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 4. მადაგასკარი | 4 | 0 | 3 | 1 | 1-4 | 3 |

VIII ჯგუფი

| | |
|---|---|
| მაროკო-რუანდა | 2:0 |
| ეთიოპია-მავრიტანია | 6:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაროკო | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 2. რუანდა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 3. ეთიოპია | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 4. მავრიტანია | 4 | 0 | 0 | 4 | 2-14 | 0 |

IX ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბურკინა ფასო-სეიშელი | 4:1 |
| ტუნისი-ბურუნდი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2. ტუნისი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 3. ბურუნდი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-5 | 3 |
| 4. სეიშელი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

X ჯგუფი

| | |
|---|---|
| კონგო-ჩადი | 2:0 |
| მალი-სუდანი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-6 | 9 |
| 2. კონგო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 3. ჩადი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 4. სუდანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

XI ჯგუფი

| | |
|---|---|
| ზამბია-სვაზილენდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 2. ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 3. ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |

XII ჯგუფი

| | |
|---|---|
| კდრ-ჯიბუტი | 5:1 |
| ეგვიპტე-მალავი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კდრ | 4 | 3 | 0 | 1 | 13-3 | 9 |
| 2. ეგვიპტე | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| 3. მალავი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-4 | 6 |
| 4. ჯიბუტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-23 | 0 |

## ბრაზილია

VII ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-პორტუგეზა | 0:1 |
| კორიტიბა-ფლუმინენსე | 2:1 |
| კრუზეირო-ფიგეირენსე | 3:0 |
| სან პაულუ-სპორტ რესიფე | 1:0 |
| იპატინგა-ფლამენგო | 1:3 |
| ვასკო-პალმეირასი | 0:2 |
| ვიტორია-ინტერნასიონალი | 2:1 |

"ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპორტის ვეტერანი მოღვაწის, 1970-1992 წლებში ჩვენი გაზეთის კონსულტანტის

**გიზო იმნაძის**

გარდაცვალების გამო.

# არაგონესმა ისტორია შეცვალა

## ესპანეთს ფინალში ველით

**მეოთხედფინალი**

**ესპანეთი-იტალია 0:0, პენ. 4:2**

ვენა. 22 ივნისი

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილია, სენა, ინიესტა (59. კასორლა), ჩავი (60. ფაბრეგასი), სილვა, ვილია, ტორესი (85. გუისა).

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, პანუჩი, კიელინი, გროსო, აკვილანი (108. დელ პიერო), დე როსი, ამბროზინი, პეროტა (58. კამორანეზი), კასანო (74. დი ნატალე), ტონი.

**პენალტები:** 1:0 ვილია, 1:1 გროსო, 2:1 კასორლა, 2:1 დე როსი (მეკარე), 3:1 სენა, 3:2 კამორანეზი, 3:2 გუისა (მეკარე), 3:2 დი ნატალე (მეკარე), 4:2 ფაბრეგასი.

**მაყურებელი:** 51 428

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 17 (6) | დარტყმა | 6 (3) |
| 22 | ჯარიმა | 18 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |


ალიაქოთი იტალიელთა საჯარიმოში

ესპანეთის ნაკრებმა ისტორია შეცვალა. გულშემატკივრებისა და პრესის მიერ ნაგინებ-ნალანძღმა **ლუის არაგონესმა** "სელექსიონი" მეოთხედფინალში გაიყვანა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ესპანელებს ეს დაბრკოლება 24 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ გადალახული. მოჯადოებული წრე გაირღვა, ნავსი გატყდა, ავბედითმა წყევლამ ძალა დაკარგა და ესპანეთი ნახევარფინალშია! ამ ნანატრ დღეს თაობები ელოდნენ, თაობები თავად ეროვნულ გუნდშიც შეიცვალა. უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი ისე წავიდა ფეხბურთიდან, რომ ეს ბედნიერება არ ღირსებია. ბევრს ლაპარაკობდნენ უილბლობასა და მსოფლიო დონის ვარსკვლავების დეფიციტზე. ნახევარფინალამდე ეს სიტყვები აღარავის გაახსენდება. ესპანეთმა ევრო 2008-ის ნახევარფინალში **რაულ გონსალეს ბლანკოს** გარეშე გააღწია. არადა, პირენეელი მიმომხილველები სწორედ რაულს მიიჩნევდნენ მსოფლიო დონის ერთადერთ ქარიზმატულ ლიდერად. გახსოვთ, არაგონესს ლამის დედას აგინებდნენ იმის გამო, რომ სამეფო კლუბის კაპიტანს საკვალიფიკაციო მატჩებში არ იწვევდა. სენიორ ლუისს ახლა შეუძლია, ყველას იქედნურად გადახედოს. "სელექსიონი" ცალი ფეხით ფინალშია...

ესპანეთისა და იტალიის მეოთხედფინალმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსოფლიო ჩემპიონებს სერიოზული პრობლემები აქვთ. მთავარი შეცდომა, ალბათ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **რობერტო დონადონის** დანიშვნა გახლდათ, მით უმეტეს, მუნდიალის მოგების შემდეგ. მსოფლიო თასის მოპოვებას, როგორც წესი, ისედაც ჩავარდნა მოსდევს ხოლმე, და თუ მთავარ მწვრთნელად დონადონის დანიშნავ, წარმატების იმედი აღარ უნდა გქონდეს. შესაძლოა, "სკუადრა აძურას" დამრიგებელმა დროთა განმავლობაში ცოდნა გაიღრმავოს, მაგრამ მუნდიალის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება ულამაზესი ზღაპარი იქნებოდა. დღევანდელი გადმოსახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ბედი სწორედ მაშინ დაიწერა, როცა გენიალური **მარჩელო ლიპი** "სტუდენტით" ჩაანაცვლეს...

ბევრი შეიძლება ვიკამათოთ, იტალიური სტილი კარგია თუ ცუდი, მაგრამ ამ კამათს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა იტალია იტალიურად თამაშობს. ყბადაღებული "კატენაჩო" სირცხვილი სულაც არ არის, ის სწორედ, რომ იტალიელთა სათამაშო სტილია... მაგრამ ახლანდელ იტალიას აბსოლუტურად არაფერი არ ჰქონდა, შიშისა და ეჭვების გარდა. არ არსებობდა თავდასხმა, **ლუკა ტონი** ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრასა და მეოთხედფინალშიც სრულიად გაუგებარ ფეხბურთს თამაშობდა. გასაგებია, რომ ის ეგრეთ წოდებული ბოძის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, მაგრამ შემირცხვენია ისეთი ფორვარდი, რომელსაც ბურთის ტარება არ შეუძლია და ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლა არ ეხერხება. სრულიად ლოგიკურია, რომ ტონიმ ევროპის პირველობა გატანილი გოლის გარეშე დატოვა. იტალიელი ძალიან შემცდარა, თუ ეგონა, რომ ევროპის პირველობა ბუნდესლიგის დონის ტურნირია. თუ მძლავრი, ეფექტური და მწვავე კონტრშეტევა არ არსებობს, იტალიის ნაკრების ფეხბურთს "კატენაჩოსთან" საერთო არაფერი აქვს, ეს უფრო საზიზღრობაა, ვიდრე "კატენაჩო".

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ "სკუადრა აძურას" **ანდრეა პირლო** საშინლად დააკლდა, მაგრამ დონადონი ვერც ამით გაიმართლებს თავს. ბანალურ ფრაზას მოვიშველიებთ: თანამედროვე გუნდი ერთ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. რა თქმა უნდა, პირლო **დიეგო მარადონა** რომ იყოს, ენას კბილს დავაჭერდი. გუშინ აპენინელებმა ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნეს და არ უნდა უკვირდეთ, რომ პრესტიჟული ტიტულისთვის ბრძოლა ვერ გააგრძელეს. "აძურაში" ერთადერთი ნათელი წერტილი ღვთაებრივი **ჯანლუიჯი ბუფონი** იყო. გენიალურმა მეკარემ თანაგუნდელებს მხოლოდ ერთხელ უსაყვედურა, ისიც მაშინ, როცა **დავიდ სილვას** ფიზიკურად აულებელი დარტყმის საშუალება მისცეს. სხვა შემთხვევებში ბუფონი ჩუმად და ვაჟკაცურად თამაშობდა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ დიდი ფეხბურთელების ხვედრია...

რაც შეეხება ესპანეთს, ამ გუნდის სამართლიანად შეფასებისთვის სიტყვები არ გვეყოფა. "სელექსიონმა" ამ ნანატრ დღემდე უდიდესი ტანჯვა გამოიარა. გაიხსენეთ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. არაგონესმა სასონწარმკვეთი წაგებებით დაიწყო, მას მუნდიალზე განცდილ ფიასკოსაც აყვედრიდნენ და სახლში წასვლას თხოვდნენ. მაგრამ არაგონესი პენსიაზე არ გადავიდა, სავარძელში მოკალათებასა და თბილი საბნის გადაფარებას დაუნდობელი ბრძოლის გაგრძელება ამჯობინა. მართალია, ჯერ ეს ბრძოლა არ დასრულებულა, მაგრამ ფაქტია - ლუისმა ისტორია შეცვალა. ეს ცვლილება მხოლოდ მეოთხედფინალური დაბრკოლების გადალახვას არ მოიცავს. უნდა ვაღიაროთ, რომ თავად ესპანეთის ნაკრების თამაში შეიცვალა. "სელექსიონმა" სითამამე და მიზანდასახულობა შეიძინა. პირენეელებმა ამ ევროზე ოთხიდან ოთხი დაპირისპირება მოიგეს. მართალია, პენალტების სერიაში გამარჯვება მატჩის მოგებად არ ითვლება, მაგრამ ესპანეთი იმსახურებს იმის თქმას, რომ ამ გუნდმა ყველა პაექრობა ტრიუმფალურად დაასრულა. თუნდაც გუშინდელი მომენტები რად ღირს. იტალია დაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდა, მაგრამ პირენეელებს მაინც არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა. მათი შემართება, ბრძოლისუნარიანობა და ანთებული თვალები მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევს...

ახლა, არაგონესს წინ **გუუს ჰიდინკთან** მეორე, და ალბათ, უფრო რთული დუელი ელის. დასამალი არ არის, რომ ფინალში გასასვლელად, სწორედ ჰიდინკთან ტაქტიკური ბრძოლის მოგება და **ანდრეი არშავინის** განეიტრალებაა საჭირო. "სელექსიონისთვის" ეს ნამდვილად არ არის გადაუჭრელი ამოცანა. ასე რომ, ესპანეთს ფინალში ველით...


ხომ არ გაუშვებენ დონადონის?


გადამწყვეტი პენალტის ავტორი სესკ ფაბრეგასი

**მატჩის შემდეგ**

**ლუის არაგონესი** (ესპანეთი): *"ჩვენ ეს დავიმსახურეთ, განგებამ უდიდესი შრომა დაგვიფასა. იტალიის ნახევარფინალში გასვლა უდიდესი უსამართლობა იქნებოდა, იმიტომ, რომ ესპანეთი ფეხბურთს თამაშობდა, იტალია კი ფეხბურთს კლავდა. მომიტევეთ ასეთი თამამი განცხადება, მაგრამ მე სიმართლეს მოგახსენებთ. დღეს უდიდესი გუნდი დავამარცხეთ. იტალია მსოფლიო ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ვერ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ მძიმე წნეხს გავუძლეთ და 120 წუთის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, "სელექსიონის" ღირსებაზე მეტყველებს. გილოცავ, ესპანეთო!"*

**რობერტო დონადონი** (იტალია): *"წაგების მიუხედავად, ჩემი გუნდის თამაშის არ მრცხვენია. ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატი თავაწეულებმა უნდა დატოვონ. გამარჯვებისთვის მათ ყველაფერი გაიღეს, მაგრამ არ გაგვიმართლა. რა გაეწყობა, ჩვენ ოპტიმისტები ვართ და თავს არ მოვიკლავთ. ხვალიდან ახალი ერა დაიწყება".*

ილია ნიკოლაიშვილი

# EURO 2008

# ტოტალური ფეხბურთი... რუსულად!

**მეოთხედფინალი**

**ჰოლანდია-რუსეთი 1:1, დდ.1:3**

ბაზელი. 21 ივნისი

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბულარუზი (54. ჰეიტინგა), ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი, ენგელაარი (62. აფელაი), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, კუიტი (46. ვან პერსი), ვან ნისტელროი.

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, კოლოდინი, ჟირკოვი, სემაკი, ზირიანოვი, სემშოვი (69. ბილიალეტდინოვი), საენკო (81. ტორბინსკი), პავლიუჩენკო (115. სიჩოვი), არშავინი.

**გოლები:** 0:1 პავლიუჩენკო (56), 1:1 ვან ნისტელროი (86), 1:2 ტორბინსკი (112), 1:3 არშავინი (116)

**მაყურებელი:** 39 730

**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | **გაფრთხილება** | 3 |
| 23 (8) | **დარტყმა** | 25 (10) |
| 25 | **ჯარიმა** | 27 |
| 4 | **კუთხური** | 11 |
| 53% | **ბურთის ფლობა** | 47% |



ვან ნისტელროის გოლი

...რუსეთის ნაკრების ძლევამოსილი სვლა გრძელდება! ამ ქვეყნის ყველაზე ოპტიმისტი ქომაგიც ვერ იფიქრებდა, რომ ესპანეთთან დიდი ანგარიშით წაგების მერე რუსები ნახევარფინალამდე გააღწევდნენ. თანაც, რუსეთის ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს: ბერძნებს აჯობეს, შვედები უპრობლემოდ დაამარცხეს, ჰოლანდიის ნაკრები კი... დაიბრიყვეს! "ის" ჰოლანდიის ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდანვე ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად რომ იქცა: "სიკვდილის ჯგუფში" მოხვედრილმა გუნდმა ჯერ იტალიას "გადაურბინა", მერე - საფრანგეთს; ეგ კი არა, თავისთვის უომტივაციო მატჩში რუმინეთიც უშანსოდ დატოვა (თან, მეორე შემადგენლობით). ჰოდა, აღარც არავის უკვირდა, თუ როგორი ეპითეტებით ამკობდნენ **მარკო ვან ბასტენის** გუნდს: "მექანიკური ფორთოხალი", "ნარინჯისფერი რევოლუცია", "ტოტალური ფეხბურთის დაბრუნება" და ასე შემდეგ. მაგრამ, "პარალელური კურსით" მოძრავი რუსებიც ხომ უმატებდნენ და აი, მეოთხედფინალის დღეც დადგა. და რა შეიძლება დავარქვათ რუსების ესოდენ შთამბეჭდავ თამაშს? ყოველ შემთხვევაში, მოულოდნელობა და შემთხვევითობა თაივდანვე უნდა გამოვრიცხოთ - **გუუს ჰიდინკის** გუნდმა ალალად დაიმსახურა მოგება. გვინდა არ გვინდა, მწვრთნელის ფაქტორს განსაკუთრებული ადგილი უნდა დავუთმოთ. იმაზე არ ვსაუბრობთ, რომ ჰიდინკი ჰოლანდიელია და თანამემამულეთა წინააღმდეგ უწევდა პაექრობა. უბრალოდ, კიდევ რეთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელის განსწავლულობას და გამოცდილებას. ჰიდინკმა თავის ახალგაზრდა კოლეგა პირწმინდად დაჯაბნა! აბა, გაიხსენეთ მატჩის ბოლოსკენ ვან ბასტენის გაოგნებული სახე - მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდს ვერაფრით დაეჯერებინა მოედანზე მიმდინარე მოვლენები. არა, ეს მართლაც უნიკალური სურათი იყო: მეორე დამატებული ტაიმის იწურებოდა და ჰოლანდიელები ძლივს რომ დალასლასებდნენ, ამ დროს რუსები ერთი-მეორეზე სწრაფ და ეფექტურ შეტევებს ახორციელებდნენ. ჰოდა, გაიგე ახლა - ვინ ითამაშა ამ ჩემპიონატზე ტოტალური ფეხბურთი?...

...ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატზე სატურნირო სტრატეგიას უდიდიესი მნიშვნელობა აქვს; აი, პორტუგალიამ და ხორვატიამ ხომ დაიწყეს რიხით? მერე, ჯგუფში პირველი ადგილი რომ გაინაღდეს, თავიანთთვის უმოტივაციო მესამე მატჩებში სარეზერვო შემადგენლობით ითამაშეს. მოკლედ, ძირითადის ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს და... მწარედაც ინანეს: ორივე ნაკრები ამჟამად ჩემპიონატს მილმაა. იგივე დაემართა ჰოლანდიასაც, ოღონდ ამ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა რუმინელებთან ვინ ითამაშებდა. მიზეზი მარტივია - გუუს ჰიდინს, როგორც იტყვიან, ზეპირად ჰქონდა შესწავლილი ფავორიტი-მეტოქის თამაში და თითქმის უნაკლო გუნდი ყველა კომპონენტში დაჯაბნა. ჰიდინკი-მწვრთნელის "ჯადოსნურ ჯოხზე" საუბარი შორს წაგვიყვანს და მხოლოდ ერთს დავძენთ - ეს არის თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტი! აი, ახლაც, ჰოლანდიასთან მატჩის წინ გუნდი ისე განაწყო, რომ ორი საათის განმავლობაში რუსების უპირატესობა თავლსაჩინოზე მეტი გახლდათ. ჰიდინკმა თავის ახალგაზრდა თანამემამულე კოლეგას ტაქტიკური დუელის პირწმინდად მოუგო: ყველასათვის მოულოდნელად, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **ივან საენკო** გამოჩნდა. საენკო რუსეთის ნაკრების ერთადერთი(!) ლეგიონერია და "ნიურბერგში" არცთუ სახარბიელო სეზონი ჰქონდა, მაგრამ ჰიდინკის გათვლით მას და მარჯვენა მცველს **ალექსანდრ ანიუკოვს** ჰოლანდიელთა მარცხენა ფლანგზე **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისა** და **ვესლი სნეიდერის** აქტიურობა უნდა აელაგმათ; მოედნის ცენტრში კი **სემაკი-სემშოვი-ზირიანოვის** ტრიოს ჰოლანდიელთა საყრდენი დუეტი, **ენგელაარი-დე იონგი** უნდა გადაეყლაპა; რუსების მარცხენა ფლანგზე კი ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურელს, **იური ჟირკოვს** უნდა ებატონა; თანამედროვე სტილის ცენტრფორვარდის, **რომან პავლიუჩენკოს** უკან კი **ანდრეი არშავინს** უნდა ემოქმედა, რომელსაც სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. აშკარად შეტევაზე ორიენტირებულმა სქემამ გაამართლა: პირველივე წუთებიდან რუსების უპირატესობა გამოიკვეთა. გუუსის შეგირდებმა განსაკუთრებით მარცხენა ფლანგზე გაილაღეს, სადაც ჟირკოვის შემჩერებელი ვერავინ აღმოჩნდა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო რუსების არანორმალური პრესინგი - 20 წუთის განმავლობაში ჰოლანდიელები მოყვარული ფეხბურთელებივით უცქერდნენ მეტოქის შთამბეჭდავ თამაშს. **ჟირკოვი, პავლიუჩენკო, არშავინი** - სამივე მათგანს გოლის გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ჰოლანდიელთა შორის პირველ ტაიმში საუკეთესო **ვან დერ სარი** სასწაულს სასწაულზე სჩადიოდა. მერე, **დენის კოლოდინმა** გაიხსენა, რომ ბავშვობაში ჯერ ფორვარდი იყო, შემდეგ ნახევარმცველი - რუსეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა შორიდან სამჯერ ისე დააბრახუნა, ჰოლანდიელთა ლამის ორმეტრიანი მეკარე ზამბარასავით აქეთ-იქით ახტუნავა...

ჰოლანდია? ერთადერთი, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** სტანდარტულებს თუ შეჰქონდა სიმწვავე თამაშში; თუმცა ამ ტექნიკური ნახევარმცველის მზაკვრულ ჩაწოდებებს პარტნიორები ვერა და ვერ იყენებდნენ. თანაც, როგორც ყოველთვის, აბსოლუტურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა **იგორ აკინფეევი** - რუსეთის ნაკრების ახალგაზრდა მეკარეს (ჟირკოვისა და არშავინის მსგავსად) მალე რომელიმე ევროპულ გრანდში რომ ვიხილავთ, წყალი არ გაუვა.

მეორე ტაიმში ვან ბასტენმა შეცვლებით სცადა მოედანზე სიტუაციის შეცვლა. უჩვეულოდ პასიური **დირკ კიუტის** ნაცვლად **რობინ ვან პერსი** შეიყვანა, მერე კი იმავე მარჯვენა ფლანგზე **ჯონი ჰეიტინგაც** შეუშვა - ჟირკოვს ხომ აკლებული ჰქონდა ეს ფლანგი. თუმცა ვერც შეცვლებმა უშველა - არშავინმა ჩინებული პასით სემაკი მოძებნა, რუსების კაპიტანმა მარცხენა ფლანგიდან არანაკლებ დიდებული გადაცემა გაუკეთა პავლიუჩენკს და პირველი გოლიც ვიხილეთ!

ვან ბასტენმა მესამე ცვლილებასაც მალე მიმართა. მარკომ ახალგაზრდა გარემარბი **იბრაჰიმ აფელაი** გამოიყვანა. თანაც, ერთი საყრდენი (ენგელაარი) მოხსნა და სნეიდერიც ცენტრში შესწია. სნეიდერი, უდავოდ, საუკეთესო იყო ჰოლანდიელთა შორის - საშუალო თუ შორი მანძილიდან წამდაუწუმ რომ ემუქრებოდა აკინფეევის კარს. სწორედ მის პასს მოჰყვა კიდეც **რუუდ ვან ნისტელროის** გოლი, რომელმაც ჰოლანდიელებს თამაშის გადარჩენის შანსი მისცა. არადა, ძალიან დიდი შანსი იყო, რომ ყველაფერი ძირითად დროში დასრულებულიყო: **სემშოვს, საენკოს, ანიუკოვს, პავლიუჩენკოს, ტორბინსკისა** და **სემაკს** არაერთი ჩინებული მომენტი ჰქონდათ!

...დამატებითი ორი ტაიმი, როგორც წესი, მოსაწყენ და მონოტონურ თამაშთან ასოცირდება. აი, შაბათის მატჩში კი საპირისპირო სურათი ვიხილეთ: რუსებმა მეტოქე კი არ წალეკეს, ჟარგონულად რომ ვთქვათ - გადაუარეს. ხან ძელი თუ ხარიხა და ხან კიდევ ვან დერ სარის ოსტატობა რომ არა, ჰოლანდია სარეკორდო ანგარიშით დამარცხდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მხოლოდ სნეიდერი და ვან დერ სარი ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის ნაკრებს. პირველ დამატებით 15 წუთში რუსებმა ხუთი (!) მომენტი შექმნეს, მეორეში კი უკვე მეტოქის აბუჩად აგდებაც ვიხილეთ. ჰოლანდიელები მოედანზე ძლივს დალასლასებდნენ, რუსები კი, არშავინის მეთაურობით, დაფრინავდნენ! სიმბოლურიც იყო, რომ არშავინმა ჯერ საგოლე პასი მიითვალა, მერე კი საბოლოო წერტილი დაუსვა მეტოქის განადგურებას. შესაძლოა, ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ რუსებმა ნახევარფინალში გასვლა მართლაც დაიმსახურეს.



არშავინი სვამს წერტილს

## მატჩის შემდეგ

**გუუს ჰიდინკი** (რუსეთი): *"უბრალოდ, დაუჯერებელია, რაც ბიჭებმა გააკეთეს. ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ ტაქტიკურადაც და ძალისმიერადაც. არ მინდა ხმამაღალი ფრაზები ვთქვა, მაგრამ ემოციებს ვერ ვერევი... ერთადერთი, რაც ჰოლანდიის ნაკრებს გამოუვიდა, სტანდარტული სიტუაციები იყო. ძალიან ცუდია მატჩის ბოლოს გოლის გაშვება. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ასეთ დროს გუნდები სიმტკიცესა და რიტმს კარგავენ, მაგრამ შესვენებისას ფეხბურთელებს ვთხოვე, რომ ძველებურად გაეგრძელებინათ. ეს არ იყო ადვილი, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მენტალურად. თუმცა აშკარად ვხედავდი, რომ მეტოქეს ვჯობდით. ამიტომაც არ უნდა გავჩერებულიყავით... უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. რუს ხალხს გამარჯვებას ვულოცავ".*

**მარკო ვან ბასტენი** (ჰოლანდია): *"რუსეთმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. საკამათო არ არის, რომ მათ ჩვენზე გაცილებით უკეთ ითამაშეს. ბოლოს და ბოლოს, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ჯგუფურ ეტაპზე ჩვენ შესანიშნავად გამოვიყურებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ეს ველარ გავიმეორეთ. ამიტომ, ეს მარცხი ორმაგად მძიმეა. ასევე, ძალიან ძნელია ტურნირის დატოვება მაშინ, როცა ჩვენ იტალიას და საფრანგეთის გუნდები ბრწყინვალე სტილში დავამარცხეთ... მაგრამ კიდევ ვამბობ: რუსებმა ფანტასტიკურად ითამაშეს. პავლიუჩენკომ და არშავინმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს. მინდა წარმატებები ვუსურვო ამ გუნდსა და პირადად გუუს ჰიდინკს. ვთვლი, რომ რუსეთის ნაკრებს ჩემპიონატის მოგების კარგი შანსი აქვს. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ახლა მომავლისკენ უნდა გავიხედოთ, მაგრამ ეს ჩემს გარეშე იქნება. თუმცა დღეს ადრეა კრიტიკა, დამნაშავის ძებნა სხვა დროისთვის გადავდოთ".*

**გია ტუხაშვილი**

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროსტატისტიკა

## უილზლონი

### გუნდები

**გოლები:** ჩეხეთი 4, შვედეთი 3, შვეიცარია 3.

**გოლი საჯარიმოს შიგნიდან:** ჩეხეთი 4, შვეიცარია 3, შვედეთი 2.

**გოლი საჯარიმოს გარედან:** შვედეთი 1.

**გაშვებული გოლი:** ჩეხეთი 6, საფრანგეთი 6, პოლონეთი 4.

**საჯარიმოს შიგნიდან** ნ: ჩეხეთი 6, საფრანგეთი 4.

**საჯარიმოს გარედან:** პოლონეთი 3, საფრანგეთი 2, შვედეთი 2.

**დარტყმა:** საფრანგეთი 47, შვეიცარია 45, პოლონეთი 44.

**კარში დარტყმა:** შვეიცარია 23, პოლონეთი 15, ავსტრია 14.

**აცილება:** საფრანგეთი 24, პოლონეთი 21, ავსტრია 20.

**დაბლოკილი დარტყმა:** საფრანგეთი 10, რუმინეთი 10, პოლონეთი 8.

**კუთხური:** ავსტრია 21, შვეიცარია 17, პოლონეთი 16.

**თამაშგარე:** საბერძნეთი 11, პოლონეთი 11, რუმინეთი 10

**შეტევა:** პოლონეთი 45, ავსტრია 41, საფრანგეთი 41, შვეიცარია 41.

**შეტევა მარცხნიდან:** პოლონეთი 21, შვედეთი 19, ავსტრია 17.

**შეტევა მარჯვნიდან:** საფრანგეთი 18, შვეიცარია 16, ავსტრია 16.

**შეტევა ცენტრიდან:** შვეიცარია 12, პოლონეთი 10, რუმინეთი 10.

**ბურთის ფლობა:** საფრანგეთი 51,3%, ავსტრია 50,7%, პოლონეთი 49,7%.

**დაჯარიმდნენ:** პოლონეთი 67, შვეიცარია 66, საფრანგეთი 61.

**მათ წინააღმდეგ დაჯარიმდნენ:** შვეიცარია 70, საფრანგეთი 56, ავსტრია 51.

**ყვითელი ბარათი:** ავსტრია 8, საბერძნეთი 8, შვეიცარია 8.

**პასი:** საფრანგეთი 1465, საბერძნეთი 1346, ავსტრია 1343.

**სწორი პასი:** საფრანგეთი 77,7%, საბერძნეთი 74,7.

**გრძელი პასი:** ავსტრია 336, საბერძნეთი 278.

**საშუალო პასი:** საფრანგეთი 927, პოლონეთი 810, საბერძნეთი 798.

**მოკლე პასი:** საფრანგეთი 315, ავსტრია 287, რუმინეთი 285.

**ჩაწოდება:** ავსტრია 56, შვედეთი 47, საბერძნეთი 43, შვეიცარია 43.

### ფეხბურთელები

**გოლი:** იაკინი (შვეიცარია) 3, იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) 2.

**დარტყმა:** კრჟინოვეკი (პოლონეთი) 14, მუტუ (რუმინეთი) 13, იაკინი (შვეიცარია) 9, ანრი (საფრანგეთი) 9, ლევანდოვსკი (პოლონეთი) 9.

**კარში დარტყმა:** ხარისტეასი (საბერძნეთი) 6, იაკინი (შვეიცარია) 5, ინლერი (შვეიცარია) 5, მუტუ (რუმინეთი) 5.

**აცილება:** კრჟინოვეკი (პოლონეთი) 6, ბენზემა (საფრანგეთი) 5, ანრი (საფრანგეთი) 5, ივანშიტცი (ავსტრია) 5.

**დაბლოკილი დარტყმა:** ტულალანი (საფრანგეთი) 5, კრჟინოვეკი (პოლონეთი) 4, მუტუ (რუმინეთი) 4.

**კუთხური:** კრჟინოვეკი (პოლონეთი) 15, ივანშიტცი (ავსტრია) 14, **პლაშილი** (ჩეხეთი) 10, **რიბერი** (საფრანგეთი) 10.

**საგოლე პასი:** **დერდიოკი** (შვეიცარია) 2.

**თამაშგარე:** მუტუ (რუმინეთი) 5, დ. ნიკულაე (რუმინეთი) 4, სმოლიარეკი (პოლონეთი) 4.

**დაჯარიმდა:** აუფჰაუზერი (ავსტრია) 11, კარაგუნისი (საბერძნეთი) 11.

მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ: ბეჰრამი (შვეიცარია) 14, ინლერი (შვეიცარია) 13, კარაგუნისი (საბერძნეთი) 13.

**პასი:** მაკელელე (საფრანგეთი) 181, ტულალანი (საფრანგეთი) 181.

**სწორი პასი:** გალასი (საფრანგეთი) 93%.

**გრძელი პასი:** ბასინასი (საბერძნეთი) 42, რაცი (რუმინეთი) 39, იანკულოვსკი (ჩეხეთი) 38.

**საშუალო პასი:** ტულალანი (საფრანგეთი) 116.

**მოკლე პასი:** პრანიჩი (ხორვატია) 42.

**ჩაწოდება:** მანინი (შვეიცარია) 14, კარაგუნისი (საბერძნეთი) 13, იანკულოვსკი (ჩეხეთი) 12.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

გერმანია

## გერმანელები ფრთხილობენ: თურქეთი საშიშია!

### ლიოვი: თუ თურქებს თამაში ერთხელ წაუვიდათ, მათი შეჩერება ძალიან რთულდება



პორტუგალიის ნაკრების დამარცხების შემდეგ, გერმანელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ნახევარფინალში მათი მეტოქე ხორვატიის ნაკრები იქნებოდა და შურისძიების შანსი მიეცემოდათ, მაგრამ ფავორიტად შერაცხული ხორვატია თურქეთთან დამარცხდა და გერმანელებსაც ნახევარფინალში მეტოქედ **ფათიჰ თერიმის** მეტად იღბლიანი და ალესილი გუნდი შერჩათ.

ბუნდესგუნდის მარჯვენა მცველი **არნე ფრიდრიხი** თანაგუნდელებს სრული კონცენტრაციისკენ მოუწოდებს, "ჰერტას" ფეხბურთელი ამბობს, თურქების ჩამოწერა არ შეიძლება და რაკი აქამდე მოვიდნენ, ე.ი. ფინალში გასვლა და მისი მოგებაც შეუძლიათ, ასე რომ, უდიდესი სიფრთხილე გვმართებსო. *"თურქებმა ამ ტურნირზე ზუსტად ის თვისებები გამოავლინეს, რაც გერმანელებს გვაქვს - ბოლო წამამდე იბრძვიან და იმედს არ კარგავენ. ძალიან საშიში გუნდია,"* - ეს კი **თომას ჰიტცლშპერგერის** სიტყვები გახლავთ.

მაგრამ ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ გერმანელები დაფრთხებიან. ფრიდრიხი ამბობს, ორი წელიწადია, ევროპის ჩემპიონობაზე ვოცნებობთ, ახლა მიზანთან ასე ახლოს ვართ და ცხადია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფინალში გავიდეთო. **კრისტოფ მეტცელდერი** თურქების ძლევის შანსს მხოლოდ ძალიან შემტევ ტაქტიკაში ხედავს: *"მეტოქე პირველიდან ბოლო წუთამდე უმძიმესი წნეხის ქვეშ უნდა ვამყოფოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მასირებულ შეტევებს ვერ გაუძლებენ."*

ბუნდესგუნდმა შაბათს დაისვენა და ნახევარფინალისთვის მზადებას გუშინდელი დღიდან შეუდგა. **იოახიმ ლიოვმა** თავისი შეგირდები გუშინ მხოლოდ მსუბუქად დატვირთა. ვარჯიშის შემდეგ კი ზოგმა ჩოგბურთი ითამაშა, ზოგმა წყალბურთი და ზოგმაც ველოსიპედებით ისეირნა. რაც შეეხება უშუალოდ თურქეთთან მატჩს.

*"თურქების შესაძლებლობებს ძალიან კარგად ვიცნობ. თუ მათ ერთხელ თამაში წაუვიდათ, ჩათვალეთ, რომ სასწაულების მოხდენა შეუძლიათ"*, - აცხადებს ლიოვი, რომელსაც თურქეთში მუშაობის გამოცდილება აქვს: იოგი 1998/99 წლების სეზონში "ფენერბაჰჩეს" თავკაცი გახლდათ, 2000 წლის დეკემბრიდან 2001 წლის მარტამდე კი "ადანასპორის" დამრიგებელი იყო.

შაბათს ბუნდესმეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ** სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. *"პორტუგალიასთან თამაშის წინ თითქმის ყველა გამოცემამ დაწერა, რომ თუ პენალტების სერია დაინიშნებოდა, იენს ლემანი ჩემგან კიდევ ერთ "შპარგალკას" მიიღებდა, ზუსტად ისე, როგორც 2006 წელს, არგენტინასთან. შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი გეგმების შესახებ ჩემს გარდა არავინ არაფერი იცის. ძალიან გთხოვთ, მუშაობაში ხელს ნუ გვიშლით,"* - უთხრა კიოპკემ ჟურნალისტებს. ანდიმ შემთხვევით ისარგებლა და **ლემანი** აქო - ზუსტად ისე თამაშობს, როგორც მოველოდით, იენსმა იმედები 100 პროცენტით გაამართლაო.

კითხვაზე, რას აპირებს ლემანი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, კიოკპემ ასეთი პასუხი გასცა: *"არავინ იცის, რა იქნება ევროპის ჩემიონატის შემდეგ. ფაქტი ის არის, რომ ახლა მხოლოდ მომავალ მატჩზე ვფიქრობთ. აღსანიშნავია ისიც, რომ სათადარიგო კიპერები, რენე ადლერი და რობერტ ენკეც ძალიან კარგად გამოიყურებიან."*

კმაყოფილია **მიროსლავ კლოზეც**, რომელსაც ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჩვენი გერმანელი კოლეგები ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ. პორტუგალიასთან გატანილი გოლის შემდეგ კი კლოზეს თავზეც გამოიდარა. *"ბოლოს და ბოლოს, ისე ვითამაშე, როგორც უნდა მეთამაშა,"* - ამბობს კლოზე, რომელიც წინა შეხვედრებში ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ზოგადად, კლოზესთვის ეს სეზონი ფაქტობრივად, ჩაგდებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ბუნდესლიგის მეორე წრეში მან მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მირო **ლუკა ტონის** დაენიძლავა, კონტინენტის პირველობაზე შენზე მეტ გოლს გავიტანო. ჯერჯერობით, კლოზე იტალიელს 1:0-ს უგებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ექსპერტის მოსაზრება

## ასე დავამარცხებთ თურქებს!

### თავიდანვე უკანმოუხედავი იერიშები; ვაიძულოთ, დაუშვან შეცდომები; თერიმს სუსტი დაცვა ჰყავს...

**კრისტოფ დაუმი, ბილდი**



...რომ გითხრათ, ძალიან მესიამოვნა, თურქების ნახევარფინალში გასვლა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. მე ამ ქვეყანას დიდ პატივს ვცემ და მათი წარმატებები ყოველთვის მახარებს. ამ შემთხვევაში კი იმის გამო ავნერვიულდი, რომ **ფათიჰ თერიმის** გუნდი ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების მეტოქე იქნება. როდესაც პენალტების სერია დასრულდა, ტელევიზორის წინ ბოლთის ცემა დავიწყე. თურქეთის ნაკრებიდან ფეხბურთელების უმეტესობას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რაც შეუძლიათ.

თურქებმა ევროპის ჩემპიონატი არც ისე კარგად დაიწყეს, მაგრამ მერე ისე მოუმატეს, რომ გაკვირვებისგან პირი დავაღე. მათ შემოატრიალეს მატჩები შვეიცარიასთან, ჩეხეთთან და ახლა ხორვატიასთანაც, რაც, პირველ რიგში, იმის ბრალია, რომ თერიმის გუნდი მებრძოლი და უაღრესად თავდაჯერებულია. კონდიციების თვალსაზრისით, თურქები საუკეთესო ფორმაში არიან. სხვათა შორის, ეს იმ უცხოელი მწვრთნელების დამსახურებაა, რომლებიც თურქეთში მუშაობენ.

გერმანიაში ბევრი ფიქრობს, რომ მეოთხედფინალში გადატანილი ომისა და ნერვიულობის შემდეგ, თურქები გატყდებიან. ზოგი კი მიიჩნევს, რომ პირიქით, უფრო მოუმატებენ და გერმანიის ნაკრებსაც გადაუვლიან. მე ვამბობ: არც ერთი მოხდება და არც მეორე. ფაქტი ის გახლავთ, რომ თურქეთის ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიასთან თამაში დიდი პატივია.

თურქებისთვის გერმანიასთან მატჩს გაცილებით დიდი დატვირთვა აქვს და ეს მათთვის არ არის ერთი რიგითი შეხვედრა. ისინი მხოლოდ გამარჯვებისთვის კი არა, იმისთვის იბრძოლებენ, რომ ევროპამ თურქეთი აღიაროს. მიმდინარეობს საუბრები იმის შესახებ, რომ თურქეთი ევროკავშირში შევიდეს და ეს მატჩი ამ ქვეყნისთვის ამ თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია. ასე რომ, თერიმის გუნდი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს.

მიუხედავად ამისა, ჩემთვის ფავორიტი მაინც გერმანიის ნაკრებია. იმ თამაშმა, რაც ბუნდესგუნდმა პორტუგალიასთან აჩვენა, საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. მანამდე მაინც ეჭვი მეპარებოდა - მით უმეტეს, ხორვატიასთან განცდილი მარცხის შემდეგ. გერმანიის ნაკრების ასეთი შესანიშნავი თამაში რამდენიმე წელიწადია, აღარ მინახავს. თუკი თურქეთის ნაკრების დამარცხება გვსურს, მინიმუმ ზუსტად ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც პორტუგალიასთან.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ თურქები პირველივე წუთებიდან უმძიმესი წნეხის ქვეშ მოვაქციოთ, თერიმის გუნდი ვაიძულოთ, შეცდომები დაუშვას. ხორვატებიც ამას ცდილობდნენ, მაგრამ შეცდომა დაუშვეს - **სლავენ ბილიჩის** გუნდი ზედმეტად ხლართავდა ტაქტიკას. თურქებთან აღმაფრენით, თავისუფლად უნდა ითამაშო. ამ დროს იბნევიან ხოლმე.

ფაქტია, რომ თერიმს ყველაზე მეტად დაცვაში უჭირს. ეს განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებზე ითქმის. ისინი ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გერმანიამ ბევრი ჯარიმა და კუთხური მოიპოვოს, რადგან თვალსაჩინოა ისიც, რომ თურქებს სტანდარტული მდგომარეობების დროს დაცვაში ძალიან უჭირთ.

ლიოვის ადგილზე რომ ვიყო, ტაქტიკა-სტრატეგიაში არაფერს შევცვლიდი. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, პორტუგალიასთან ძირითად შემადგენლობაში **სიმონ როლფესი** და **თომას ჰიტცლშპერგერი** გაამწესა, რადგან მეც ვფიქრობდი, რომ ამ დუეტს აუცილებლად უნდა ესპარეზა. როლფესი ტიპიური საყრდენია და **ტორსტენ ფრინგსი** შესანიშნავად შეცვალა. ჩამშლელის პოზიციაზე თამაში ჰიტცლშპერგერსაც შეუძლია და ამით ლიოვმა **მიხაელ ბალაკი** შავი საქმისგან გაათავისუფლა, რაც ჩვენი კაპიტნის თამაშს აშკარად დაეტყო.

ზოგადად, თუ გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდება, ყველაზე მეტად ეს ბალაკის გამო გამიხარდება. მიხაელმა ასეთი რანგის ტიტული ნამდვილად დაიმსახურა. ერთ რამეში დღემდე დარწმუნებული ვარ: ბალაკს 2002 წლის მუნდიალის ფინალში რომ ეთამაშა, გერმანია აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა...

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია

## სკოლარი: ყველაფერი ჩემი ბრალია!

ევროპის ჩემპიონატს ერთ-ერთი ფავორიტი გამოაკლდა. გერმანიასთან მარცხის შემდეგ, პორტუგალიის ნაკრები შინ გაემგზავრა. **ლუიშ ფელიპე სკოლარი** კი ათ დღეს დაისვენებს და 1 ივლისიდან "ჩელსის" განკარგულებაში გადავა. მანამდე კი "ფელიპაომ" მეოთხედფინალში წაგების მიზეზებზე ისაუბრა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მთავარი მიზეზი სკოლარის "ჩელსიში" გადასვლის ნაადრევი აფიშირებაა - ამან გუნდზე სერიოზული გავლენა იქონია, რადგან ეტყობა, ფეხბურთელებმა ჩათვალეს, რომ მთავარ მწვრთნელს, რაკი მაღალშემოსავლიანი სამსახური იშოვნა, მოტივაცია აღარ ექნებოდაო.

საკამათო აზრია, მაგრამ სიმართლის მარცვალი მასში უთუოდ არის. მოტივაციის არქონა უნდა გამოვრიცხოთ, რადგან სამწვრთნელო სკამზე ჩვენ ჩვეულებრივ სკოლარის ვხედავდით - ემოციურს, შემართულს, თავისი საფირმო მიმიკითა თუ ჟესტიკულაციებით. უნდა გამოვრიცხოთ იმიტომაც, რომ ასეთ დროს მწვრთნელის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, გუნდიდან გამარჯვებული წავიდეს და არა თავჩაქინდრული. ექსპერტების მოსაზრებას სკოლარიც კატეგორიულად უარყოფს:

*"ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. რომც არ მეთქვა, მაინც წავაგებდით, რადგან მიზეზები სულ სხვაა. დავმარცხდით იმიტომ, რომ საქმე იმ ხარისხით ვერ შევასრულეთ, როგორც საჭირო იყო. ვისაც რა სურს, ის დაწეროს და იფიქროს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს არ იყო".*

სკოლარი, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ჯენტლმენურად მოიქცა და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო: *"ფეხბურთელები მე შევარჩიე, ტაქტიკაც და სტრატეგიაც მე დავგეგმე, ძირითად შემადგენლობასაც თავად ვარჩევდი და, შესაბამისად, ყველაფერზე პასუხისმგებელი მე ვარ. ეს სრულიად ბუნებრივია. გერმანიასთან რამდენიმე სერიოზული ლაფსუსი გვქონდა და სწორედ ამან იმოქმედა კიდეც შედეგზე. ჩემი ახალი სამსახური კი აქ არაფერ შუაშია".*

"დიდმა ფილმა" არც მსაჯობა დატოვა უყურადღებოდ. ის თვლის, რომ გერმანიასთან შეხვედრაში შვედმა არბიტრმა **პეტერ ფროიდფელდტმა** რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: *"არ მინდა, ვთქვა, თითქოს გერმანელებმა ამით განსაკუთრებელი სარგებელი ნახეს, მაგრამ ყველა ტელეგამეორებაში ჩანდა, რომ მესამე გოლის მომენტში ბალაკმა პაულო ფერეირას ხელი ჰკრა. სამწუხაროდ, რეფერიმ ეს ეპიზოდი ვერ დაინახა, რაც ჩვენთვის უკვე მომაკვდინებელი დარტყმა იყო. არ ვიცი, შეცვლიდა ეს რაიმეს თუ არა. შეიძლება, 2:1 წაგვეგო, მაგრამ ეს ანგარიში მაინც რომ შენარჩუნებულიყო, მეტოქეს უფრო ძლიერ წნეხში მოვაქცევდით. კიდევ ერთხელ ვამბობ: ეს მოგების გარანტიას ვერ მოგვცემდა, მაგრამ თუ ჯარიმა იყო, არბიტრს თამაში უნდა შეეჩერებინა და გოლი არ უნდა ჩაეთვალა. ეს ხომ ასე მარტივია".*

ბრაზილიელმა სკოლარიმ პორტუგალიაში ხუთნახევარი წელიწადი გაატარა. პირენეებზე ის მსოფლიო ჩემპიონის რანგში ჩავიდა. 2002 წელს, მან "სელესაოს" მუნდიალი მოაგებინა. მის შემდგომ მონაგარს კი წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის. 2004 წელს პორტუგალიის ნაკრებმა საკუთარ კედლებში ევროპის ჩემპიონატი ვერ მოიგო. სკოლარი ფინალში **ოტო რეჰაგელის** საბერძნეთთან დამარცხდა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი კი, გერმანიასთან მესამე ადგილისთვის მატჩში დამარცხების (1:3) შემდეგ, მეოთხე ადგილზე დაასრულა. ევრო 2008-ზეც ბუნდესგუნდთან დათმო, ამჯერად, უკვე მეოთხედფინალში და ამდენად, მისი ბოლო თავგადასავალი კიდევ უფრო წარუმატებელია.

*"რას განვიცდი? რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. ჩვენი მიზანი მინიმუმ ოთხეულში მოხვედრა იყო. გამოდის, რომ გულშემატკივრებსა და ფეხბურთის ფედერაციას დანაპირები ვერ შევუსრულე. მაგრამ მერე, როცა შინ დავბრუნდები, აუცილებლად გამახსენდება ეს ხუთნახევარი წელიწადი და ის ხალხი, ვისთან ერთად მუშაობამაც დიდი სიამოვნება მომანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ წარმატებებს ვერ მივაღწიეთ. ისინი ჩემი მეგობრები არიან. ვტოვებ ქვეყანას, სადაც საოცარი სითბო დამხვდა. ამ დამოკიდებულებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი, შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა ფეხბურთის ფედერაციასთანაც. უზომოდ მიყვარს პორტუგალია. ეს ქვეყანა ყოველთვის ჩემს გულში დარჩება... შეიძლება თუ არა ოდესმე დავბრუნდე? რატომაც არა? მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე არ იქნება დამოკიდებული".*



## კრისტიანო რონალდომ პორტუგალიას გული ატკინა

### არის თუ არა ის დამნაშავე?

**კრისტიანო** რონალდომ ევრო 2008 იმედგაცრუებით დაასრულა. პორტუგალია მეოთხედფინალიდან გერმანიამ გააგდო. "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი ამ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის რეპუტაციით გამოჩნდა, მაგრამ ეს ყველაფერი დაჩრდილა "რეალში" მისი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე გავრცელებულმა ისტორიამ. რონალდომ ევროპირველობა უფრო მეტი კითხვის ნიშნით დატოვა, ვიდრე პასუხით. ნუთუ, შეილახება მისი იმიჯი გუნდის წარუმატებლობის გამო? პორტუგალიას დაღმასვლის პერიოდი აქვს. ოთხი წლის წინათ ფინალში გავიდა, 2006 წლის მუნდიალზე კი ნახევარფინალში წააგო, ახლა კი მეოთხედფინალში დაყარა ფარხმალი. საინტერესოა, ნუთუ ის მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომებისა და დაცვითი ხაზის მხრიდან სუსტი მხარდაჭერის მსხვერპლი შეიქნა? ბევრი ახლაც იტყვის, რომ კრისტიანო კვლავაც პლანეტის უძლიერესი მოთამაშეა. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ის რაღაც მითიური პიროვნებაა - პირმოთნე, მაგრამ სუსტი, როგორც კი საქმე მას ეხება...



#### ბრალდება 1: რონალდო მიზანს აცილებს განსაკუთრებული მომენტების დროს.

**დანაშაული:** ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაფუჭებული 11-მეტრიანი "მანჩესტერ იუნაიტედს" ძვირად დაუჯდებოდა, რომ არა ჯონ ტერის ლაფსუსი. მან ვერც მეოთხედფინალში, პორტუგალიის სასარგებლოდ მოახდინა სასწაული.

**მოწმე:** "მთელი ქება-დიდება წლეულს რონალდომ დაიმსახურა, თუმცა საერთო ჯამში, რიო ფერდინანდმა უფრო კარგად ითამაშა "მანჩესტერ იუნაიტედისთვის", - თქვა "ლივერპულის" ყოფილმა კაპიტანმა ალან ჰანსენმა.

**დაცვა:** "იუნაიტედი" დამატებით დროის დანიშვნამდე დამარცხდებოდა. ევრო 2008-ზე მას იმედები არ გაუცრუებია და დიდი როლი ითამაშა ჯგუფური ტურნირის პირველ ორ მატჩში. და მეოთხედფინალშიც, სწორედ მისი ძალისხმევით გავიდა გოლი, რამაც პორტუგალია გამოაფხიზლა.

**მოწმე:** "რონალდო თამაშის შემობრუნებაში დაგვეხმარა და გერმანიის დაცვაც არეული ჩანდა, როცა ის შეტევაზე გადადიოდა. ყველა იმედგაცრუებულნი ვართ, მაგრამ მან მაინც კარგად ითამაშა", - განაცხადა პორტუგალიის ნახევარმცველმა სიმაო საბროზამ.

**ვერდიქტი:** უდანაშაულოა. მართალია, მოსკოვურ ფინალში პენალტის აცილება არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ევრო 2008-ზე მისი მოქმედება შთამბეჭდავი გახლდათ. რონალდომ თავისი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ მთლად დაღლილიც არ ჩანდა.

#### ბრალდება 2: რეალის სატრანსფერო საგამ პორტუგალია დაჩრდილა

**დანაშაული:** ესპანურ გიგანტში გადასვლის სურვილის გამჟღავნება, ევრო 2008-ის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ნიშნავდა, თითქოს მან დაივიწყა საკუთარი მოვალეობა. მას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები საჯარო არ გაეხადა.

**მოწმე:** "კრისტიანო რონალდო ესპანელი არასდროს გახდება. "რეალის" მიერ მასთან ხელშეკრულების გაფორმების ცდას, ნეგატიურად უნდა ემოქმედა პორტუგალიის გუნდზე, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში", - "მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი კარლუშ კუეიროში.

**დაცვა:** მას მცირე არჩევანი დაუტოვეს. ამ საქმეში მარცხი ზეწოლასა და მის გარშემო სპეკულაციის დონეს გაზრდიდა.

**მოწმე:** "რონალდოს ნათქვამი ნათქვამად დარჩა. პროფესიონალები ვართ და ასეთი რალაცეები ჩვენზე ეფექტს არ ახდენს", - პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი ნუნუ გომეში.

**ვერდიქტი:** დამნაშავეა! პორტუგალიას ნიჭი და შემართება არ აკლდა ევრო 2008-ის მოსაგებად, მაგრამ რონალდოსა და მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარიზე ყურადღების გადატანამ, ყველაფერს ხაზი გადაუსვა. საქმე უნდა გადაწყვეტილიყო პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, ან გადაედოთ 30 ივნისამდე.

#### ბრალდება 3: შეიძლება, რონალდო ალიარო, როგორც მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე, მაგრამ არა როგორც საუკეთესო

**დანაშაული:** ფეხბურთელის ნამდვილი სიდიადე დასტურდება უმთავრეს ტურნირებში გამარჯვებით, ვთქვათ, პელესა და დიეგო მარადონას მაგალითზე. რონალდო მათ ვერ გაუტოლდება. პორტუგალია ახლოს იყო ტიტულთან, მაგრამ დამარცხდა.

**მოწმე:** "რონალდო მსოფლიოს ან თუნდაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი რომაა, მან ეს სტატუსი ევრო 2008-ზე უნდა დაამტკიცოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი განსჯა. აქ ყველა ფეხბურთელს ეძლევა შანსი, მიიქციოს ყურადღება", - უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი.

**დაცვა:** თუ ის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე არაა, მაშინ სხვა ვინ არის? ლიონელ მესი ჯადოქარია, მაგრამ გასულ სეზონში ტრავმებმა შეაწუხა. "მილანის" ფეხბურთელი კაკაც არ იყო სათანადო დონეზე 2007/08 წლების სეზონში.

**მოწმე:** "კრისტიანოს ფანტასტიკური კონტრაქტი შესთავაზეს და სწორედ ამიტომაა ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი", - "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი.

**ვერდიქტი:** ჩამოახრჩვეთ მსაჯულები! რონალდო მსოფლიოში ჯერაც საუკეთესო ფეხბურთელია. სწორედ ამიტომ ცდილობს "რეალი", სამყარო სატრანსფერო რეკორდის მოხსნით შეაზანზაროს. თუმცა, ვიდრე კრისტიანოს პორტუგალია არ მიუყვანია დიდ გამარჯვებამდე, მას ვერავინ დააყენებს დიადთა გვერდით. იმ დროს, როცა მისი რეიტინგი მაღალია, მესი, კაკა და ბევრი სხვაც მისგან არც ისე შორს დგას.

მომავალ სეზონში, **კრისტიანო რონალდო** უფრო დიდი ყურადღების ცენტრში მოექცევა, თუ მართლაც "რეალში" გადავა. "მანჩესტერ იუნაიტედში" მას სრული თავისუფლება ჰქონდა და მისი თამაშის სტილი გუნდს აწყობდა. საინტერესო იქნება, როგორ შეეგუება რონალდო ახალ სისტემას. საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის ბრძოლა კი უნდა განაგრძოს, თუმც ფრთხილად უნდა იყოს, რადგან პატარა წაფორხილებაც კი ყველაფერზე იმოქმედებს.

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

# გამოთხოვება დიდებთან

## ვან ბასტენი და ვან დერ სარი ნაკრებიდან მიდიან



**მარკო ვან ბასტენმა** ჰოლანდიის ნაკრებში თავისი ბოლო მატჩი 1992 წელს ჩაატარა, ანუ, სამი წლით ადრე, მანამ ეროვნული გუნდის მაისურას **ედვინ ვან დერ სარი** მოირგებდა. შაბათს, რუსეთთან კაპიტულაციის შემდეგ, ნაკრები ორივემ დატოვა. ტურნირის დაწყების წინ, ვან ბასტენმა განაცხადა, რომ "ნარინჯისფერთა" მთავარ სკამზე ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, კარიერას "აიაქსში" გააგრძელებდა. რაც შეეხება ვან დერ სარს, ის უკვე 37 წლისა მოიყარა და მისი მხრიდან სანაკრებო სარბიელის მიტოვებაც მოსალოდნელი ამბავი იყო. ჰოლანდიის ნაკრების კარი მას 128-ჯერ დაუცავს. ამას გარდა, ფინალურ ეტაპებზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით (16), ის დაეწია ფრანგ **ლილიან ტურამს**, რომელმაც ასევე უარი თქვა ნაკრებში თამაშზე. ბაზელის მატჩის დროს ვან დერ სარმა რამდენჯერმე გადაარჩინა თავის გუნდი, მაგრამ დამატებით დროში ვერაფერი მოუხერხა **დმიტრი ტორბინსკისა** და **ანდრეი არშავინის** დარტყმებს.

*"ჩვენ ძალიან ცოტა მომენტი გვქონდა, და ეს მაშინ, როცა რუსეთის ნაკრებს უამრავი შანსი მივეცით. რუსეთმა ძალიან კარგად ითამაშა... ტკივილი დიდია. ეს ჩემი სანაკრებო კარიერის დასასრულია. ძალიან დამაკლდება ისეთი ტურნირები, როგორიცაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. მითამაშია მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში, მაგრამ ეს ცოტაა. ფეხბურთელს, და საერთოდ, ადამიანს, ცხოვრებაში ყოველთვის მეტი უნდა. სამწუხაროდ, ნაკრებში დიდი გამარჯვების გემო ვერ გავიგე".*

არანაკლებ მოწყენილი იყო ვან ბასტენი, რომელიც უფრო ვან დერ სარზე დარდობდა: *"ედვინი ძალიან მეცოდება. დიდი იმედი მქონდა, რომ სანაკრებო კარიერას მაჟორულ ნოტზე დაასრულებდა. ჩვენ ვერ მივაღწიეთ წარმატებას, არადა, ამას თუნდაც ვან დერ სარი იმსახურებდა. ჩვენ ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა".*

ვან ბასტენისთვის ეროვნულ გუნდში მუშაობის დაწყება პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო. 2006 წელს, გერმანიის მუნდიალზე, ჰოლანდიის ნაკრები ჯგუფიდან კი გავიდა, მაგრამ მერვედფინალში პორტუგალიასთან დამარცხდა (0:1). ამჯერზე, ნიდერლანდური კრებული პირველივე დღიდან ტურნირის მთავარ ფავორიტად იქცა, როცა ერთმანეთის მიყოლებით იტალია (3:0) და საფრანგეთი (4:1) გაანადგურა... მაგრამ დაეცა **გუუს ჰიდინკთან**, თავის თანამემამულესა და გენიოს სპეციალისტთან ბრძოლაში.

*"ვთვლი, რომ ჩემი ხელმძღვანელობით გუნდმა პირველი შესარჩევი ციკლი საკმაოდ კარგად ჩაატარა. მაშინაც, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, "სიკვდილის ჯგუფში" მოვხვდით, საიდანაც პლეიოფში კი გავედით, მაგრამ გზა პორტუგალიამ გადაგვილობა. ბოლო საკვალიფიკაციოში გარკვეული სირთულეები გვქონდა, თუმც ევროპის ჩემპიონატი ბრწყინვალედ დავიწყეთ... დღეს კი უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთმა გვაჯობა".*



რუსეთი

# ჯადოსნობის საიდუმლო

თითქმის გუუს ჰიდინკმაც კი აღიარა, რომ ჰოლანდიასთან გამარჯვებით გაოგნებულია. დიდი მწვრთნელი ნამდვილად არ თვალთმაქცობს იმისთვის, რათა ამ გამარჯვების ფასი გაზარდოს. მაგრამ მას ჯერ კიდევ შესარჩევიდან მოსდევს გაოგნება თუ არა სიურპრიზი მაინც. ამ სიურპრიზის წყალობით მოხვდა სწორედ რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ისრაელში წაგების შემდეგ, რუსების იმედი თითქოს დამსხვრეული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხორვატებმა "უემბლიზე" ივაჟკაცეს, ხოლო ჰიდინკის გუნდი ანდორას გაუსწორდა, ავსტრია/შვეიცარიისკენ გზა გაიხსნა...



მეოთხედფინალში ჰოლანდიის დამარცხება **გუუს ჰიდინკის** კარიერაში კიდევ ერთი დიდი მიღწევაა. ჯერ მშობლიური ჰოლანდია, მერე სამხრეთ კორეა, შემდეგ ავსტრალია, ბოლოს კი რუსეთი - ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც, ჰიდინკისეული სიბრძნის წყალობით, მსოფლიო ჩემპიონატებზე ითამაშეს. პრინციპში, აქ შეიძლება ვიკამათოთ, ოღონდ ისე, რომ გუუსის სამწვრთნელო ნიჭი არ დაკნინდეს. ჰოლანდიის ნაკრების გაყვანა რომელიმე ტურნირის ფინალურ ეტაპზე, სენსაციად არ უნდა მივიჩნიოთ. ავსტრალიის ნაკრებს ჰიდინკი მაშინ ჩაუდგა სათავეში, როცა ამ გუნდს შესარჩევი ციკლი უკვე დაძლეული ჰქონდა, კორეა კი მსოფლიო ჩემპიონატის (2002) ერთ-ერთი თანამასპინძელი იყო და საკვალიფიკაციოში ჯაფა არ დასდგომია. მიუხედავად იტალიისა და ესპანეთის ნაკრებებთან სკანდალური მატჩებისა, როცა ორივე შემთხვევაში თამაშის ბედი არბიტრის არაობიექტურობამ (სიმპათიები მასპინძელთა მიმართ) გადაწყვიტა, აზიური ნაკრების ოთხეულში მოხვედრა მსოფლიო მასშტაბის სენსაციად უნდა აღვიქვათ. რუსეთის ნაკრების პროგრესიც აშკარად მისი ნახელავია.

ახლა კი ჰიდინკის პრინციპებსა და პოლიტიკას გადავავლოთ თვალი...

### თავისუფლება

რუსეთის ნაკრების ფორვარდი **ანდრეი არშავინი** თვლის, რომ ჰიდინკის წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოა თავისუფლება, რომელსაც ის აძლევს ფეხბურთელებს მოედნის მიღმა. არშავინის აზრით, ეს ხელს უწყობს ზედმეტი დაძაბულობის მოხსნას:

*"ჰიდინკის დროს ნაკრებში მეტი თავისუფლება გაჩნდა, განსაკუთრებით მოედნის გარეთ. რა თქმა უნდა, ვარჯიშებისას მწვრთნელის ყველა მოთხოვნა უნდა შეასრულო, მაგრამ საწვრთნელი ბაზის იქით უკვე აღარავინ გვაკონტროლებს და საკუთარ მოთხოვნებსაც არ გვახვევს თავზე. ადრე სხვაგვარად იყო".*

### სიმშვიდე

ჰიდინკის სიმშვიდემ და მისმა უნარმა, არ მოექცეს პანიკის ტყვეობაში, რუსეთის ნაკრებისთვის მძიმე მომენტებში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. მაგალითად, როცა შესარჩევ ციკლში რუსეთი ინგლისთან საკუთარ მოედანზე, პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა, ჰოლანდიელს სახის ერთი კუნთიც შეტოკებია.

*"ჩვენი სპეციალისტებისგან განსხვავებით, ჰოლანდიელი პანიკაში არასოდეს ვარდება, - განაგრძობს არშავინი, - მან შესანიშნავად იცის, რა უნდა. ყველაზე ნათელი მაგალითია ინგლისთან მატჩი. შესვენების დროს გასახდელში სრული სიმშვიდე, საქმიანი ვითარება სუფევდა. გუუსმა თქვა - აუცილებლად გვექნება მომენტი, როცა მატჩს ჩვენს სასარგებლოდ შემოვატრიალებთო. ასეც მოხდა".*

### ვარჯიშები

რუსეთის ნაკრების ბევრი მოთამაშე აღიარებს, რომ ჰიდინკისეული ვარჯიშები გაცილებით საინტერესო და შინაარსიანია, ვიდრე ადრე იყო. გუუსის აზრით, საწვრთნელი პროცესი ფეხბურთელს კმაყოფილებას უნდა ჰგვრიდეს, და არა ბურთისადმი ზიზღს. ამგვარი დამოკიდებულება ნახევარმცველ **იგორ სემშოვს** ერთობ სიამოვნებს:

*"მე ვთვლი, რომ ძალიან კარგია, როცა ნაკრებში ავტორიტეტული უცხოელი სპეციალისტი მუშაობს. საქმისადმი მისეული მიდგომა, არ დავმალავ, ძალიან მომწონს. მისმა ვარჯიშებმა, ერთიერთობის განსხვავებულმა მანერამ დროულად მოგვისწრო. მთელ თეორიულ მეცადინეობასაც კი პრაქტიკაში გავდივართ. და ეს ყველაფერი მოედანზე ხდება".*

### ახალგაზრდობა

მიუხედავად იმისა, რომ სემშოვი (რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე) 30 წლისაა, ის თვლის, რომ ჰიდინკის წარმატების კიდევ ერთი ფაქტორი ახალგაზრდობისადმი ნდობაა.

*"ეროვნულ ნაკრებში ახლა ევროპული ატმოსფეროა. ყველაფერი აგებულია ნდობაზე. მწვრთნელი ენდობა თავის მოთამაშეებს და თამამად უხსნის გზას ძირითადი შემადგენლობისკენ. მოკლედ, მას პასუხისმგებლობის არ ეშინია. ამ ახალგაზრდებისთვის კი ჰიდინკის დარი სპეციალისტის გვერდით მუშაობა სიამოვნებაცაა და, რაც მთავარია, უდიდესი სკოლაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ევროპულ გრანდებში სურთ თამაში".*

### ფსიქოლოგია

ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა "ლოკომოტივის" 23 წლის კაპიტანი **დინიარ ბილიალეტდინოვია**. ის აღფრთოვანებულია ჰიდინიკის ნიჭით, გაწაწყოს ფეხბურთელი თვით ყველაზე რთული მატჩისთვისაც კი.

*"ყველაზე მთავარი, რაც ჰიდინკმა ნაკრებში მოიტანა, ეს არის ფსიქოლოგიური მომზადება. ადრე, როცა ნაკრების მაისურით მოედანზე გავდიოდი, ძალიან ვნერვიულობდი, თითქოს ნემსებზე ვიყავი. ჰიდინკმა, თავისი მეთოდებით, ეს ატმოსფერო განტვირთა. ახლა, მატჩისწინა და უშუალოდ მატჩის დროს ნერვიულობის ფაქტორი აბსოლუტურად გამორიცხულია. ეს ტვირთად აღარ გვაწევს. არ ვიცი, როგორ არიან სხვები, მაგრამ მე გავდივარ მოედანზე და... უბრალოდ, ვთამაშობ, როგორც საჭიროა. დღეს საკუთარ ძალებში უფრო მეტად ვარ დარწმუნებული, ვიდრე აქამდე იყო".*

### დამოუკიდებლობა

საიდუმლო არ არის, რომ წინა მწვრთნელები ბოროტად სარგებლობდნენ საკლუბო მიდრეკილებებით, ან შემადგენლობის დაკომპლექტებისას საზოგადოებრივ აზრს უწევდნენ ანგარიშს. "კრილია სოვეტოვის" თავკაცი **ლეონიდ სლუცკი** ჰიდინკის ყველაზე დასაფასებელ თვისებად მის დამოუკიდებლობას მიიჩნევს.

*"უმაღლესი კვალიფიკაციის გარდა, მისი ღირსება ისაა, რომ გადაწყვეტილებებში აბსოლუტურად თავისუფალია. რუსული ენის არცოდნის გამო, ის ვერ კითხულობს პრესას. ამიტომ, ის იქცევა ისე, როგორც საჭიროდ თვლის. ამავე დროს, ჰიდინკი განუხრელად მიჰყვება იმ პოლიტიკას, რაც თავიდანვე არჩია. ეს არის ახალგაზრდებისადმი ნდობა. გუუსი ირჩევს იმ მოთამაშეებს, რომლებიც მის სქემებს ერგებიან. მის მოქმედებებში ჩანს თანმიმდევრულობა. ამგვარმა პოლიტიკამ კი, არ შეიძლება, შედეგი არ მოიტანოს".*

### განვითარება

რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიზანია, ნაკრებში სტაბილური სიტუაცია ჰქონდეს. მწვრთნელების ხშირი ცვლა არც ერთ ნაკრებს ხეირს არ აყრის. ამიტომ, ჯერ კიდევ ინგლისთან შესარჩევი მატჩის წინ, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვიტალი მუტკომ** მიაღწია ჰიდინკთან შეთანხმებას და ჰოლანდიელ მწვრთნელს კონტრაქტი 2010 წლის ბოლომდე გაუგრძელა.

*"ჩვენ ავირჩიეთ ფეხბურთის განვითარების გზა და აქედან გადახვევას არ ვაპირებთ. მინდა, რომ ნაკრებში სიწყნარე იყოს. ჰიდინკთან ჯერ კიდევ ინგლისის ნაკრებთან მატჩამდე გავაფორმეთ კონტრაქტი, რათა მწვრთნელს არ ეგრძნო, რომ მისი მომავალი კონკრეტულ თამაშზე იყო დამოკიდებული. ამდენად, მას შეეძლო და შეუძლია, მუშაობა მშვიდ ვითარებაში გააგრძელოს. ჩვენი სურვილია, ჰიდინკი აქტიურად ჩაერთოს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა რუსული ფეხბურთის განვითარება".*

***P.S.* რუსეთის ნაკრების ქომაგებმა უკვე მიიღეს ჰიდინკის მუშაობის პირველი ნაყოფი, და მიიღეს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ელოდნენ. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. შეძლებს ჰიდინკის ამ მადის დაკმაყოფილებას?**

# პოლიცია და ექიმები საქმეში...

## არეულობა ბაზელის ცენტრში

ჰოლანდია-რუსეთის მეოთხედფინალის შემდეგ, ბაზელის პოლიციამ 30 კაცი დააპატიმრა. სამართალდამცველებს რადიკალური ზომების გატარება ქალაქის ცენტრში ატეხილი მასობრივი ჩხუბის განსამუხტავად დასჭირდათ. საგულისხმოა, რომ დაკავებულთა შორის არა მარტო რუსი და ჰოლანდიელი ქომაგები, არამედ ადგილობრივი მაცხოვრებლებიც აღმოჩნდნენ. დაპატიმრებულთა გარდა, არიან დაშავებულებიც, თან გაცილებით მეტი - მედიკოსთა დახმარება 800-მდე კაცს დასჭირდა, მათ შორის, რამდენიმე გულშემატკივარს სისხლის მიმოქცევის დარღვევაც აღენიშნა, თვით სიცოცხლისთვის საშიშიც კი. 65 კაცი ჰოსპიტალშია მოთავსებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# ადებაიორი: ბარსა თუ მაინც მილანი?

## კატალონიელები არსენალს 27 მილიონ ევროზე მოურიგდნენ, ფეხბურთელს მილანში გამგზავრება სურდა, ტრანსფერის საკითხი ერთ კვირაში გადაწყდებაო

გასულ უქმეებზე "ბარსელონამ" ემანუელ ადებაიორის ტრანსფერის ამბავი გვაუწყა. კატალონიელთა თავკაცმა პეპ გუარდიოლამ "არსენალის" ფორვარდის შეძენა ორი კვირის წინათ მოითხოვა. "დიარიო სპორტის" ცნობით, **ჩიკი ბეგირისტაინმა** ტრანსფერი უმცირეს დროში გაჩარხა. ლონდონელები 31.5 მილიონ ევროს ითხოვდნენ. ბეგირისტაინი ლონდონში გაფრინდა. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ის "მეთოფეებს" 27 მილიონ ევროზე მოურიგდა. "ბარსამ" ისიც გვაუწყა, რომ ემანუელის პრეზენტაცია 6 ივლისს მოეწყობა. მიმომხილველებმა **სამუელ ეტოოს** კატალონიური კარიერა დასრულებულად გამოაცხადეს - კამერუნელი იტალიას, ან ინგლისს მიაშურებსო.

ადებაიორის ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პირადად გუარდიოლამ: *"ემანუელი ჩვენ თამაშს სიმძაფრეს, ხალისსა და სილამაზეს შემატებს. მიხარია, რომ ბეგირისტაინმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. ასეთი გენერალური დირექტორის ხელში, ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია. ეჭვი არ მეპარება, რომ ადებაიორი ადაპტაციას მალე გაივლის და მთელი ბრწყინვალებით ათამაშდება."* კატალონიელებს გარიგების პერსონალური დეტალები არ გაუხმაურებიათ. "დიარიო სპორტმა" ივარაუდა, რომ ხელშეკრულების ვადასა და პირობებზე პრეზენტაციისას ისაუბრებენ.



ემანუელ ადებაიორი თავის მომავალს უახლოეს დღეებში გაარკვევს

და აი, გუშინ, ადებაიორთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა "ტუტოსპორტმა". გამოცემა ადასტურებს, რომ "ბარსელონა" "არსენალს" შეუთანხმდა. მაგრამ თუ "ტუტოსპორტს" დავუჯერებთ, ფეხბურთელი კატალონიაში გამგზავრებისგან თავს იკავებს. ბარსელონელებს მის დასარწმუნებლად სარფიანი პირობების შეთავაზება მოუწევთ. ტოგოელი ფორვარდი იტალიაში გადასვლაზე ოცნებობდა. მას "მილანში" ეპატიჟებოდნენ. პარასკევ საღამოს ემუნუელს აუწყეს, რომ ის "ბარსელონაში" მიემგზავრება.

"ტუტოსპორტი" იმასაც იხსენებს, რომ "არსენალს" თავდამსხმელის გაყიდვა საერთოდ არ სურდა, მაგრამ მან კვირეული ხელფასის სახით, 100 ათასი გირვანქა მოითხოვა. "მეთოფეებს" ასეთი ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ. ამიტომ ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს. ადებაიორის შეძენა იმთავითვე ორ კლუბს - "მილანსა" და "ბარსელონას" სურდათ. მილანური კლუბის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო. ამ ფონზე "ბარსელონის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ცნობა მოულოდნელი გახლდათ.

იტალიელმა მიმომხილველებმა ისიც გაიხსენეს, რომ გასული სეზონის მიწურულს "მილანსა" და "არსენალს" შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. "როსონერიმ" ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი **მატიო ფლამინი** წაიყვანა. "მეთოფეები" მომხდარში იტალიურ გრანდს ადანაშაულებენ. მათი მტკიცებით, "მილანმა" ფეხბურთელთან საიდუმლო მოლაპარაკებები გააბა და კონტრაქტზე დაითანხა. "როსონერის" შეთავაზების გამო, ფლამინის "არსენალის" სარფიან წინადადებაზე უარი განაცხადა. მან იტალიას თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურა. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ლონდონელებს "ბარსელონასთან" საქმის დაჭერა ურჩევნიათ.

"ტუტოსპორტში" ვკითხულობთ, რომ ადებაიორმა "არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** ელექტრონული წერილი გაუგზავნა. მან მწვრთნელთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვა. ადებაიორს "არსენალის" აღმასრულებელ დირექტორ **კენ ფრიერსა** და "მილანის" გენერალურ მენეჯერ **ადრიანო გალიანისთან** შეხვედრაც სურს. იტალიური გამოცემის მტკიცებით, ემანუელის ტრანსფერის საკითხი მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში გაირკვევა.

ილია ნიკოლაიშვილი

რეალი

# კრისტიანოს მოლოდინში

## როგორც კი პორტუგალიელი ვარსკვლავი იტყვის, რომ მადრიდში გადასვლა უნდა, რეალი მენიუსთან მოლაპარაკებებს გააჩაღებს...

გასულ უქმეებზე, **ბერნდ შუსტერმა** ესპანელ ჟურნალისტებს სამეფო კლუბის სატრანსფერო ამოცანები გაუმხილა. მისი კომენტარები გაზეთ "მარკაში" დაიბეჭდა.: *"არაერთხელ ვთქვი, რომ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას ვაპირებთ. ახალწვეულების მასობრივად შესყიდვა არ იგეგმება. მხოლოდ ცალკეული პოზიციების გაძლიერებაა საჭირო. ამჟამად, მთელი ყურადღება ევროპის ჩემპიონატისკენაა მიპყრობილი. ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელები ასპარეზობენ. მათი საშუალებით კლუბის გაძლიერება შეიძლება. კონკრეტული შეთავაზებები ჯერ არ გაგვიკეთებია. დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ ეკონომიკურ ასპექტს. სატრანსფერო ბაზარზე ფასები ძალიან გაიზარდა. არ გვინდა, მილიონები საშუალო დონის მოთამაშეებში დავხარჯოთ."*

მიმომხილველებს ყველაზე მეტად **კრისტიანო რონალდოს** საკითხი აღელვებთ. გადავა თუ არა პორტუგალიელი ვარსკვლავი სამეფო კლუბში? შუსტერს ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს. ჟურნალისტებმა "რეალის" გენერალური დირექტორ **მიგელ ანხელ აროიოსთან** გასაუბრება მოახერხეს: *"მოუთმენლად ველოდებით კრისტიანო რონალდოს განცხადებას. როგორც კი ის იტყვის, რომ "რეალში" თამაში სურს, "მანჩესტერ იუნაიტედს" დავუკავშირდებით. იმედია, მოლაპარაკებები ნაყოფიერად წარიმართება. გვინდა, "მანჩესტერს" ხელსაყრელ პირობებზე შევუთანხმდეთ. თუ ისინი ფეხბურთელს ტრანსფერზე დააყენებენ, მისი ფასი გონივრული უნდა იყოს."*

"იუნაიტედი" არ მალავს გაღიზიანებას "რეალის" აქტიურობის გამო. ინგლისურ გრანდში მიიჩნევენ, რომ სამეფო კლუბი პატიოსანი თამაშის წესებს არად აგდებს და ბინძური მეთოდებით ცდილობს ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას. "მანჩესტერმა" შესაბამისი საჩივრით ფიფასაც კი მიმართა, თუმცა ფიფამ განაცხადა, რომ "რეალს" სატრანსფერო კანონმდებლობა არ დაურღვევია. არ არსებობს არავითარი სამხილი იმის თაობაზე, რომ მადრიდელებმა ფეხბურთელთან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართეს. ამიტომ ფიფა სამეფო კლუბის პასუხისმგებლობის საკითხს ვერ დააყენებს.

23 წლის რონალდო, რომელმაც გასულ სეზონში 42 გოლი გაიტანა, არ მალავს, რომ "რეალში" გადასვლა სურს. ოფიციალური განცხადების გაკეთებამდე, ფეხბურთელი "იუნაიტედის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, რონალდოს აგენტი **ჟორჟე მენდეში** "რეალს" უკვე მოურიგდა - ფეხბურთელის კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეთანხმებულია.

**სერ ალექს ფერგიუსონი** ჯიუტობს. ის ამბობს, რომ კრისტიანო რონალდო არ გაიყიდება. იუნაიტედის თავკაცს ურჩევნია, ფეხბურთელები ტრიბუნაზე გაამწესოს, ვიდრე კონკურენტს დაუთმოს. ჟურნალისტები ტრანსფერის პერსპექტივას ასეთ მუქ ფერებში არ ხედავენ. "რეალი" მზადაა, ფეხბურთელი სარეკორდო ფასად, 124 მილიონ დოლარად (60 მილიონი გირვანქა) შეიძინოს. საეჭვოა, "მენიუს" ამერიკელმა მფლობელებმა ამ წინადადებაზე უარი თქვან. გაისად კრისტიანო ასეთი ძვირი აღარ ეღირება.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია პორტუგალიელი ვარსკვლავის თაობაზე: გერმანიასთან მეოთხედფინალის წინ კრისტიანომ ინგლისურ ტაბლოიდ "სანს" სასამართლო მოუგო. სამი თვის წინათ პოპულარული გაზეთის ჟურნალისტი "იუნაიტედის" ვარჯიშს დაესწრო და მეორე დღეს სტატია გამოაქვეყნა. მასში ეწერა, რომ რონალდო პროფესიონალისთვის შეუფერებლად იქცეოდა და რომ ერთი საათის განმავლობაში ოთხჯერ შეწყვიტა ვარჯიში, რათა მობილურ ტელეფონზე ესაუბრა. უფრო მეტიც, "სანი" ირწმუნებოდა, რომ ფერგიუსონმა შეგირდი 10 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

რონალდომ "სანის" სტატიას სრული სიყალბე უწოდა. მან სასამართლოს მიმართა და პროფესიული რეპუტაციის შელახვისთვის კომპენსაცია მოითხოვა. სასამართლომ გაზეთი გაამტყუნა და თანხის გადახდა დააკისრა. მხარეებს თანხის ოდენობა არ გაუხმაურებიათ. რონალდომ განაცხადა, რომ ფულს მთლიანად საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხავს.



### პორტუგალია პეკერმანს ეპატიჟება

პორტუგალიური გაზეთების ცნობით, ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი **ხოსე ნესტორ პეკერმანს** შესთავაზა. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეცვლას ამ სპეციალისტით აპირებენ. სკოლარიმ კი, მოგეხსენებათ, "ჩელსის" მიაშურა. 58 წლის პეკერმანი უმუშევარია. მისი უკანასკნელი სამსახური მექსიკური დეპორტივო იყო, საიდანაც ერთი თვის წინათ წამოვიდა. პეკერმანმა არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობისას გაითქვა სახელი. მან გუნდს 1995, 1997 და 2001 წლების მუნდიალები მოაგებინა. 2004 წელს ის არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. მან გუნდი 2006 წლის მუნდიალზე გაიყვანა, სადაც მეოთხედფინალში მასპინძელ გერმანიასთან დამარცხდა.

### რიისეს შემდეგ, კიუელის

**ჯონ არნე რიისეს** შემდეგ, "რომამ" კიდევ ერთი ლივერპულელის შეძენა გადაწყვიტა. იტალიელები **ჰარი კიუელით** დაინტერესდნენ. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. მას იტალიური "გაძეტა დელო სპორტიც" კვერს უკრავს და იუწყება - რომაელებს სურთ, კიუელით ბრაზილიელი **ამანტინო მანსინი** შეცვალონ. ეს უკანასკნელი "ინტერში" მიემგზავრება. "დეილი მეილში" იმასაც ვკითხულობთ, რომ კიუელის გარდა, "ჯალოროსიმ" "პორტსმუთისა" და ხორვატიის ნაკრების მარცხენაფლანგელ **ნიკო კრანჩარსაც** დაადგა თვალი. რომაელები ინტენსიურად განიხილავენ კიდევ ერთი ფეხბურთელის, **ლუის საას** ტრანსფერის ვარიანტს. იტალიელებს მარცხენა ფლანგის გარდა, თავდასხმის გაძლიერებაც სურთ. ამიტომ "იუნაიტედს" საას იჯარით დათმობას შესთავაზებენ.

ჩელსი

# რიკარდო კარვალიოც ინტერში

**რიკარდო კარვალიო** "ინტერის" წარმომადგენლებს შეხვდება. "დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსისა" და პორტუგალიის ნაკრების ცენტრალური მცველი იტალიაში გადასვლას აპირებს. 30 წლის ფეხბურთელს მისი ყოფილი ბოსი, **ჟოზე მოურინიო** ეპატიჟება. "არისტოკრატები" ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას ითხოვენ. კარვალიო "ჩელსიში" 2004 წლის ზაფხულში პორტუდან, 20 მილიონ გირვანქად გადავიდა. განვლილ ოთხ წელიწადში მან 10-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, ორჯერ ინგლისის ჩემპიონი გახდა და ერთხელ ქვეყნის ასოციაციის თასს დაეუფლა.

რიკარდო კარვალიო ლონდონელთა ერთადერთი ვარსკვლავი არ არის, რომელსაც მოურინიო მილანში ეპატიჟება. მიმომხილველები ინტენსიურად განიხილავენ **დიდიე დროგბასა** და **ფრენკ ლემპარდის** ტრანსფერებსაც. მოსალოდნელ გარიგებებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"ჩელსი" ვალენსიელი **დავიდ ალბელდათი** დაინტერესდა. "ასის" ცნობით, ლონდონელთა სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** ფეხბურთელის აგენტს შეეხმიანა. "ასში" ვკითხულობთ, რომ ალბელდას ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ "ვალენსია" მას უკომპენსაციოდ გაუშვებს. "ღამურები" 30 წლის ნახევარმცველს 2 მილიონად აფასებენ. "არისტოკრატებს" კი მიაჩნიათ, რომ ამხელა თანხის გადახდა სარისკოა - ალბელდას ტრავმის გამო დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია.



რიკარდო კარვალიო

"ჩელსიმ" **ივან რაკიტიჩს** დაადგა თვალი. "არისტოკრატებმა" 20 წლის ხორვატი პლეიმეიქერი ევროპის ჩემპიონატისას შეათვალიერეს. რაკიტიჩი გელზენკირხენის "შალკეს" საკუთრებაა. ის სხვა ინგლისურ გრანდებსაც მოუვიდათ თვალში. დაინტერესებულთა შორის არიან "არსენალი" და "ლივერპული", აგრეთვე იტალიური გიგანტები - "ინტერი" და "იუვენტუსი". "სანის" ცნობით, "შალკე" ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონ ევროს ითხოვს.

ამასობაში, ლონდონელებმა "ასტონ ვილას" მიჰყიდეს ნახევარმცველი **სტივ სიდველი**. ბირმინგემელებს ეს სიამოვნება 5.5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. სიდველი "რედინგის" ყოფილი ვარსკვლავია. ის "ჩელსიში" გასულ ზაფხულს უკომპენსაციოდ გადავიდა. მართალია, სიდველი ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა (მხოლოდ შვიდ მატჩში ითამაშა), მაგრამ "არისტოკრატებმა" მაინც სოლიდური მოგება ნახეს. "ვილა" სიდველს **გარეთ ბერის** შემცვლელად განიხილავს. ეს უკანასკნელი "ლივერპულში" გადასვლას აპირებს.

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი.
დავით ბედინაძე (ანტიკური ჭიდაობა)

# გულშემატკივარსაც ხომ ეს გვინდა

**დავით ბედინაძე.** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. დაიბადა 1985 წლის 5 თებერვალს ბათუმში. მსოფლიო ჩემპიონი (2007) და ვიცე-ჩემპიონი (2006); ევროპის ვიცე-ჩემპიონი (2006) და ბრინჯაოს პრიზიორი (2005); მსოფლიო თასის მფლობელი (2007).

არიან სპორტსმენები, რომლებიც დარბაზში გამოჩენისთანავე მიიპყრობენ ყურადღებას და ერთბაშად აალაპარაკებენ სპეციალისტებს. თანაც, იმდენად ინტენსიურად, რომ მათგან წარმატებებს რალაც კანონზომიერადაც კი ველოდებით ხოლმე, თითქოს სხვა შედეგი წარმოუდგენელია. მათი ნაწილი ამართლებს იმედებს, მაგრამ არცთუ ცოტა, ვერ უძლებს დატვირთვებს და მარათონს ადრევე ეთიშება. ვერ ვიტყვით, რომ **დავით ბედინაძეს** თავიდანვე არ ვიცნობდით, ან პერსპექტიულად არავინ მიიჩნევდა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში მანც როგორღაც უხმაუროდ შემოგვეპარა. მან პირველ სერიოზულ



დავით ბედინაძე

წარმატებას 2001 წელს მიაღწია, როცა ჭაბუკებში ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა. ორი წლის შემდეგ იგივე ხარისხის მედალი უკვე ახალგაზრდებში ირგუნა, ოღონდ - მსოფლიო ჩემპიონატზე და 2005 წელს ამ ტიტულებით შეაბიჯა ეროვნულ გუნდში. მაშინ ამ წონაში ფრიად გაურკვეველი ვითარება იყო - იქით წონების ცვლა, აქეთ - თაობებისა, რასაც შედეგად ძველების წასვლა მოჰყვა და ასპარეზი ახალგაზრდებს დარჩათ. ცხადია, მათ გამოცდილება აკლდათ და ლიდერები ხშირად იცვლებოდნენ. პირამიდის სათავეში ბედინაძეც რამდენჯერმე მოექცა, მაგრამ სწრაფადვე დაეშვა დაბლა. მაშინ გადაჭრით ვერავინ იტყოდა, ვინ მოიპოვებდა აქ ლიდერობას, და მაინც, 2005 წელს ევროპის პირველობაზე წასვლის უფლება ბედინაძემ მოიპოვა. დებიუტანტმა რიგიანად იასპარეზა - მხოლოდ ნახევარფინალში წააგო მომავალ ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ **ვიტალი რახიმოვთან**, მაგრამ ბრინჯაოსთვის ჩეხი ევროპის ჩემპიონი **პეტერ** შველა დაამარცხა და პირველივე ცდაზე მედალი მოიპოვა. ცხადია, ამ წარმატებით ბედინაძემ კონკურენტებზე ერთი ნაბიჯით წინ წამოიწია, მაგრამ მის გამოკვეთილ ლიდერობაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ნაადრევი იყო. იმავე სეზონში მსოფლიოზე წასასვლელად მას ისევ დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა. საბოლოოდ წავიდა, მაგრამ წააგო და ისევ დატრიალდა უნდობლობის კარუსელი. კარგად მახსოვს, 2006 წელს, ევროპის პირველობაზე წასვლის წინ, ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** რომ მითხრა, მე მაინც მაგ ბიჭს ვენდობი, მაგის წონაში უკეთესი არავინ მყავსო. ჩანს, მისი ლიდერობა არც მაშინ იყო გამოკვეთილი. არადა, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სწორედ ის სეზონი გამოდგა, თუმცა ყველაზე დიდი გულისტკივილიც მოუტანა. ბედინაძე მაშინ ორივეგან ფინალში გავიდა - ევროპაზეც და მსოფლიოზეც, მაგრამ ორივე წააგო! თუმცა წაგებაცაა და წაგებაც. თუ ევროპის ფინალში მარცხი სომეხ მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **კარენ მნაცაკანიანთან** ლოგიკური იყო, მსოფლიოს ფინალში წაგება ამერიკელ იოსიფ უორენთან გამაოგნებელი გამოდგა. შეიძლება ითქვას, ის შეხვედრა უფრო ამან წააგო. თანაც, ბოლო 30-წამიან მონაკვეთში. მაშინ ისეთი ვითარება იყო, ეს რომ გაჩერებულიყო და მხოლოდ თავდაცვაზე ეფიქრა, მოგება ამას დარჩებოდა. სამწუხაროდ, გამოუცდელმა სიჩქარეში ვერ გათვალა, თავად შეუტია და საბოლოოდ, კონტრილეთზე წამოეგო. მაშინ მან ჩემპიონობის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან - გარდა იმისა, რომ ყველაფერი მის სასიკეთოდ წარიმართა, საპენსიოდ გამზადებული 30 წლის უორენი საკმაოდ სუსტი მეტოქე იყო. ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემა ასეთი შანსიო, დანანებით თქვა მაშინ ბედინაძემ. *"მაშინდელი ფინალის წაგების შემდეგ ღამე არ გასულა, ის შეხვედრა სიზმარში ისევ არ მეჭიდაოს. მაშინ ანალოგიური გამოცდილების ბევრმა მოჭიდავემ მითხრა, ამ მარცხს მანამ ვერ დაივიწყებ, სანამ მსოფლიო ჩემპიონი არ გახდებიო. ის ფინალი გონებიდან წუთითაც არ ამომდიოდა და სერიოზულ დისკომფორტს მიქმნიდა. დარბაზში რომ შემოვდიოდი, სულ ის 15 წამი მაგონდებოდა, რომელმაც იმხელა წარმატება დამაკარგინა"* - ამბობს ბედინაძე და იმ წუთებს უემოციოდ ვერც დღეს იგონებს, იმის მიუხედავად, რომ უკვე მსოფლიო ჩემპიონია.

იმ სტრესიდან თავის დაღწევა და ისევ იგივე სიმაღლეებთან შეჭიდება იოლი არ იყო. როგორც თავად ამბობს, იმ წუთების მოგონება კოშმარად ექცა და დღენიადაგ სტანჯავდა. როგორი საქმეა - ხალხი მთელი სპორტული ცხოვრება ოცნებობს მსოფლიო ჩემპიონობაზე, ის კი სულ რაღაც 21 წლისა, ახალგაზრდული ნაკრებიდან გადმოსვლისთანავე გავიდა ფინალში. იქაც ყველაფერი იმდენად კარგად წარმართა, ოქრო ლამის ჯიბეში ედო, მაგრამ ერთმა გაუაზრებლობამ ყველაფერი დააკარგინა... ეს იმას ნიშნავდა, მედალი კისრიდან ჩამოეხსნა და უორენისთვის გადაეცა... ცხადია, ამ ყველაფრის დავიწყება იოლი არ იყო, მაგრამ ბედინაძემ ძლიერი ნებისყოფაც გამოავლინა და ეს შეძლო. იქნებ არც მას ეგონა და არც - ჩვენ, ოცნებას ასე მალე თუ აისრულებდა, მაგრამ საკუთარ თავს გადაახტა და მეორე სეზონშივე გახდა მსოფლიო ჩემპიონი. *"იმ მწარე მოგონებებთან ერთად, მაშინ იმაზეც ვფიქრობდი, რომ აუცილებლად უნდა გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი. მიხარია, რომ ოცნება ავისრულე და ამ ჩემპიონობამ დიდი რწმენაც შემმატა. ეს ჩინებული შეგრძნებაა, სულ სხვანაირი განწყობა. ამდენი წელიწადია, ვჭიდაობ, მაგრამ ჩემპიონი არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ პრიზიორი ვხდებოდი და მაინტერესებდა, რანაირი გრძნობა იყო ჩემპიონობა. ეს იმდენად განსაკუთრებულია, სიტყვებით ვერ გადმოცემ. ვისაც ეს გრძნობა არ გამოუცდია, რაც უნდა ეცადო, იმას მაინც ვერავის აუხსნი. ეს საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო. შენი ქვეყნის დროშის ქვეშ დგომა და შენი სამშობლოს ჰიმნის მოსმენა განსაკუთრებული რამეა. მით უფრო, როცა ათასობით უცხოელიც ფეხზე დგას და შენთან ერთად უსმენს მას,"* - ამბობს ბედინაძე.

ცხადია, კაცი, რომელიც ზედიზედ ორჯერ გადის მსოფლიო პირველობის ფინალში, წონის გამოკვეთილი ლიდერია, პეკინის ოლიმპიადაზეც ფავორიტი იქნება. მაგრამ ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაცაა - ფავორიტის წინააღმდეგ ხომ ყველა განსაკუთრებული მონდომებით იბრძვის. ეს სიძნელეები ბედინაძეს თავადაც მშვენივრად ესმის. *"ბოლო წლებში ამ წონაში ლიდერად მე გამოვიკვეთე, თუმცა ახლა ჩემთვის ბევრად ძნელი იქნება ჭიდაობა. უკვე ყველა მეტოქე, ყველა კონკურენტი ჩემზე მუშაობს, თუმცა მეც ვემზადები მათთან შესახვედრად. ოლიმპიადაზე სერიოზული ბრძოლები მელოდება"* - ესეც ბედინაძის სიტყვებია.

ბუნებრივია, საინტერესოა, ვინ მიაჩნია თავად ბედინაძეს უმთავრეს კონკურენტებად, ვისგან ელოდება მედგარ ბრძოლებს. რა თქმა უნდა, ოლიმპიადაზე ყველა სერიოზული კონკურენტია და ყველასთან უნდა იბრძოლოს მოსაგებად - ჭიდაობის დონე იმდენად გათანაბრდა, იოლად დასამარცხებელი მეტოქეები ოლიმპიადაზე კი არა, რიგით ტურნირებზეც კი ძნელად შეგხვდებათ, მაგრამ მეტ-ნაკლებობა მაინც არსებობს. ისევ ბედინაძეს მოვუსმინოთ: *"წონაში რამდენიმე ისეთი მეტოქეა, რომლებთანაც მუდამ სერიოზული, დაახლოებით თანაბარი დონის ბრძოლები მაქვს. ესენია რუმინელი ეუსებიო დიაკონუ, იაპონელი მაკოტო სასამოტო, კორეელი ოლიმპიური ჩემპიონი ჯიჰიუნ იუნგი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე მაინც ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი, სერბი დავორ სტეპანეკია. იგი ყოველმხრივ უხერხული ფალავანია - აღნაგობით, დგომით, საჭიდაო მანერით, სტილით... ამასთან, ძალიან ელასტიურია და მოქნილი. ამ ოთხეულიდან კორეელსა და იაპონელს თითოჯერ შევხვდი და მოვუგე - იაპონელი შარშან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დავამარცხე, კორეელს კი წლეულს უნგრეთში, მსოფლიო თასზე ვაჯობე ძალზე დაძაბულ ბრძოლაში. ის შეხვედრა დამატებით დროშიც კი გაგრძელდა. დიაკონუსა და სტეპანეკს რამდენჯერმე შევხვედრივარ სარბიელზე და მათთან კიდეც მომიგია, კიდეც - წამიგია.*

*ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამ ოთხეულს კიდევ ერთი სერიოზული კონკურენტი დაემატა - ბულგარელი ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი არმენ ნაზარიანი. მას აქამდე ლიცენზია არ ჰქონია და სწორედ ევროპაზე მოიპოვა. იგი უკვე საკმაოდ ასაკოვანია, მაგრამ, ამავდროულად, გამოცდილიც".*

ღმერთმა ქნას, ბედინაძემ ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებაც ისე სწრაფად აისრულოს, როგორც მან ეს მსოფლიო ჩემპიონობაზე მოახერხა. ეს ის სურვილია, რომელიც ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან ჩაიფიქრა, როცა სულ პატარა ბავშვი ბათუმში **ნოდარ ჭანუყვაძესთან** მიიყვანეს სავარჯიშოდ. სამწუხაროდ, პირველი მწვრთნელი უკვე აღარაა ცოცხალი, თავად ბედინაძე კი დღეს უკვე თბილისში, **ვაჟა კრავეიშვილთან** ვარჯიშობს, თუმცა მის ბოლოდროინდელ წარმატებებში ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას წვლილიც დიდია. საბედნიეროდ, სპორტულმა წარმატებებმა მისი პიროვნება ვერ შეცვალა და ახლაც ისეთივე უშუალო, ყველასთვის მისაღები ადამიანია, როგორიც მანამდე იყო. მას ძალიან უყვარს ბუნებასთან ურთიერთობა, ნადირობა, თევზაობა... ბუნებით აზარტულს კიდევ ერთი გატაცება ახასიათებს - ძალიან უყვარს მანქანით ქროლვა და ჩქარი სიარული. *"სისწრაფე ძალიან მიზიდავს და მანქანით სწრაფი სიარული ჩემი ერთ-ერთი გატაცებაა. მართალია, ამის ყველას ეშინია და სულ მაფრთხილებენ, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა. ვისაც რა გვიწერია, მაინც ისე იქნება"* - ამბობს ბედინაძე, რომელიც სპორტსმენთა უმრავლესობის მსგავსად, ძალიან მორწმუნეა. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი მართლაც ღვთის ნებაა და იქნებ ღმერთმა პეკინში მისი გამარჯვებაც ინებოს.... გულშემატკივარსაც ხომ ეს გვინდა.

**ირაკლი თავაძე**

---

**რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. V ტური

სინათლის სტადიონი

**ლოკომოტივი-აკადემია 29:17**

ლოკომოტივი: 4ლ: ქავთარაძე (2), ნიშნიანიძე, კორკოტაძე, 3გ,ს: კვინიხიძე. სინბინი: ზ.მაისურაძე.

აკადემია: 2ლ: სუთიძე, ქოპილაშვილი, 2გ: ხუხუნეიშვილი, ს: მეკოკიშვილი.

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

24 ივნისი

უნივერსიტეტი-ლელო

აია-დინამო

არმაზი-ყოჩები

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | +78 | 8 |
| 2. ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | -15 | 6 |
| 3. უნივერსიტეტი | 4 | 2 | 1 | 1 | -9 | 5 |
| 4. ყოჩები | 3 | 2 | 0 | 1 | +33 | 4 |
| 5. აკადემია | 5 | 2 | 0 | 3 | -19 | 4 |
| 6. აია | 4 | 1 | 1 | 2 | -5 | 3 |
| 7. არმაზი | 4 | 1 | 0 | 3 | -31 | 2 |
| 8. დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | -30 | 0 |

IRB-ის ერთა თასი

# ლაშა მალაღურაძე საუკეთესოდ აღიარეს



უტევს ლაშა მალაღურაძე (ბურთით)

საქართველოს ნაკრები IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც ბუქარესტში მიმდინარეობდა, მეორე ადგილზე გავიდა და პირველობა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის A ნაკრებს დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ბორჯღალოსანთა 22 წლის ათი ნომერი **ლაშა მალაღურაძე** აღიარეს.

მელელოვეთა დავაში კი ყველაზე მეტი, ორ-ორი ლელო საქართველოს ნაკრების პირველ ხაზელის **დავით გასვიანის**, რუმინელი ფლორინ კოროდიანუსა და აფრიკელი ჰოვარდ ობლის ანგარიშზეა.

**ბესიკ ჯანაგავაძე**

ლეგიონერები

# ჩემპიონობისთვის ორნი იბრძვიან



ზედახორის უკან დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ქართველ მორაგბეთა, **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** კლუბმა "კლერმონმა", ჩემპიონობისთვის ბრძოლაში პლეი ოფის ნახევარფინალში კატალონური "პერპინიანი" დაამარცხა 21:7 და ახლა ფინალში "ტულუზსა" და "სტად ფრანსეს" შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

ნახევარფინალში "კლერმონის" შემადგენლობაში თავიდან ბოლომდე ითამაშა დავით ზირაქაშვილმა და გუნდში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. **გოდერძი შველიძე** განაცხადში არ იყო. შეგახსენებთ, რომ "ვულკანები" ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდნენ.

გაიმართა ფინალური შეხვედრა მეორე დივიზიონშიც. პირველი დივიზიონის საგზურს ერთმანეთს ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი **გიორგი ჩხაიძის** "მეტრო რასინგი" და **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანი" ეცილებოდა. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 20:20 დასრულდა. დამატებით დროში კი ფორტუნამ "მონ დე მარსანს" გაუღიმა და გამარჯვებაც მას დარჩა 32:23.

ირაკლი მაჩხანელმა "მონ დე მარსანის" შემადგენლობაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. საქართველოს ნაკრების გარემარბი, სამწუხაროდ, გუნდს გამოეთხოვა და მასთან ერთად პირველ დივიზიონში ვერ იასპარეზებს. მაჩხანელი კარიერას მეორე დივიზიონის "აუენში" განაგრძობს.

წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას რუსეთის ჩემპიონატში **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** კრასნოიარსკის "ენისეი". მორიგ ტურში კრასნოიარსკულ დერბში ჩვენებურთა გუნდმა **გიორგი ლომსაძისა** და **გიორგი ელიზბარაშვილის** "კრასნი იარი" დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით 49:0. ერთი ლელო "ენისეისთვის" რატი ურიშაძემ გაიტანა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# შეღავათიანი ფრენაც დასრულდა

გუშინ, **ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასრულდა საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი „ავსტრიის ავიახაზების“ თასზე. ტურნირი ტარადიციულია და უკვე მეათედ იმართება. სხვათა შორის, თავად კომპანია „ავსტრიის ავიახაზებიც“ ათი წელიწადია, რაც საქართველოში საქმიანობს და იმთავითვე დაუკავშირა ბედი ქართულ სპორტს, კერძოდ, ჩოგბურთს. კომპანიის საქართველოს განყოფილების გენერალურ მენეჯერთან, ქალბატონ **ევა ბერგერთან** ინტერვიუს ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი ტურნირის ბოლო ორი დღის შედეგებს გაგაცნობთ.

ტურნირი, ორ ასაკობრივ ჯგუფში - 14 და 16 წლამდე იმართება ვაჟთა და გოგონათა შორის.ჩვენი ინტერესი, ცხადია, ქართველებისკენ უფრო იყო მიმართული. ნახევარფინალში 14 წლამდე გოგონათა შორის, ერთეულთა თანრიგში **ბარბარე ერისთავი** სომეხ **ანაჰიტ განჯალიანს** ხვდებოდა.სამწუხაროდ, სტუმარმამასპინძელს აჯობა- 6:1, 6:3.მეორე ნახევარფინალში უკრაინელი **ვიქტორია ლშკოვა** ასევე უკრაინელს, ოლონდ ქართული წარმოშობის **ალექსანდრა კორაშვილს** ხვდებოდა. ალექსანდრამ იმარჯვა - 6:1, 4:6, 6:4.

კორაშვილმა პირველივე დღიდან მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება- და ლამის მაშინვე მიანიჭეს ტურნირის გამარჯვებულის ტიტული. ფინალში მას ვერაფერი დაუპირისპირა ანაჰიტ გაჯალიანმა და სომეხი ორ სეტში უშანსოდ დამარცხდა - 1:6, 1:6.

ვაჟებში ქართელთა იმედები, ამ ასაკში, მეოთხედფინალში გაქარწყლდა, როცა **ნიკა დოლიძე ნაპოლიტანოსთან** დამარცხდა ორ სეტში - 1:6, 4:6.

ფინალი იტალიური გამოდგა და ნაპოლიტანოს უპირატესობით წარიმართა და დასრულდა კიდეც მისი გამარჯვებით **ჯანლუიზი ქვინზთან**- 6:4, 6:2.

14 წლამდე წყვილებში, ვაჟთა შორის გამარჯვებული ებრაელთა წყვილი გამოვიდა: **დავიდ მუშაევმა და გაბრიელ თავორმა** სტეფანო ნაპოლიტანო და ებრაელი **ეიალ კოენი** დაამარცხა- 7:5, 1:6, 6:1. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი ნიკა დოლიძე-**ლუკა ფილფანის** წყვილს ჰქონდა, რომლებმაც ნახევარფინალური ბრძოლა დათმეს ნაპოლიტანო-კოენის დუეტთან - 6:9, 6:7.

გოგონებშიც ებრაელმა წყვილმა იპირველა: **შანი ბლეჩერმა და ვალერია პატიუკმა** უკრაინელები - **ვიქტორია ლუშკოვა** და ალექსანდრა კორაშვილი დაამარცხეს - 1:6, 6:9, 6:3.

უკეთესი შედეგები გვქონდა 16 წლამდელებში, თუმცა მიღწეულმა მეტის სურვილი ნამდვილად დაგვიტოვა. გოგონათა შორის ორივე ნახევარფინალური ბრძოლები დავთმეთ: **ნინო მებუკემ**, სომეხ **ანი ამირაგიანთან** წააგო - 4:6, 2:6; **ნინო სუჯაშვილმა - ნოი მორთან** - 2:6, 4:6.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

წყვილში ნინო სუჯაშვილთან ერთად ამირაგიანმა ფინალამდე გააღწია, სადაც ქართულ დუეტს - ნინო მებუკესა და **დიანა დავითაიას** დაუპირისპირდნენ. გაიმარჯვა ქართველთა წყვილმა - 6:7, 6:3, 7:6.

ერთეულთა ტურირში ნახევარფინალში: **დავით ხუციშვილი** უკრაინელ **მაქსიმ მალიშევს** დაუპირისპირდა, **ალექსანდრე მეტრეველი** კი **ბიძინა ამაშუკელს**.

ფინალში ხუციშვილი და მეტრეველი გავიდნენ. აქ კი მეტრეველმა იმარჯვა. შევნიშნავთ, რომ ალექსანდრე მეტრეველი უდიდესი ქართველი ჩოგბურთელის, **ალექსანდრე მეტრეველის** შვილიშვილია და ბაბუის მეთვალყურეობით ხვეწს საჩოგბრთო ოსტატობას; ამას პატარა სანდრო უფრო ხშირად მოსკოვში აკეთებს და, როგორც გამოჩნდა - კარგადაც.

ქართველების პირველობა წყვილებშიც შეგვეძლო, მაგრამ **გიორგი ცივაძისა** და დავით ხუციშვილის ტანდემმა უკრაინელი მაქსიმ მალიშევისა და ბელარუსი **დიმიტრი ზიგმანტოვიჩის** დუეტთან შეხვედრა დათმეს - 6:7, 3:6.

ამით დასრულდა მეათე საიუბილეო ტუნრნირი „ავსტრიის ავიახეზების“ თასზე.

დახურვის ცერემონიალზე ევა ბურგერი მობრძანდა და გამარნჯვებულისთვს განკუთვნილი თასები გადასცა ფინალისტებს.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა მადლობა გადაუხადა ყველას მონაწილეობისთვის და მომავალ ტურნირზეც დაპატიჟა; იმედი გამოითქვა, რომ 2009 წლის „ავსტრიის ავიახაზები“ კიდევ მეტი ქვეყნის ჩოგბურთელ ქალ-ვაჟს ჩამოიყვანს თბილისში. შეგახსენებთ, წლეულს 10 ქვეყანა იყო წარმოდგენილი, რაც ამ ტურნირის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

ახლა კი ინტერვიუ.

**- ქალბატონო ევა, პირველ რიგში გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ათი წელიწადი არცთუ ცოტაა, მით უფრო ასეთი საქმიანობისთვის, - სპონსორობას უწევთ ქართულ ჩოგბურთს, ანუ ერთგვარი ქველმოქმედი ბრძანდებით. საინტერესოა, ამდენ ხანს რატომ წყალობთ ქართულ ჩოგბურთს?**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. საქმე ის არის, რომ ათი წლის წინათ, როცა ქალბატონმა ლეილა მესხმა ამიხსნა, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქართულ ჩოგბურთს ასეთი ტიპის ტურნირის მოწყობა, ბევრი აღარ გვიფიქრია - საქმეს შევუდექით. ამის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ ლეილა ნამდვილი პროფესიონალია და საქმესაც დიდი ენთუზიაზმით აკეთებს. ამას გარდა, მსგავსი საქმიანობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს - ენერგიის გაცემა აუცილებელია, რომ სამაგიერო მიიღო. ჩვენმა კომპანიამ რაც გაიღო, ადეკვატური შედეგი ყოველთვის მიიღო. ერთიც არის: ევროპის ჩოგბურთის ფედერაციას არ მოსწონს, როცა წლების შემდეგ ამა თუ იმ ტურნირს სახელწოდება ეცვლება. ჩვენ ვეცადეთ ეს მხარეც გაგვეთვალისწინებინა და ტურნირის დღეგრძელობა უზრუნველგვეყო, რადგანა გარდა წმინდა სპორტული თვალსაზრისისა, კომპანიის იმიჯსაც უნდა გავფრთხილებოდით. საბედნიეროდ, ეს შევძელით და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ ქართველ ჩოგბურთელთა მთელ პლეადას, ვინც საზღვარგარეთ - ევროპა-ამერიკაში თამაშობს, და ვიცი, რომ „ავსტრიის ავიახაზებმა“ მათ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა, - ჩვენს ტურნირზე ხომ სარეიტინგო ქულები იწერება...

**- საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთს არ თამაშობთ, საჩუქრად ლამაზი სტატუეტი - ჩოგბურთელი ქალის ფიგურა გადმოგცათ...**

- ამით მათ „ავსტრიის ავიახაზებისადმი“ პატივისცემა გამოხატეს. ვალში არც ჩვენ დავრჩით და ჩვენი კომპანიის მფლობელობაში არსებული თვითმფრინავის ფოტო ვაჩუქეთ, რომელსაც თბილისი დავარქვით.

**- იქნებ სპორტულ თემას გავცდეთ, მინდა გკითხოთ უცხო ქვეყანაში ათი წელიწადი როგორ ინარჩუნებთ თანამდებობას?**

- მართალი ბრძანდებით, ამდენი წელიწადი იყო ერთ თანამდებობაზე, იშვიათობაა. ჩვენს კომპანიაშიც ხდება ცვლილებები და გენერალური მენეჯერის შეცვლაზეც იყო საუბარი, მაგრამ ამ დროს მე ძალიან ჩუმად ვიყავი-ხოლმე! ხმას არ ვიღებდი (იცინის). ასეთი ტაქტიკა კი ამართლებდა. თბილისში უამრავი მეგობარი შევიძინე და მათ იციან, რომ საქართველოს მეორე სამშობლოდ ვთვლი, ამიტომ აქედან წასვლის სურვილი ნამდვილად არ გამაჩნია.

**- კვლავ თუ დადგა ცვლილებების დრო, თქვენ ისევ ჩუმად იქნებით?**

- რა თქმა უნდა! ხმის ამომღები არა ვარ (იცინის).

**- კეთილი. როგორც ყველა სოლიდური კომპანია, საკუთარი საქმიანობის სფეროს განვითარება-გაფართოებას ესწრაფვის. თქვენც ხომ არ ფიქრობთ, საჩოგბურთო ტურნირს უფრო დიდი მასშტაბი შესძინოთ, - ეს კომპანიისთვისაც პრესტიჟული და მომგებიანი იქნება.**

- ჩვენი კომპანია ქართულ სპორტს იმდენად ეხმარება, რა საშუალებასაც ფინანსები აძლევს. გარდა ჩოგბურთისა, ჩვენ ქართულ რაგბის, ჭიდაობას და სხვა სახეობებსაც ვეხმარებით. თუმცა ჩვენთვის პრიორიტეტი ჩოგბურთია, საჩოგბურთო ტურნირის მასშტაბის გაზრდაზე ალბათ ფიქრი ნაადრევია.

**- დიდი მადლობა საუბრისთვის და წარმატებებს გისურვებთ.**

- გმადლობთ თქვენ და თქვენს გაზეთს ყურადღებისთვის.

ზვიად შათირიშვილი

# პადოვაში, ტიტულის დასაცავად

თურქეთის კურორტ ქემერში დასრულდა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათას დოლარს შეადგენდა. კარგად იასპარეზა 18 წლის **სოფიო შაფათავამ** (313), რომელსაც ძირითად ბადეში ყველა მონაწილეზე ცუდი რეიტინგი ჰქონდა. ამის მიუხედავად, სოფიომ ორი ბარიერი დაძლია და მხოლოდ მეოთხედფინალში დაემშვიდობა ტურნირს. მეოთხედფინალში შაფათავას მეტოქე მისი რუსი თანატოლი **არინა როდიონოვა** (273) იყო. სამწუხაროდ, ქართველი ჩოგბურთელი ორ სეტში დამარცხდა – 3:6, 4:6. შემდეგში როდიონოვამ ფინალში გასვლა მოახერხა. მიუხედავად მარცხისა, შაფათავა რეიტინგში წინ წაიწევს და კარიერაში პირველად შევა მოწინავე სამასეულში. შეგახსენებთ, რომ შაფათავა საქართველოს მესამე ჩოგანია, **მაკა ჩახნაშვილის** და **ანა ტატიშვილის** შემდეგ.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი იტალიის ქალაქ პადოვაშია, სადაც 25-ათასიანი ტურნირი იწყება. ჩახნაშვილს მეოთხე ნომრად განთესავენ. სხვათა შორის, შარშან ეს ტურნირი სწორედ მაკამ მოიგო. ასე რომ, მას ტიტულის დაცვა მოუწევს. შარშან მაკა ჩახნაშვილმა ჩეხი **სანდრა ზაჰლალოვა** დაამარცხა – 3:6, 6:1, 6:3.

ყაზახეთის ქალაქ ალმათიში 10-ათასიანი საპრიზო ფონდის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში **თეონა ცერცვაძე** პირველივე წრეში დამარცხდა. მას უზბეკმა **ლოლა აზიმოვამ** აჯობა, არადა პირველი სეტი ცერცვაძემ აშკარა უპირატესობით მოიგო – 6:0, 3:6, 1:6. ამ ტურნირში მესამე ნომრად უნდა ეთამაშა **მანანა შაფაქიძეს**, თუმცა ჩვენებურმა ბოლო მომენტში მოიხსნა თავი ძირითადი ბადიდან.

გერმანიის ქალაქ ჰალეში გერი ვებერის საერთაშორისო ტურნირის ახალგაზრდულ ბადეში საკვალიფიკაციო ბრძოლების დაძლევის შემდეგ მოხვდა 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (183). ახალგაზრდულ ასპარეზზე ეს ტურნირი მე-2 კატეგორიისაა. პირველ წრეში ბასილაშვილი 18 წლის ბრიტანელ **ეშლი ვოლტინგს** (153) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა – 2:6, 4:6. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ბალახის საფარზე იმართება.

მაროკოში, 18-წლამდელთა ასპარეზის პირველი კატეგორიის ტურნირის, „მედიტერანე ავენირის“ მეორე საკვალიფიკაციო წრეში **მარიამ კუპრეიშვილი** ბრიტანელ **ჯესიკა პენთან** დამარცხდა – 2:6, 4:6 და ძირითად ბადეში ვერ გავიდა. იტალიის ქალაქ მონტეკატინიში 16-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირის პირველ წრეში **სალომე კვიტაიშვილმა** მე-11 ნომრად განთესილ რუმინელ **კრისტინა დინუსთან** წააგო – 2:6, 1:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი

# ნაკრები მანუს გარეშე?

**მანუჩარ მარკოიშვილმა** კოჭის ოპერაცია გაიკეთა. რამდენ თვეს გასტანს სარეაბილიტაციო პერიოდი, ამის შესახებ კონკრეტულად არც ექიმები საუბრობენ.

ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მანუჩარს ორი წლის წინათ ნაოპერაციევი კოჭი გასულ სეზონში გაუმიზეზდა. იგი "კიევს" მარტში გამოაკლდა. დაახლოებით ორი კვირა იმკურნალა და გუნდს უკრაინის ჩემპიონატის ნახევარფინალების წინ დაუბრუნდა. მანუს კოჭი სრულად არ ჰქონდა მოშუშებული, მაგრამ "კიევს" ნახევარფინალშიც დაეხმარა და ფინალებშიც. მიუხედავად ტკივილებისა, იგი ივნისის დასაწყისში იტალიაში NBA-ს მიერ ორგანიზებული ტრევიზოს კემპზე ჩავიდა და ურიგოდ არ უასპარეზია.

საქართველოში ჩამოსვლამდე ქართველმა ფორვარდმა ფინეთში "შეიაირა" და ექიმებს გაესინჯა...

სწორედ ფინელმა მედიკოსებმა ურჩიეს აღარ გადაედო და დაზიანებულ კოჭზე ოპერაცია გაეკეთებინა. ჰოდა, მანუჩარიც ექიმების რჩევას მიჰყვა და საოპერაციო მაგიდაზე დაწვა. მისმა ძმამ, "ვითას" ფორვარდმა **გიორგიმ** გვითხრა, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და ოპერაცია იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე მედიკოსები წინასწარ ვარაუდობდნენ.

"ჯერჯერობით ძნელია სარეაბილიტაციო პერიოდის ხანგრძლივობაზე საუბარი, თუმცა მანუჩარს ეიმედება, რომ მალე მომჯობინდება და სექტემბრისთვის შეიძლება საქართველოს ნაკრებსაც დაეხმაროს", - დაგვამშვიდა გიორგიმ. დამშვიდება კი მართლაც საჭირო იყო, რადგან ერთი წყაროს ცნობით, მანუს ექიმებმა თითქოს სამთვიანი დასვენება გამოუწერეს. მისი არყოფნა საქართველოს ნაკრებისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარი მაინც კალათბურთელის ჯანმრთელობაა და თუ ბოლომდე არ მომჯობინდება, მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** მარკოიშვილის შემცვლელი უნდა მოძებნოს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ მანუჩარმა კოჭი სერიოზულად 2004 წელს დაიზიანა და 2005 წლის ზაფხულში ოპერაციაც გაიკეთა, რის გამოც 2005 წლის სანაკრებო მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია. მას შემდეგ მან ორი სეზონი ჩაატარა, თუმცა შიგადაშიგ კოჭის ტკივილს მაინც უჩიოდა. "კიევში" როდის და როგორ გაუმიზეზდა ტრავმა, ამის შესახებ უკვე გესაუბრეთ...

# ქართველი მამლუქი შოტლანდიაში

თსუ-ს ფორვარდი დავით ბარბაქაძე სამი წლის წინათ, ბაქოს "გალადან" მწვრთნელმა **რიმას კურტინაიტისმა** აზერბაიჯანის ნაკრებში მიიწვია. იგი მეზობელთა ნაკრების მაისურით 2006 წელს C დივიზიონის ჩემპიონი გახდა, თუმცა, ბოლო ორი სეზონი საქართველოში გაატარა.

აზერბაიჯანელებს ივნისის დასაწყისში ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას, საქართველოში მოასპარეზე ბარბაქაძე მხედველობიდან გამორჩენიათ და დასახმარებლად წლეულსაც დაუძახეს.

დათო აზერებთან ერთად C დივიზიონის მატჩების გასამართად შოტლანდიაში გაემგზავრა და ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯილა უკლია - აზერბაიჯანელები თსუ-ს ფორვარდმა ფინალში გაიყვანა, სადაც მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

ფრაზა "თსუ-ს ფორვარდმა აზერბაიჯანის ნაკრები ფინალში გაიყვანა" გაბუქებული რომ არ არის, ამას სტატისტიკაც მოწმობს. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. ჯგუფურ ეტაპზე ბარბაქაძის თანაგუნდელებმა ჯერ გიბრალტარის ნაკრები დაამარცხეს (96:61), შემდეგ - სან მარინო (75:69), ხოლო მესამე შეხვედრაში მოლდოველებთან 61:71 დათმეს.

გიბრალტარის ნაკრებთან დავით ბარბაქაძემ 35 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლი შეასრულა - 19 ქულა და 11 მოხსნა.

სან მარინოსთან შეხვედრაში დათოს დაბლ-დაბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა, თუმცა ქულათა მაჩვენებელი რვით გაზარდა და 27 ქულით ამჯერადაც მატჩის სნაიპერი გახდა. არც ის იქნება გასაკვირი, თუ გეტყვით, რომ ბარბაქაძემ მოლდოველებთანაც არავის დაუთმო ბომბარდირობა - 39 წუთში 18 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა.

A ქვეჯგუფში აზერბაიჯანელებმა მეორე ადგილი დაიკავეს (2 მოგება, 1 წაგება), პირველები იყვნენ მოლდოველები (3 გამარჯვება), მესამე ადგილზე გავიდა სან მარინო (1მოგება), ხოლო მეოთხეზე - გიბრალტარი (3 წაგება).

ნახევარფინალში ბარბაქაძე და აზერბაიჯანელები ტურნირის მასპინძლებს, შოტლანდიელებს დაუპირისპირდებოდნენ და ბოლო წუთებზე 91:80 გაიმარჯვეს. დათომ ამჯერადაც თითქმის შეუცვლელად ითამაშა - 37 წუთში 20 ქულა, 8 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ფინალში აზერბაიჯანი იყოჩალებს თუ მოლდოვა, ამის შესახებ ხვალინდელ ნომერში გაცნობებთ, ახლა კი შეგახსენებთ, რომ აზერები 2006 წელსაც დამარცხდნენ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში (ალბანეთთან), თუმცა ფინალში სწორედ ალბანელებს აჯობეს.

ვაჟა სიმონიშვილი

# ფაჩულიას შენარჩუნება სურთ

„ატლანტა ჰოქსის“ ხელმძღვანელობას ახალ სეზონში **ზაზა ფაჩულიას** შენარჩუნება სურს. გუნდის გენარალურმა მენეჯერმა **რიკ სანდმა** განაცხადა, რომ მას სურს „ჰოქსის“ძირითადი ბირთვის რვა კალათბურთელის დატოვება. ამ რვა კალათბურთელში ზაზა ფაჩულია და **ეისი ლოუც** იგულსხმებიან. წლეულს, „ატლანტა ჰოქსი“ დრაფტის წყალობით ვერ გაძლიერდება, რადგან ჯორჯიულ კლუბს კალათბურთელის აყვანის უფლება გასხვისებული აქვს. გასულ სეზონში ზაზა ფაჩულიამ „ჰოქსის“ რიგებში 62 მატჩი გამართა რეგულარულ სეზონში და 7 პლეი-ოფში. ზაზა სულ ხუთჯერ იყო სასტარტო ხუთეულში, ის მატჩში საშუალოდ 5,2 ქულას და 4,0 მოხსნას აკეთებდა. ზაზას ამაზე ცუდი სეზონი კარიერაში მხოლოდ 2003-04 წლებში ჰქონდა, როცა „ორლანდოს“ შემადგენლობაში ნბა-ში პირველ სეზონს ატარებდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

დასაწყისი „ლელო" №88-დან

**საფეხბურთო** მეურნეობის იდეალური მისწრაფებაა ის, რომ ფეხბურთის მოედნის ცენტრიდან ორივე მხარეს უნდა იყოს დახრილი პირით ხაზისკენ...5 სანტიმეტრით. საინტერესოა, ეს როგორ შევამოწმოთ?

**სხვათა შორის**, არსად ოფიციალურად არ არის აღნიშნული რა მასალისგან არ შეიძლება ძელების და ხარიხების დამზადება. ბურთის "არეკლისუნარიანობა" კი სწორედ ამ ფაქტორზე არცთუ უმნიშვნელოდ არის დამოკიდებული. მაგალითად, ფიბერგლასის ჭოკი ფრიად განსხვავდება ბამბუკისგან დამზადებული ამ სპორტიარაღისაგან, ტარტანის ბილიკი ქვიშისაგან, ახალი სუპერბურთები ძველი ტყავ-კამერისაგან. არსად არ არის ნორმირებული საფეხბურთო ბადის უჯრედის სიდიდე და თავად ბადის ფერიც. იგივე შეიძლება ითქვას ძელების "სითეთრის" კოეფიციენტზე (მოგეხსენებათ სტადიონების განათება მკაცრადაა "ლუქსირებული". ისე, რომ ინსტრუქციების შემდგენლებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო...

**სერ სტენლი მეტიუზი** საფეხბურთო ჯენტლმენად ითვლებოდა. ამის საფუძველინამდვილად არსებობდა.

მოგეხსენებათ, უწინ, ბურთები გაბერვის შემდეგ ტყავის თასმით იკვრებოდა. არსებობს გადმოცემა, სადაც აღნიშნულია, რომ მეტიუზი ისე აწოდებდა ფლანგიდან ბურთს პარტნიორებს, რომ თავით დარტყმისას მათ შუბლს არ ეხებოდა ტყავის უხეში თასმა. ბრავო, სერ!

**უნიკლაურია** არგენტინული კლუბის "ესტუდიანტესის" ისტორია ლაპლატიდან. სტუდენტები (ძირითადად მედიკოსები) სწავლის პროცესის განმავლობაში ორჯერ გახდნენ მსოფლიოში უძლიერესნი კლუბებს შორის - მოიგეს "ოქროს სამფეხი"! სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, ჩემპიონთა თაობა დიპლომირებული ექიმები, თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ, კლუბი კი საშუალო დონის კოლექტივდა იქცა. ასე რომ, სწავლის ძირი ყოველთვის მწარე არ არის...

**ალბათ**, ბევრმა არ იცის, თუ რატომ აცვიათ იტალიელებს ცისფერი სანაკრებო მაისურები. მათი დროშა ხომ წითელ-მწვანე-თეთრია. პატარა ისტორიული ცნობა: საფოიელთა დინასტიის ფერი ცისფერია და სწორედ ისინი პატრონობდნენ ძველ კალჩონერებს, რომელთაც, ბუნებრივია, მათი მფარველის ფერის სამოსი ეცვათ. თანამედროვე ფეხბურთელებმაც ტრადიციას არ უღალატეს. ზოგიერთებივით...

**საოცრად** მატულობდა ფრანგი (პოლონური წარმოშობის) ფეხბურთელის **რაიმონ კოპას-პაჩევსკის** ფასი: 16 წლის ასაკში "ანჟეს" კლუბს ყმაწვილი 100 000 ძველ ფრანკად მიჰყიდეს, შემდეგ "რეიმსმა" მასში 1 800 000 გადაიხადა, აი," რეალმა "კი ოსტატში 52 000 000 არ დაინანა. ბულგარეთში ფეხბურთელი შალამანოვი, ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გარდა, თავისი ქვეყნის სამთომეთხილამურეთა გუნდშიც ვარჯიშობდა.

**ერთხელ** "ბენფიკას" ფანს მარცხი მოუვიდა. სადილობისას ყელში თევზის ფხა გაეჩხირა. ექიმებმა, დიდი წვალების შედმეგ გადაწყვიტეს ქირურგიული ჩარევა, მაგრამ ამაოდ - პაციენტი საავადმყოფოდან გაეპარათ. გაქცეულმა პირდაპირ სტადიონზე ამოყო თავი, სადაც მისი საყვარელი გუნდი საერთაშორისო მატჩს ატარებდა. მატჩისას იმდენი იღრიალა, რომ ფხა პირიდან ამოუვარდა. თანაც "ბენფიკამ" მოიგო. სიხარული ორმაგი იყო!

**პრაქტიკულად** არავინ იცის, რომ **ჟან მარი ფაუსტინ გოდფრიდი**, შინაურებში **ჟოაო აველანჟი** - ფიფას საპატიო პრეზიდენტი, არა მარტო 50 წლის განმავლობაში საავტობუსო ფირმის "ვიასაო კომეტას" მფლობელია, არამედ საფეხბურთო კლუბ "ფლუმინენსეს" მეპატრონეც. ისიც აღვნიშნოთ, რომ გოდფრიდის სიძე **ტეიშეირა**, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის თავმჯდომარეა. აი, ასეა საქმე, სინიორებო!

**უაღრესად** საპატივცემულო კლუბია ბილბაოს "ატლეტიკი": ბასკეთის ამ გუნდში მხოლო ბასკები თამაშობენ (ან გასკონელები - საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულეები). არავითარი ლეგიონერები - უცხოტომელები! საინტერესოა, სხვა ესპანურ გრანდებში რომ მარტო "საკუთარმა ხალხმა" ითამაშოს, თუ მოუგებენ დასავლელ იბერებს?

**კატალონიის** უდიდეს სტადიონზე "კამპ ნოუზე" ვეება წარწერაა: "კატალონია ესპანეთი არ არის!" ყველა კატალონიელის ეროვნული სიამაყის "ბარსელონას" საუკეთესო ფეხბურთელები კი არიან ბულგარელი **სტოიჩკოვი**, ჰოლანდიელები კროიფი და **კუმანი**, ბრაზილიელი **რონალდინიო** და არგენტინელი **მესი**. აქ შევწყვიტოთ ჩამონათვალი თორემ გაგვიგრძელდება.

**განვაგრძოთ თემა:** როდესაც სტამბოლის "გალათასარაიმ" ევროთასი მოიგო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: "დღეიდან ჩვენ სრულფასოვანი ერი გავხდით!" სრულფასოვნება თურქებს ბრაზილიელმა **ჟარდელმა** მოუტანა თავისი გოლების წყალობით (აგრეთვე სხვა არაერთმა ლეგიონერმა).

**აფრიკის** რიგ გუნდში, შტატში ირიცხება ...შამანი. ეტყობა მარტო ოსტატობა საქმეს ვერ შველის!

**ბობი ჩარლტონს** სერბებმა "ინგლისური ფეხბურთის უკანასკნელი ჯენტლმენი" უწოდეს და აი, რატომ - ბელგრადში უხეშობით გამორჩეული მატჩის შემდეგ (1:0) ბობიმ ერთადერთმა თავისი გუნდიდან მოწინააღმდეგეს ხელი ჩამოართვა. ეს აქტი ბევრ გოლზე მეტად დაფასდა.

**ინდონეზიის** დედაქალაქ ჯაკარტაში არსებობს მოსკოვის "დინამოს" სტადიონის ასლი. საინტერესოა, დღეს ასლი უკეთეს მდგომარეობაშია თუ ორიგინალი?

**სრულ** განადგურებას გადაურჩა ურუგვაის დედაქალაქის "პენიაროლის" შტაბბინა, საკონტინენტთაშორისო თასში პირველი გამარჯვების შემდეგ გუნდის ტორისიდა ღრიალის "პენიაროლი მსოფლიო ჩემპიონია!" ეძგერა შენობას და მისი...აგურ-აგურ დაშლა დაიწყო სუვენირებად! პოლიციელთა გმირობა რომ არა, ჩემპიონები უსახლკაროდ დარჩებოდნენ!

**ბევრმა** გულშემატკივარმა არ იცის, რომ შოტლანდიური კლუბების "სელტიკისა" და "გლაზგო რეინჯერსის" შეხვედრები, ახლო წარსულში ფასდებოდა როგორც დაპირისპირება კონფესიებს - კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მატჩის წინ, პოლიციელებს ბართლომეს ღამე ესიზმრებოდათ...



მარადონა და ღმერთის ხელი

**ინგლისი** ტრადიციების ქვეყანაა. ერთი ასეთი აქვთ, საფეხბურთო: ეროვნული ნაკრების წევრს ყოველი თამაშის შემდეგ ქუდს აძლევენ. ვისაც მეტი დაუგროვდება, კაციც ის არის და ქუდებიც მას ჰხურავს!

**იტალიელმა ბომბარდირმა ლუიჯი რივამ** ვარჯიშისას ყუმბარისებური დარტყმით კარის უკან მოკალათებული კორესპონდენტს ხელი მოსტეხა. აქედან დასკვნა: ბურთს თვალი არა მარტო მეკარემ უნდა ადევნოს...

**სად** არ თამაშობენ ფეხბურთს! მაგალითად, ნავთობის ქვებზე. ეს ხიმინჯებზე აგებული ხელოვნური კუნძულია აზერბაიჯანის ნავთობსარეწებზე ღია ზღვაში. საინტერესოა, პირით ხაზს იქით გადავარდნილი ბურთები აუტის მომწოდებელი ბიჭუნებს მოაქვთ თუ მოცურავეებს?

**იყო დრო,** როდესაც კვიპროსზე ბალახისსაფარიანი მინდვრები არ იყო და ფიფა ურიგდებოდ იმას, რომ მატჩის წინ ასპარეზს მძიმე სატკეპნით ასწორებდნენ.

**იყო შემთხვევები,** როდესაც საფეხბურთო ჯარიმების შესრულებისას, ყუმბარისებური დარტყმების შემდეგ, ზურგშექცეულ "კედელში" ჩამდგარ ფეხბურთელს უზიანდებოდა თირკმელი. ოპერაციის შედმეგ დაინვალიდების შემთხვევებიც ყოფილა. ამიტომ ბევრი ექიმი ურჩევს მცველებს მკერდი და შუბლი შეუშვირონ ბურთს. სხეულის ეს ნაწილები იგივეა ბურთისთვის, რაც ყუმბარისთვის ტანკის ჯავშანი და კოშკურა.

**სახელგანთქმული** ფორვარდი **ჯიმი გრივსი** გვასწავლის: ორ უდიდეს შეცდომას უშვებენ ფორვარდები, რომლებიც ბომბარდირობაზე ოცნებობენ: პირველი - ვარჯიშისას ისინი გაჩერებულ ბურთს ურტყამენ უმეტესად, მეორე - სრულებით არ ვარჯიშობენ კარში ახლო მანძილიდან დარტყმებში, ბურთების უმეტესობა კი სწორედ ამ მანძილიდან გადის.

**შვედეთის** მსოფლიო ჩემპიონატის დროს ცუდად დაიწყეს ტურნირი არგენტინელებმა. სასწრაფოდ გამოიძახეს განაცხადში ჩაწერილი, ოღონდ ბოლო მომენტში სამშობლოში დატოვებული ფორვარდი ლაბრუნა. მართლაც, მაშველმა იმარჯვა და შემდეგი მატჩი სამხრეთელებმა მოიგეს. მაგრამ ეს იყო და ეს. თეთრ-ცისფერები ტურნირს გამოეთიშნენ. მიზეზი: ლაბრუნა...41 წლისა გახდა.

**პირველი** ვინც წვივის დამცველები, კანჭებზეც მოირგო **დიეგო მარადონა** გახლდათ. დღევანდელი მჩატე საფეხბურთო ფეხსაცმელი ბუცები ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია. ასეთები პირველად ომის შემდეგ გამოჩნდა. მანამდე ეცვათ ყელიანი ფეხსაცმელები (ბათინკები), უფრო ადრე კი თითქმის ნახევრადჩექმები!

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 21-23 ივნისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

21 ივნისი. 1940 წელი. მეორე მსოფლიო ომის დროს (დაიწყო 1939 წელს) გერმანულმა გესტაპომ ვარშავის სიახლოვეს დააპატიმრა და შემდეგ კი დახვრიტა 1932 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 10 კმ-ზე რბენაში იანუშ კუსოჩინსკი. მას ბრალად წაუყენეს პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობა.

22 ივნისი. 1942 წელი. საყოველთაოდ ცნობილი "სიკვდილის მატჩი", ამ დღეს გაიმართა კიევში. ადგილობრივი "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა 5:3 დაამარცხა გერმანელთა "ლუფტვაფეს" ნაკრები. ოთხი კიეველი ფეხბურთელი - ტრუსევიჩი, კუზმენკო, კოროტკიხი და კლიმენტო შემდეგ ფაშისტებმა დახვრიტეს.

22 ივნისი, 1979 წელი. მძიმეწონოსანმა მოკრივემ ლარი ჰოლმსმა ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად მატჩი გამართა მაიკ ვივერთან და ნოკაუტით გაიმარჯვა მე-11 რაუნდში.

23 ივნისი. 1894 წელი. ეს დღე მსოფლიო სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც ოლიმპიური თამაშების აღორძინების თარიღი. პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გამართულ დამფუძნებელ კრებაზე, პიერ დე კუბერტენის წინადადება გაიზიარეს და მიიღეს გადაწყვეტილება ძველბერძნული ოლიმპიადების აღორძინების თაობაზე.

23 ივნისი. 1961 წელი. ოლიმპიის სტადიონზე არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, ეს ანტიკური სპორტული ნაგებობა გადაეცა ქვეყნის კულტურის სამინისტროს და დაარსდა ოლიმპიური აკადემია.

24 ივნისი. 1950 წელი. ამ დღეს დაიწყო და 16 ივლისს დამთავრდა ფეხბურთში ბრაზილიის მსოფლიო მეოთხე ჩემპიონატი. ურუგვაელებმა ფინალში 2:1 სძლიეს მასპინძლებს და მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

26 ივნისი. 1959 წელი. მძიმე წონაში ახალი მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა შვედმა მოკრივე ინგმარ იოჰანსონმა. ნიუ-იორკში გამართულ ორთაბრძოლაში მან მესამე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ლეგენდარული ფლოიდ პეტერსონი.

26 ივნისი. 1981 წელი. ამ დღეს თბილისში დაფიქსირდა ახალი მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში. რუსმა ვლადიმირ ხოლიაკოვმა 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა 6 დღით ადრე ფრანგ ტერი ვინიერონის მიერ დამყარებული რეკორდი. ახალი მიღწევის ჭერმა 5 მეტრსა და 81 სმ-მდე აიწია.

## თქვენთვის, ერუდიტებო!

ფეხბურთში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

1. რომელი გუნდების მატჩით გაიხსნა მიმდინარე ჩემპიონატი?

ა) პორტუგალია-თურქეთის
ბ) შვეიცარია-ჩეხეთის
გ) გერმანია-პოლონეთის

2. ვინ გაიტანა მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გოლი?

ა) ვაცლავ სვერკოშმა
ბ) ალექსანდრ ფრაიმ
გ) პეპემ

3. ვის გაუტანა პოდოლსკიმ პირველი გოლი?

ა) ხორვატიას
ბ) ავსტრიას
გ) პოლონეთს

4. ვის ეკუთვნის მიმდინარე ჩემპიონატთან დაკავშირებით სიტყვები: "არავისი არ უნდა გვეშინოდეს, ამ გუნდით ევროპის ჩემპიონობა შესაძლებელია.

ა) საკის
ბ) ბეკენბაუერს
გ) სკოლარის

5. რომელ მსაჯს დაემუქრნენ სიკვდილით?

ა) უებს
ბ) ოვრებოს
გ) ფანდელს

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-ა

იყო ასეთი შემთხვევა

## გამარჯვებულად გამოცხადდა ცხენი და ძეგლიც დაუდგეს

ოლიმპიზმის ისტორიამ ბევრი საინტერესო ამბავი შემოგვინახა. ძვ. წელთაღრიცხვით 528 წელს ოლიმპიაში გამართულ ტრადიციულ თამაშებში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა საცხენოსნო შეჯიბრებაში - გამარჯვებულად გამოცხადდა მერანი. საქმე იმაში იყო, რომ ფაშატი აურა რბოლაში ფინიშთან პირველი მიიჭრა, მაგრამ... უმხედროდ - მხედარი ცხენიდან გადმოვარდა. გამარჯვებულ მერანს, სახელის უკვდავსაყოფად, ბრინჯაოს ძეგლიც დაუდგეს.

სპორტი და ფილატელია

## სპორტი საფოსტო მარკებში

ვაგრძელებთ საუბარს სპორტულ ფილატელიაზე. უდიდესი მოვლენა ფილატელისტთა ცხოვრებაში მოხდა 1985 წელს. ოლიმპიური ფილატელიის მსოფლიო ფედერაციამ მოაწყო გრანდიოზული საერთაშორისო გამოფენა "ოლიმპფილექს-85" ლოზანაში. 78 ქვეყანამ წარმოადგინა ოლიმპიურ სპორტთან დაკავშირებული საფოსტო მარკების უნიკალური კოლექცია. თემატიკა მოიცავდა სპორტის ოლიმპიურ სახეობებს, ოლიმპიურ თამაშებს, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას. ყველაზე წარმომადგენლობითი იყო კოლექცია "ოლიმპიური სტადიონი".




ჰაერნაოსნობა

## აეროსტატების ფესტივალი და დიზაინერთა ფანტაზია

ჰაერნაოსნობა ყოველთვის პოპულარული იყო და ახლაც არის ექსტრემალური სახეობების მოყვარულთა შორის. აეროსტატების გამოფენა - ფესტივალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება. როგორც ხდება ხოლმე, ჯერ მაყურებელი ათვალიერებს სხვადასხვა ფორმის და დიზაინის აეროსტატს, ანუ საჰაერო ბუშტს, შემდეგ კი ადევნებენ თვალყურს, როგორ აიჭრება ჰაერში ერთად რამდენიმე აეროსტატი და მრავალფერებში შეღებავს ზეცას.

დიზაინერები ცდილობენ ჰელიუმით გასაბერ ბუშტებს არაჩვეულებრივი ფორმა მისცენ. ფესტივალებზე შეხვდებით, მაგალითად, გიგანტურ ჩიტს, სახლს, ადამიანის სახეს, კოსმოსურ ხომალდს, გაზეთს, მანქანას (იაგუარს), ძროხას, თვალს, შუა საუკუნეების რაინდს, ჩვეულებრივი ფორმის აეროსტატს, გოლიათს, თოჯინას, გველეშაპს, ბაყაყს, თეთრ დათვს, მობილურ ტელეფონს, კაქტუსს, შამპანურის ბოთლს, მარწყვს, ნაყინს. ფოტოგრაფებისთვის აეროსტატების ფესტივალების გამართვის ადგილი ნამდვილი სამოთხეა, მონაწილეებისა და მაყურებლისთვის კი - სიამოვნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. უიმბლდონი. მამაკაცების ბადე

ფედერერი (შვეიც, 1)
ჰრბატი (სლოვაკ)
სიოდერლინგი (შვედ)
კიმი (აშშ)
ჟიკელი (საფ)
ნიშიკორი (იაპ)
გუჩიონე (ავსტრა)
მონფილსი (საფ, 30)
ჰიუიტი (ავსტრა, 20)
ჰაასე (ჰოლ)
მონტანიესი (ესპ)
ბერლოკი (არგ)
ბოგდანოვიჩი (ბრიტ)
ბოლელი (იტა)
ჯინეპრი (აშშ)
გონსალესი (ჩილ, 15)
ბერდიხი (ჩეხ, 11)
კოროლიოვი (რუს)
ჰანესკუ (რუმ)
ფალა (კოლ)
სელა (ისრ)
ო. როხუსი (ბელ)
კოლშრაიბერი (გერ)
ვერდასკო (ესპ, 22)
ლოდრა (საფ, 32)
ანჩიჩი (ხორ)
ლი (კორ)
პეტცშნერი (გერ)
ანდრეევი (რუს)
ვანეკი (ჩეხ)
სტახოვსკი (უკრ)
ფერერი (ესპ, 5)
ჯოკოვიჩი (სერ, 3)
ბერერი (გერ)
საფინი (რუს)
ფონინი (იტა)
სერა (საფ)
ლუ (ტაივ)
კამკე (გერ)
სეპი (იტა, 29)
ფერერო (ესპ, 21)
კუერი (აშშ)
პეია (ავსტრია)
ზვერევი (გერ)
დელ პოტრო (არგ)
შნობელი (ჩეხ)
დანიელი (ბრა)
ვავრინკა (შვეიც, 13)
ბალდატისი (კვიპ, 10)
დარცისი (ბელ)
ტ. იოჰანსონი (შვედ)
სპეიდი (აშშ)
ბელუჩი (ბრა)
კუნიცინი (რუს)
შტადლერი (გერ)
კარლოვიჩი (ხორ, 18)
ფ. ლოპესი (ესპ, 31)
დაბული (არგ)
კარანუშიჩი (ხორ)
ორნა (პერ)
ვოლანდრი (იტა)
რეინოლდსი (აშშ)
დანჩევიჩი (აშშ)
ნალბანდიანი (არგ, 7)






როდიკი (აშშ, 6)
შვანკი (არგ)
ტიფსარევიჩი (სერ)
ასკიონე (საფ)
პაშანსკი (სერ)
იტონი (ბრიტ)
მაუ (საფ)
ტურსუნოვი (რუს, 25)
ალმაგრო (ესპ, 19)
გრანოლერსი (ესპ)
გარსია ლოპესი (ესპ)
ვან დერ მერვე (ს. აფრ)
ვენტურა (ესპ)
შუტლერი (გერ)
კ. როხუსი (ბელ)
ბლეიკი (აშშ, 9)
მატიო (საფ, 14)
ერნანდესი (ესპ)
შარდი (საფ)
ჟილი (პორ)
როჟე-ვასელენი (საფ)
ჩილიჩი (ხორ)
ოდესნიკი (აშშ)
ნიემინენი (ფინ, 24)
ლუბიჩიჩი (ხორ, 26)
მელცერი (ავსტრია)
ლევინე (აშშ)
იანგი (აშშ)
ბიორკმანი (შვედ)
კლემანი (საფ)
ბეკერი (გერ)
დავიდენკო (რუს, 4)
გასკე (საფ, 8)
ფიში (აშშ)
გროსჟანი (საფ)
სტარაჩე (იტა)
ანდერსონი (ს. აფრ)
კალერი (არგ)
ოლეინიჩაკი (პოლ)
სიმონი (საფ, 28)
რობრედო (ესპ, 23)
ვლიეგენი (ბელ)
კანიასი (არგ)
ჰაასი (გერ)
მალისე (ბელ)
გრემელმაირი (გერ)
სანტორო (საფ)
მარეი (ბრიტ, 12)
შტეპანეკი (ჩეხ, 16)
ჰერნიხი (ჩეხ)
ტროიცკი (სერ)
ლაპენტი (ეკვ)
ბეიკერი (ბრიტ)
გალვანი (იტა)
როიტმანი (არგ)
იუჟნი (რუს, 17)
კიფერი (გერ, 27)
ბენეტო (საფ)
ვასალო არგელო (არგ)
მინარი (ჩეხ)
ისნერი (აშშ)
გულბისი (ლატ)
ბეკი (გერ)
ნადალი (ესპ, 2)

### წინა 30 ფინალი

| | |
|---|---|
| 1978 ბორგი (შვედ)-კონორსი (აშშ) | 6:2 6:2 6:3 |
| 1979 ბორგი (შვედ)-ტანერი (აშშ) | 6:7(4) 6:1 3:6 6:3 6:4 |
| 1980 ბორგი (შვედ)-მაკინროი (აშშ) | 1:6 7:5 6:3 6:7(16) 8:6 |
| 1981 მაკინროი (აშშ)-ბორგი (შვედ) | 4:6 7:6(1) 7:6(4) 6:4 |
| 1982 კონორსი (აშშ)-მაკინროი (აშშ) | 3:6 6:3 6:7(2) 7:6(5) 6:4 |
| 1983 მაკინროი (აშშ)-ლუისი (ზელ) | 6:2 6:2 6:2 |
| 1984 მაკინროი (აშშ)-კონორსი (აშშ) | 6:1 6:1 6:2 |
| 1985 ბეკერი (გერ)-კარენი (ს. აფრ) | 6:3 6:7(4) 7:6(3) 6:4 |
| 1986 ბეკერი (გერ)-ლენდლი (ჩეხ) | 6:4 6:3 7:5 |
| 1987 კეში (ავსტრა)-ლენდლი (ჩეხ) | 7:6(5) 6:2 7:5 |
| 1988 ედბერგი (შვედ)-ბეკერი (გერ) | 4:6 7:6(2) 6:4 6:2 |
| 1989 ბეკერი (გერ)-ედბერგი (შვედ) | 6:0 7:6(1) 6:4 |
| 1990 ედბერგი (შვედ)-ბეკერი (გერ) | 6:2 6:2 3:6 3:6 6:4 |
| 1991 შტიხი (გერ)-ბეკერი (გერ) | 6:4 7:6(4) 6:4 |
| 1992 აგასი (აშშ)-ივანიშევიჩი (ხორ) | 6:7(8) 6:4 6:4 1:6 6:4 |
| 1993 სამპრასი (აშშ)-კურიე (აშშ) | 7:6(3) 7:6(6) 3:6 6:3 |
| 1994 სამპრასი (აშშ)-ივანიშევიჩი (ხორ) | 7:6(2) 7:6(5) 6:0 |
| 1995 სამპრასი (აშშ)-ბეკერი (გერ) | 6:7 6:2 6:4 6:2 |
| 1996 კრაიჩეკი (ჰოლ)-ვაშინგტონი (აშშ) | 6:3 6:4 6:3 |
| 1997 სამპრასი (აშშ)-პიოლინი (საფ) | 6:4 6:2 6:4 |
| 1998 სამპრასი (აშშ)-ივანიშევიჩი (ხორ) | 6:7(2), 7:6(9), 6:4, 3:6, 6:2 |
| 1999 სამპრასი (აშშ)-აგასი (აშშ) | 6:3, 6:4, 7:5 |
| 2000 სამპრასი (აშშ)-რაფტერი (ავსტრა) | 6:7(10), 7:6(5), 6:4, 6:2 |
| 2001 ივანიშევიჩი (ხორ)-რაფტერი (ავსტრა) | 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7 |
| 2002 ჰიუიტი (ავსტრა)-ნალბანდიანი (არგ) | 6:1, 6:3, 6:2 |
| 2003 ფედერერი (შვეიც)-ფილიპუსისი (ავსტრა) | 7:6(5), 6:2, 6:4 |
| 2004 ფედერერი (შვეიც)-როდიკი (აშშ) | 4:6, 7:5, 7:6(4), 6:4 |
| 2005 ფედერერი (შვეიც)-როდიკი (აშშ) | 6:2, 7:6(2), 6:4 |
| 2006 ფედერერი (შვეიც)-ნადალი (ესპ) | 6:0, 7:6(5), 6:7, 6:3 |
| 2007 ფედერერი (შვეიც)-ნადალი (ესპ) | 7:6(7), 4:6, 7:6(3), 2:6, 6:2 |

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# რეპეტიცია დამთავრდა, წინ უიმბლდონია

უიმბლდონის წინ ჩოგბურთელებმა ბოლო რეპეტიცია გაიარეს. გასულ კვირას, ბალახის კორტებზე ოთხი ტურნირი გაიმართა, თუმცა რეიტინგის ლიდერები ინდივიდუალურად ემზადებოდნენ და ამჯერად, პირველობისთვის კლასიფიკაციის ქვედა საფეხურებზე მყოფი მოთამაშეები იბრძოდნენ.

უცნაური ფინალი გაიმართა ნოტინგემში, სადაც ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** შარშან მოპოვებული ტიტული დაიცვა. უცნაურობა ის არის, რომ წვიმის გამო, ორგანიზატორებმა Nottingham Open-ის ფინალი სანვრთნელ დარბაზში ჩაატარეს, სადაც პუბლიკის დასასწრები ადგილი არ მოინახა.

დაძაბული შეხვედრის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც კარლოვიჩსაც და მის მეტოქე **ფერნანდო ვერდასკოსაც** რამდენიმე მატჩ-პოინტი ჰქონდათ. 17 ქულა ისე გათამაშდა, რომ არც ერთმა არ დათმო თავისი მოწოდება. ხორვატმა მატჩში 28-ე ეისით, 8:8 გახადა ანგარიში. სწორედ ამ დროს, ესპანელმა თავის მოწოდებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და კარლოვიჩს მატჩის მოგების საშუალება მისცა.

■ ■ ■

ბალახის კორტებზე კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა ესპანელმა **დავიდ ფერერმა** და ახლა, მსოფლიოს მეხუთე ნომერი კარგი განწყობით ხვდება "დიდი სლემის" რიგით მესამე ჩემპიონატს.


აგნიეშკა რადვანსკა

ფინალში ფერერის მეტოქე 31 წლის ფრანგი **მარკ ჟიკელი** იყო, რომელსაც 11-წლიან კარიერაში არცერთი ტიტული არ აქვს მოგებული. ვეტერანმა ვერც ამჯერად გატეხა ნავსი. ჟიკელს ამის შანსი არც ჰქონია, ვინაიდან ფერერმა თითქმის უნაკლოდ ითამაშა, 12 ეისი შეასრულა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია.

*"ჩემმა დღევანდელმა ტრიუმფმა ყველას დაანახა, რომ ესპანელებმაც ისწავლეს ბალახზე თამაში"*, - განაცხადა ფინალის შემდეგ ფერერმა, რომელიც ჰოლანდიური ტურნირის პირველი ესპანელი გამარჯვებული გახდა.

■ ■ ■

ქალთა ორი ტურნირი რუსი ჩოგბურთელების ფიასკოთი დასრულდა, არადა, ორივე შემთხვევაში ფავორიტებად სწორედ ისინი ითვლებოდნენ.

განსაკუთრებით მოულოდნელი იყო როლან გაროსის ფინალისტის, **დინარა საფინას** მარცხი ტაილანდელ **ტამარინე ტანასუგარნთან**. ეს უკანასკნელი ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვდა და მისგან ასეთ გმირობას არავინ ელოდა.

ფინალის პირველი სეტი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ პარტიის ბოლოსკენ რუსმა საკუთარ მოწოდებაზე ორი გეიმი წააგო და სეტი 31 წლის ტანასუგარნს დარჩა - 7:5. მეორე პარტიაში კი, საფინამ უამრავი შეცდომა დაუშვა, რამაც გამოცდილ ტაილანდელს საქმე გაუმარტივა. ტანასუგარნმა კარიერაში მეორე ტიტული მოიგო, ბალახზე კი, პირველ ტრიუმფს მიაღწია.

■ ■ ■

ძალიან დაძაბული გამოდგა ისტბურნის ტურნირის ფინალი, სადაც გამარჯვებულის გამოვლენას სამი სეტის ჩატარება დასჭირდა. უფრო იღბლიანი პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** გამოდგა. მან ამ სეზონში მესამე ტურნირი მოიგო და ამ მაჩვენებლით ლიდერებს - **სერენა უილიამსსა** და **მარია შარაპოვას** გაუტოლდა.

რადვანსკას შეეძლო მეორე პარტიაში მოემთავრებინა საქმე. ტაი-ბრეიკზე სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პეტროვა სამივეჯერ გადარჩა და ბოლოს, მესამე ცდაზე თავად შეძლო სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრება.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პარტიის მეცხრე გეიმი. პეტროვას მოწოდებაზე პოლონელმა ბრეიკი გაახერხა და მომდევნო გეიმში, მეხუთე მატჩ-პოინტზე, როგორც იქნა, გატეხა რუსის წინააღმდეგობა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, პეტროვასთვის ისტბურნში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ერთ დროს რეიტინგის საუკეთესო ხუთეულის წევრს, 2007 წლის თებერვლის შემდეგ არ მოუგია ტურნირი, მაგრამ პეტროვამ ვერც ამჯერად შეძლო წარუმატებელი სერიის შეწყვეტა.

**გია თვალაბეიშვილი**

**ATP**

**Ordina Open**

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**ფინალი**

დავიდ ფერერი (ესპ, 1)-მარკ ჟიკელი (საფ) 6:4, 6:2.

**The Slazenger Open**

ნოტინგემი (ბრიტანეთი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**ფინალი**

**ივო კარლოვიჩი** (ხორ, 4)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 3) 7:5, 6:7 (4), 7:6 (8).

**WTA**

**International Women's**

ისტბურნი (ბრიტანეთი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა** (პოლ, 4)-ნადია პეტროვა (რუს, 8) 6:4, 6:7 (9), 6:4.

**Ordina Open**

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**ფინალი**

**ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილ)-დინარა საფინა (რუს, 3) 7:5, 6:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# ფორმულა გაფიცვას აპირებს




დიდი ბრიტანეთის გრან პრის დროს, ფორმულა 1-ის პილოტებმა, შესაძლოა, გაფიცვა მოაწყონ. როგორც გერმანული Auto Motor und Sport წერს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) არ დათანხმდება სუპერლიცენზიების ღირებულების შემცირებას. ადრე, ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია დაახლოებით 2600 დოლარი ღირდა და ამას ემატებოდა 700 დოლარი ყოველი მოპოვებული ქულისთვის. მაგრამ იანვრიდან, FIA-მ ლიცენზიის ფასი 10 ათას ევრომდე გაზარდა, რასაც ყოველი ქულისთვის 2 ათასი ევრო დაემატა. შესაბამისად, მსოფლიო ჩემპიონ **კიმი რაიკონენს** ამ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად 230 ათასი ევროს გადახდა მოუწია.

მრბოლელთა პროფკავშირის წარმომადგენლებმა FIA-ს პრეზიდენტ მაქს მოსლის სასწრაფოდ შეხვედრის თხოვნით მიმართეს. თუ ეს შეხვედრა ბრიტანეთის გრან პრიმდე არ შედგება და არ გამოინახება კომპრომისი, პილოტები გაფიცვით იმუქრებიან. თუმცა პროტესტის ზუსტი ფორმა მათ არ დაუსახელებიათ.

პროფკავშირის ერთ-ერთმა წევრმა ასეთი რამ განუცხადა ჟურნალისტებს: *"ითვლება, რომ ფორმულა 1-ის პილოტებს მაღალი შემოსავლები აქვთ, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, რობერტ კუბიცას ლიცენზიის მისაღებად, თავისი წლიური შემოსავლის 10 პროცენტის გაღება მოუწია"*.

აქვე გთავაზობთ სიას, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, თუ რა თანხა დაუჯდათ პილოტებს წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობა:

1. **რაიკონენი** - 230 000 ევრო; 2. **ჰემილტონი** - 228 000; 3. **ალონსო** - 228 000; 4. **მასა** - 198 000; 5. **ჰაიდფელდი** - 132 000; 6. **კუბიცა** - 88 000; 7. **კოვალაინენი** - 70 000; 8. **ფიზიკელა** - 52 000; 9. **როსბერგი** - 50 000; 10. **კულტჰარდი** - 38 000; 11. **უებერი** - 30 000; 12. **ტრული** - 26 000; 13. **ფეტელი** - 22 000; 14. **ბატონი** - 22 000; 15. **სატო** - 18 000; 16. **სუტილი** - 12 000; 17. **ნაკაძიმა** - 10 000; 17. **პიკე** - 10 000; 17. **ბურდე** - 10 000.

გია **თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

## 23 ივნისი. ორშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 საფეხბურთო კლუბი.
12:50 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.
15:00 საფეხბურთო კლუბი.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 საფეხბურთო კლუბი.
17:30 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.
19:40 საფეხბურთო კლუბი.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-რასინგი.
23:45 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
07:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
09:20 სპორტის სამყარო.
09:45 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
11:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-პალერმო.
13:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვილიარეალი-ატლეტიკო.
15:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინადი. ნოტინგემი. ინგლისი (LIVE).
19:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. არსენალი-სანდერლენდი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:30 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. ოტავა-პიტსბურგი.
00:20 სპორტის სამყარო.
00:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-პალერმო.
03:00 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
04:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვილიარეალი-ატლეტიკო.
04:40 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.

### EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის გრან პრი.
12:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი. პოზნანი. პოლონეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:00 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
14:15 ძძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.
15:45 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 მულტისპორტი.
23:15 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.

### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. II ტური. ჩინეთი-პოლონეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის გრან პრი.
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. II ტური. ჩინეთი-პოლონეთი.
19:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-დალასი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
23:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
03:45 ახალი ამბები.
04:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
04:45 ახალი ამბები.
05:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
05:45 ახალი ამბები.

ჰოკეი. NHL დრაფტი 2008

# კლუბებმა ახალბედები ჩამოირიგეს


სტივენ სტემკოსი

კვირას, ოტავაში ჰოკეის ეროვნული ლიგის ყოველწლიური დრაფტი გაიმართა, სადაც ლიგის კლუბებმა ახალბედა ჰოკეისტები დაიბევეს. პირველი ნომრის არჩევის უფლება "ტამპა ბეის" ერგო, რომელმაც არჩევანი OHL-ის კლუბ "სარნიას" 18 წლის ფორვარდზე, **სტივენ სტემკოსზე** შეაჩერა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა გასულ სეზონში 61 მატჩი ჩაატარა, 58 შაიბა გაიტანა და 47 შედეგიანი პასი შეასრულა.

სხვათა შორის, "ტამპამ" თავისი არსებობის ისტორიაში მესამედ აირჩია დრაფტის პირველი ნომერი. ბოლოს ეს 1998 წელს მოხდა, როცა "ლაითნინგს" **ვენსან ლეკავალიე** ერგო.

წლევანდელ დრაფტში ევროპელების ნაკლებობა შეიმჩნეოდა. მათ შორის საუკეთესო იყო მოსკოვის ცსკა-ს 18 წლის თავდამსხმელი **ნიკიტა ფილატოვი** - ის მეექვსე ნომრად "კოლამბუსმა" აირჩია.

2008 წლის დრაფტის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. **სტივენ სტემკოსი** ("ტამპა ბეი"); 2. **დრიუ დოუტი** ("ლოს ანჯელესი"); 3. **ზაკ ბოგოსიანი** ("ატლანტა"); 4. **ალექს პეტრანჯელო** ("სენტ ლუისი"); 5. **ლუკ შენი** ("ტორონტო"); 6. **ნიკიტა ფილატოვი** ("კოლამბუსი"); 7. **კოლინ უილსონი** ("ნეშვილი"); 8. **მიკელ ბედკერი** ("ფინიქსი"); 9. **ჯოშ ბეილი** ("აილენდერსი"); 10. **კოდი ჰოჯსტონი** ("ვანკუვერი").

გია **თვალაბეიშვილი**

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ლანდსკრონა | 0:0 |
| **აშშ** | |
| ტორონტო-კანზასი | 0:0 |
| ნიუ იორკი-დალასი | 1:0 |
| კოლორადო-ჰიუსტონი | 0:0 |
| სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-კოლამბუსი | 3:3 |
| დი სი იუნაიტედი-სან ხოსე | 3:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. ესპანიოლა-მელიპილია | 1:0 |
| ლა სერენა-იტალიანო | 1:1 |
| ატ. ნუბლენსე-რეინჯერსი | 2:2 |
| უაჩიპატო-კობრელოა | 1:2 |
| ს. მორნინგი-უნ. კატოლია | 1:0 |
| ო'ჰიგინსი-უნ. კონსეპსიონი | 3:3 |
| ანტოფაგასტა-პალესტინო | 0:3 |
| **ეკვადორი** | |
| ელ ნასიონალი-ლიგა დე კიტო | 2:1 |
| ესპოლი-ტექ. უნივერსიტარიო | 1:3 |
| დეპ. მაკარა-დეპ. ასოგესი | 3:0 |
| დეპ. კუენკა-ბარსელონა | 2:2 |
| ოლმედო-დეპ. კიტო | 0:1 |
| ემელეკი-უნ. კატოლიკა | გვ. დას. |
| **პერუ** | |
| უნივერსიტარიო-ალ. ატლეტიკო | 2:1 |
| სპ. კრისტალი-კორონელი | 1:1 |
| ხუან აურიჩი-ალ. ლიმა | 1:2 |
| სენსიანო-ატ. მინერო | 1:0 |
| მელგარი-სპორტი | 0:2 |
| დეპ. სან მარტინი-სპორტ ბოისი | 0:0 |
| ხოსე გალვესი-სესარ ვალეხო | 2:2 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პიტსბურგი ვუნდერკინდს უშვებს

"პიტსბურგ პინგვინზი". გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტის, ფორვარდ **ევგენი მალკინის** სხვა გუნდში გაშვებას აპირებს. კერძოდ, "პინგვინების" ხელმძღვანელობას რუსი ლეგიონერის "ლოს ანჯელეს კინგზში" გაშვება აქვს განზრახული, სანაცვლოდ კი, თავდამსხმელ **მაიკ კამალერისა** და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლების მიღებას აპირებს.

მალკინს თავის ამჟამინდელ კლუბთან ხელშეკრულება მომავალი წლის ზაფხულში ეწურება. მას ჯერჯერობით, ახალბედას კონტრაქტი აქვს, რომლის მიხედვითაც, წელიწადში 984 ათას დოლარს იღებს. სავარაუდოდ, ერთი წლის შემდეგ, რუსი ჰოკეისტი წელიწადში 8-11 მილიონი დოლარს მოითხოვს.

ამ ზაფხულს, "პიტსბურგის" რამდენიმე ჰოკეისტს ეწურება კონტრაქტი. მათ შორის არიან - კლუბის ძირითადი მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი** და სლოვაკი ფორვარდი **მარიან ჰოსა**. თითოეული წლიური ხელფასის სახით, 7 მილიონს ითხოვს. გარდა ამისა, წელიწადში დაახლოებით 10 მილიონს იღებს გუნდის ლიდერი, **სიდნი კროსბი**. ასე რომ, "პიტსბურგი" ამდენი ვარსკვლავის შენახვას ვერ შეძლებს და ამიტომაც სურს, მალკინის სხვაგან გაშვება.

"ლოს ანჯელესის" გენერალური მენეჯერი **დინ ლომბარდი** არ უარყოფს, რომ დრაფტზე მეორე ნომრის არჩევის უფლების გაცვლის თაობაზე არაერთი კლუბი დაუკავშირდა, მაგრამ კლუბი არ აპირებს ამ უფლების დათმობას და ნიჭიერი ახალბედას აყვანა აქვს განზრახული. თუმცა ლომბარდიმ არც ის გამორიცხა, რომ ხვალინდელ დრაფტამდე რამდენიმე საათით ადრე, კლუბმა მაინც განახორციელოს გაცვლა.

გია **თვალაბეიშვილი**

კრივი. ვარსკვლავი

# ჰატონი უარზეა



როჯოს წონის (66.68 კგ-მდე) ბრიტანელმა მოკრივემ, **რიკი ჰატონმა** უარყო ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოიას** გამოწვევა, თავისი უარი კი იმით ახსნა, რომ სექტემბერში ბრძოლისთვის მომზადებას ვერ მოასწრებს. ორიოდ კვირის წინათ, ჰატონმა ქვე-როჭოს წონაში (63.50 კგ-მდე) მექსიკელი **ხუან ლასკანო** დაამარცხა და მას ნაკლებად პრესტიჟული გაერთიანების, IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ტიტული ჩამოართვა.

დე ლა ჰოიას თავისი კარიერის ბოლოსწინა (თუ რამე არ შეცვალა) ბრძოლის 20 სექტემბერს გამართვა აქვს გადაწყვეტილი, ეს თარიღი კი ჰატონისთვის მიუღებელია, რადგან მამამისის, **რეი ჰატონის** თქმით, მისი შვილი ახლა ლასკანოსთან ბრძოლის დროს მიღებულ იარებს იშუშებს, მომდევნო ბრძოლას კი ალბათ, ნოემბერში გამართავს.

*"ჯერ მომდევნო ბრძოლაზე ლაპარაკიც ძალიან ადრეა. რიჩარდმა სულ ორი კვირის წინათ იბრძოლა და ჯერ დასვენება სჭირდება. ოსკარს სექტემბერში მექსიკის დამოუკიდებლობის დღეს ბრძოლა სურს, ჩვენ კი სხვა გეგმები გვაქვს, რიჩარდს ჯერ იარები აქვს მოსაშუშებელი"*, - ამბობს რეი ჰატონი.

დე ლა ჰოიას გაურბისო, ამას ჰატონზე ვერ ვიტყვით, რადგან ის არ მალავს, რომ **ფლოიდ მეივეზერთან** შეხვედრა სურს. მას რევანშის წყურვილი ამოძრავებს, იმ მარცხისთვის რევანშისა, რომელიც სპორტიდან ერთი კვირის წინათ წასულმა ამერიკელმა შარშან აგვნია. ეს ხომ მანჩესტერელი მოკრივისთვის პროფესიულ რინგზე ჩატარებულ 44 ბრძოლაში პირველი მარცხი იყო.

*"რიჩარდს ფლოიდთან რემატჩი სურს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ის ფიქრობს, რომ პირველ ბრძოლაში ისე ვერ იმუშავა, როგორც შეეძლო. ფლოიდი კრივიდან კი წავიდა, მაგრამ როცა მასზე ვლაპარაკობთ, არასდროს ვთქვათ არასდროს. მას ნებისმიერ დროს შეუძლია გადაწყვეტილების შეცვლა. მითუმეტეს, ამას გავუადვილებთ, თუ სოლიდურ თანხას შევთავაზებთ"*, - ამბობს რეი ჰატონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი. დრიმ თიმი

# რვა უკვე ცნობილია


კრის პოლი

სულ მალე, ამერიკის ოლიმპიური ნაკრების გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო** იმ კალათბურთელების სიას გამოაცხადებს, რომლებიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ.

როგორც ჩანს, შემადგენლობა არავისთვის სიურპრიზი არ იქნება, რადგან თუ ტელეკომპანია ESPN-ს ვერნმუნებით, ნაკრების შემადგენლობის ნახევარზე მეტი უკვე გარკვეულია. ჟურნალისტებმა სანდო წყაროზე დაყრდნობით შეიტყვეს, რომ **დუეინ უეიდი, ტაიშონ პრინსი, დუაიტ ჰოვარდი, მაიკლ რედი** და **პოლ პირსი** ყველა შემთხვევაში გაემგზავრებიან პეკინში. ორი დღის წინ, ნაკრებში თამაშზე უარი თქვა **ჩონსი ბილაპსმა**. ასევე გაირკვა, რომ ოლიმპიურ გუნდში ვერ ხვდებიან **ტაისონ ჩენდლერი** და **ამარე სტაუდმაიერი**.

უფრო ადრე იტყობინებოდნენ, კოლანჯელომ კმაყოფილება გამოთქვა **ჯეისონ კიდის** მზადყოფნით. მანვე **კარმელო ენტონისთვის** შანსის მიცემა გადაწყვიტა. **კობი ბრაიანტიც** არ აპირებს ოლიმპიადის გამოტოვებას.

გამოდის, რომ "დრიმ თიმში" კიდევ ოთხი ვაკანტური ადგილია დარჩენილი. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენებ სიაში, მძიმე ფორვარდები და ცენტრები (ჰოვარდის გამოკლებით) არ არიან მოხსენიებულნი.

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# პირველი ბრაზილიელი ლიდერი სენას შემდეგ



ბრაზილიელი **ფელიპე მასას** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი, მერვე ეტაპი – საფრანგეთის დიდი პრიზი, რის შემდეგაც, ჩემპიონატის ლიდერობაც მისივე ხელში გადავიდა. ამგვარად, ბოლო სამ ეტაპზე ლიდერი სამჯერ შეიცვალა. კონსტრუქტორთა პირველობაზე კი წინ ისევ "ფერარია".

1993 წლის შემდეგ, მასა პირველი ბრაზილიელი პილოტია, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერი გახდა. ბოლოს ამ საპატიო სახელს მის თანამემამულეთაგან ლეგენდარული **აირტონ სენა** ფლობდა. ფრანგული ეტაპი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასზე მასას თანაგუნდელმა, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** "ფერარის" მე-200 პოულ პოზიცია მოაპოვებინა. თავად ფინელისთვის კი ეს კარიერაში მოპოვებული მე-16 პოულია.

ფინელ პილოტს მანი კურის რბოლა შარშანც ჰქონდა მოგებული და პოულის დაუფლების შემდეგ, მთავარი ფავორიტი სწორედ ის გახდა. მის პოზიციას ის გარემოებაც ამყარებდა, რომ კანადურ ეტაპზე მომხდარი ინციდენტის გამო, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** სტარტზე ათი ადგილით უკან დასწიეს. სტარტზე ახლოს არც ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი, ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** იყო, რომელიც ასევე ვერ გადაურჩა სასჯელს – საკვალიფიკაციო სესიის დროს, ავსტრალიელი **მარკ უებერის** დაბლოკვის გამო, მან ხუთი სასტარტო ადგილით უკან დაიწია.

უკეთეს მდგომარეობაში არც პოლონელი **რობერტ კუბიცა** იყო, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალ პრაქტიკებზე ჩიოდა, ჩვენს მანქანებს სისწრაფე აკლიაო. საბოლოოდ კი კვალიფიკაციაზე მეშვიდე ადგილს დასჯერდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ჰემილტონმა და კოვალაინენმა უკან დაიწიეს, კუბიცამაც ორი საფეხურით წინ წაიწია.

აღნიშვნას იმსახურებს კვალიფიკაციაზე ესპანელი **ფერნანდო ალონსოსა** და იტალიელი **იარნო ტრულის** კარგი გამოსვლა. მათ შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს, ჰემილტონის ათი ადგილით დისკვალიფიკაციის შემდეგ კი ორივემ თითო საფეხურით წინ წაიწია.

მანი კურის ავტოდრომს ისეთი კონფიგურაცია აქვს, რომ მასზე გასასწრები ადგილები ცოტაა და აქედან გამომდინარე, რბოლები ხშირად მონოტონური გამოდის ხოლმე. გუშინდელი რბოლის სტარტიც ისეთი იყო, ამ ვარაუდს რომ ადასტურებდა. მაგრამ, ორი გასწრება მაინც დაფიქსირდა – სასტარტო ციებ-ცხელებას ყველაზე უკეთ თავი კუბიცამ გაართვა, რომელმაც საკმაოდ რისკიანი მანევრით ალონსოს გაუარა, თუმცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმაც არ დააყოვნა და პირველივე წრეზე დაიბრუნა მეოთხე პოზიცია.

რაც შეეხებათ კანადელი და ფრანგი სტიუარდების მიერ შერისხულ მაკლარენელებს, ჰემილტონმა საკმაოდ კარგი სტარტი აიღო და მეექვსე წრეზე თანაგუნდელს გაასწრო კიდეც. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჰემილტონს და კოვალაინენს რბოლისთვის განსხვავებული სტრატეგია ჰქონდათ შერჩეული. პირველმა შედარებით ნაკლები საწვავი ჩაისხა და ბუნებრივია, ამის წყალობით, დასაწყისში გაცილებით სწრაფი იყო. თითქოს, ბრიტანელ პილოტს მალე უნდა მოესწრო სტარტამდე დაკარგული პოზიციების დაბრუნება, მაგრამ მე-13 წრეზე კიდევ ერთხელ მიიქცია სტიუარდების ყურადღება:

გერმანელი **სებასტიან ფეტელის** გასწრების მცდელობისას, ჰემილტონმა მოსახვევში ვერ მოზომა და იმისათვის, რომ რბოლიდან არ გავარდნილიყო, მოსახვევი მოჭრა, თუმცა ამით არაფერი მოუგია – სისწრაფეც დაკარგა და არც ვინმესთვის გაუსწრია. მაგრამ სტიუარდებმა, რატომღაც მოსახვევის მოჭრა ხეირად ჩაუთვალეს და პიტსტოპზე საჯარიმო გავლით დასაჯეს.

ტრასაზე დაბრუნებულმა ჰემილტონმა ალონსოს გაასწრო, ვისაც პირველი პიტსტოპი უკვე შეესრულებინა. თუმცა ბრიტანელს მომდევნო წრეზევე მოუხდა ბოქსში კიდევ ერთი ვიზიტი – ამჯერად გეგმური. იქიდან დაბრუნებულმა კი, აუტსაიდერებს შორის ამოჰყო თავი.

ამ დროს, "ფერარის" ორივე პილოტი მდევრებს კარგა მანძილით დაშორდა. ერთადერთი, რასაც მათი იდილიისთვის ხელის შეშლა შეეძლო, შემთხვევა იყო და მანაც არ დააყოვნა. შუა რბოლაში, კონკრეტულად კი 35-ე წრეზე, რაიკონენის ბოლიდმა სიჩქარეს უკლო. ამ დროს ის მასას დაახლოებით შვიდ წამს უგებდა. მაგრამ ბრაზილიელმა ეს ჩამორჩენა სულ რაღაც სამ წრეში აღმოფხვრა და 38-ე წრეზე, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე, დაწინაურდა კიდეც.

ეს რბოლის გარდამტეხი მომენტი გამოდგა. მართალია, ფინელმა პილოტმა შეძლო მეორე პოზიციის ბოლომდე შენარჩუნება, მაგრამ თანაგუნდელს ველარ დაეწია და მეორე ადგილს დასჯერდა. მასამ კი ამ სეზონში მესამე, კარიერაში კი მერვე გამარჯვება მოიპოვა და როგორც ზემოთაც ითქვა, ჩემპიონატის ლიდერიც გახდა.

*"ამას ნამდვილად არ ველოდი. თუმცა, ზოგჯერ გამარჯვების მოპოვებას იღბლის დახმარება სჭირდება. ამჯერად სწორედ იღბალმა მომაგებინა. მართალია, ლიდერი გავხდი, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. ჩემპიონატს ჯერ ეკვატორი არ გადაულახავს და ბუნებრივია, მის დასრულებამდე ბევრი რამ შეიცვლება. თუმცა მე ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ ლიდერობა შევინარჩუნო"*, - განაცხადა 27 წლის მასამ.

რბოლის ბოლო ნაწილი მესამე ადგილისთვის საინტერესო ბრძოლამ გაალამაზა. ფინიშამდე ათი წრე რომ რჩებოდა, მესამეზე მყოფ იტალიელ **იარნო ტრულის** კოვალაინენი წამოეწია, რომელმაც მაშინვე სცადა შეტევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ხელსაყრელი მომენტისთვის დალოდება გადაწყვიტა. ამასობაში კი, მას კუბიცა წამოეწია, რომელსაც შეტევა არც უცდია. ერთხანს ასე იარეს, ბოლოსწინა წრეზე კი ფინელმა პილოტმა მაინც გარისკა და შეუტია. მოსახვევის დასაწყისში, ის მეტოქეს გაუთანაბრდა კიდეც, მაგრამ ტრულიმ მოულოდნელად "დერეფანი" ჩაუკეტა. როგორც ჩანს, კოვალაინენი ამას ელოდა. მან საჭე მარცხნივ აიღო და ასე თავისი "მაკლარენი" მეტოქის "ტოიოტას" მოარიდა. მაგრამ შეჯახება მაინც მოხდა. "მაკლარენის" მარჯვენა წინა ბორბალი "ტოიოტას" მარცხენა წინას საკმაოდ ხისტად შეეხო, თუმცა საბედნიეროდ, ორივე მანქანა დაზიანებას გადაურჩა. უფრო მეტიც, ორივეს ტემპიც კი არ დაუკარგავს და ამდენად, კუბიცას გასწრების სურვილიც კი არ გასჩენია. საბოლოოდ, სამივემ ფინიშს უცვლელი მიმდევრობით მიაღწია.

*"არა მგონია, რომ ჩვენი მანქანები ერთმანეთს შეეხო. უბრალოდ, ბორბალი-ბორბალში მივდიოდით. ასეთი რამ კარტინგში ხშირად ხდება ხოლმე. ყოველ რბოლაში ასე დიდი სიამოვნებით ვიბრძოლებდი"*, - განაცხადა ტრულიმ, ვინც 2005 წლის მაისის შემდეგ პირველად შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. "ტოიოტასთვის" კი ეს 2006 წლის ავსტრალიის დიდი პრიზის შემდეგ, პირველი კვარცხლბეკია. იაპონურმა გუნდმა ეს წარმატება თავისი ყოფილი შეფის, **უვე ანდერსონის** ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც რბოლამდე რამდენიმე დღით ადრე, ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ფორმულა ერთში პირველი ორი ქულა მოიპოვა "რენოს" ბრაზილიელმა პილოტმა **ნელსონ პიკემ**. სამაგიეროდ, უქულოდ დარჩა ჰემილტონი, ვინც ფინიშამდე მეათე ადგილამდე დაწინაურება მოასწრო. ერთადერთი პილოტი კი, ვინც რბოლა ნაადრევად შეწყვიტა, ბრიტანელი **ჯენსონ ბატონია**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



გამოსაბოლქვის დაზიანებამ რაიკონენს ნაღდი გამარჯვება დააკარგვინა

**საფრანგეთის დიდი პრიზი. მე-8 ეტაპი**

**მანი კური (ნევერი, საფრანგეთი). 308.586 კმ (70 წრე X 4.411 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 1:31:50.245 |
| 2. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | +00:17.984 |
| 3. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 00:28.250 |
| 4. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 00:28.929 |
| 5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) | 00:30.512 |
| 6. მარკ უებერი (ავსტრალია, რედბული) | 00:40.304 |
| 7. ნელსონ პიკე (ბრაზილია, რენო) | 00:41.033 |
| 8. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) | 00:43.372 |
| 9. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბული) | 00:51.072 |
| 10. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 00:54.521 |
| 11. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) | 00:57.738 |
| 12. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) | 00:58.065 |
| 13. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) | 01:02.079 |
| 14. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 15. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამსი) | 1 წრე |
| 16. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი) | 1 წრე |
| 17. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) | 1 წრე |
| 18. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია) | 1 წრე |
| 19. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია) | 1 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 54 წრე |

შენიშვნა: გ - გამოეთიშა

უსწრაფესი წრე: კიმი რაიკონენი 1:16.630, მე-16 წრე

**პირადი კლასიფიკაცია 8 ეტაპის შემდეგ**

1. ფელიპე მასა 48 ქულა; 2. რობერტ კუბიცა 46; 3. კიმი რაიკონენი 43; 4. ლუის ჰემილტონი 38; 5. ნიკ ჰაიდფელდი 28; 6. ჰეიკი კოვალაინენი 20; 7. იარნო ტრული 18; 8. მარკ უებერი 18; 9. ფერნანდო ალონსო 10; 10. ნიკო როსბერგი 8; 11. კაძუკი ნაკაძიმა 7; 12. დევიდ კულტჰარდი 6; 13. ტიმო გლოკი 5; 14. სებასტიან ფეტელი 5; 15. რუბენს ბარიკელო 5; 16. ჯენსონ ბატონი 3; 17. ნელსონ პიკე 2; 18. სებასტიან ბურდე 2

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. ფერარი 91 ქულა; 2. BMW ზაუბერი 74; 3. მაკლარენ-მერსედესი 58; 4. რედ ბულ-რენო 24; 5. ტოიოტა 23; 6. უილიამს-ტოიოტა 15; 7. რენო 12; 8. ჰონდა 8; 9. ტორო როსო-ფერარი 7

